PRIME Time

N31 (332), ორშაბათი 10 აგვისტო 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

სკანდალური კრიმინალური საქმე

რატომ მიაჩნია პრეზიდენტს 4 შვილის პატიმარი დედა საზოგადოებისთვის საშიშად

EXCLUSIVE

„ისეთი განაჩენი გამოუტანეს, გეგონება, ბინ ლადენი ყოფილიყო“

რა სკანდალურ ინფორმაციას მალავენ პლასტმასის ბოთლებზე

SOS!

bazarr

EXCLUSIVE

ნაციონალების სიის პირველი ნომერი ბაქრაძე იქნება

↓

პაატა ბურჭულაძე პარტიას ქმნის

არჩევნებში სიჭინავა მხარს კობიაშვილს დაუჭერს

PRIME Time SCANDAL

– მე, ზვიად სიჭინავა, მხარს ვუჭერ იმ 250 მილიონ ლარს, რომელიც მომავალ წელს ჩაიდება ქართულ ფეხბურთში, 2016 წელს. ახალი პრეზიდენტი მოდის და ორივე ხელით მხარს ვუჭერ იმ კანდიდატს, რომელსაც სახელმწიფო წარადგენს.

– ანუ ლევან კობიაშვილს უჭერთ მხარს?

– მე მხარს ვუჭერ იმ კანდიდატს, რომელსაც სახელმწიფო წარადგენს. თუ სახელმწიფო 220 მილიონის ჩადებას აპირებს ქართულ ფეხბურთში, მტერი უნდა ვიყო, რომ ამას არ დავეთანხმო

SUBWAY

BURGER KING

მომწამვლელი ნივთიერებები FAST FOOD სკანდალური დასკვნა

i'm lovin' it

Wendy's

მარგველაშვილის პოლიტიკური საყრდენი ბურჯანაძე გახდება

„რუსეთი სერიოზულ პროვოკაციას გეგმავს“

რისთვის აშენებს წინასაარჩევნოდ პუტინი საქართველოსკენ მომავალ გზებს

საქართველოში ინდური წარმოების უხარისხო წამლები შემოვა

„ინდოეთშიც არიან კარგი და ცუდი ფირმები... ყველა მედიკამენტი, რომელიც შემოდის, ხარისხზე მოწმდება“

როგორ აპირებს ხელისუფლება მედიკამენტების გაიაფებას

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარგველაშვილის პოლიტიკური საყრდე





„პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია...“

ექსპერტი ფიქრობს, რომ მარგველაშვილი არ არის ამბიციური და არც პოლიტიკოსია. „ხასიათი კი ამ ასაკის ადამიანში აღარ იცვლება“, – განმარტავს ცისკარიშვილი

არის მოლოდინი, რომ მარგველაშვილი გადადგება და ფართო ოპოზიციურ კოალიციას ჩაუდგება სათავეში

ქეთი ხატიაშვილი

მოლოდინი, რომ გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკაში უფრო გააქტიურდება და პოლიტიკურ საყრდენსაც მოძებნის, ძალიან დიდია. ექსპერტები მას ან ახალი პოლიტიკური ძალის შექმნას ურჩევენ ან უკვე არსებულით სარგებლობას. ყოველ შემთხვევაში გიორგი მარგველაშვილი ერთადერთი ფიგურაა, ვინც თავისი სტატუსით ყველასთვის სასურველი პარტნიორია. ის პრეზიდენტია და ეს ბუნებრივია, მას გარკვეულ ხიბლს სძენს. თუმცა, რამდენად შეძლებს მარგველაშვილი მაგნიტის როლის შესრულებას, რთული სათქმელია.

არის მოლოდინი, რომ მარგველაშვილი გადადგება და ფართო ოპოზიციურ კოალიციას ჩაუდგება სათავეში. დაახლოებით ისე, როგორც წლების წინათ ედუარდ შევარდნაძე გადადგა. დიქტატურა მოდის, დემოკრატია საფრთხეშიაო, თქვა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დატოვა. ამით მან პოლიტიკაში ცხოვრება გაიხანგრძლივა. გიორგი მარგველაშვილსაც თითქოს ურჩევენ, გადადგეს და ახალ პოლიტიკურ პროცესებს ჩაუდგეს სათავეში.

თუმცა, ისინი, ვინც გიორგი მარგველაშვილს კარგად იცნობენ, პრეზიდენტისგან ასეთ გაბედულ და მისთვის რადიკალური ნაბიჯების გადადგმას არ ელოდებიან. სოსო ცისკარიშვილის განმარტებით, პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაშიც კი ის პოლიტიკაში არ ჩაერთვება. ექსპერტი ფიქრობს, რომ მარგველაშვილი არ არის ამბიციური და არც პოლიტიკოსია. „ხასიათი კი ამ ასაკის ადამიანში აღარ იცვლება“, – განმარტავს **ცისკარიშვილი.**

შევარდნაძის ნაბიჯის განმეორება გარკვეული ფორმით თავისუფალმა დემოკრატებმა სცადეს, როცა ალასანია თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადააყენეს. სწორედ მაშინ ბუკა პეტრიაშვილმა თქვა: დიქტატურა მოდისო, თუმცა, ეს პაროდია უფრო იყო.

გიორგი მარგველაშვილამდე პოლიტიკური პროცესის შექმნის შანსებს ექსპერტები ირაკლი ალასანიას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, ხასიათი პოლიტიკაშიც ვლინდება. ასეა თუ ისე, გიორგი მარგველაშვილი დღემდე რჩება პოლიტიკაში იმ დიდ შანსად, რომლის გამოყენებაც თითქმის ყველას უნდა.

პარალელურად პრეზიდენტი იმ ფონდის პრეზიდენტიც არის, რომელიც მმართველი გუნდიდან წასვლის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ შექმნა. დემოკრატიული განვითარების ფონდი ახლა მხოლოდ შეჩერებულია, მარგველაშვილი კი კვლავაც მისი პრეზიდენტია. ბოლოს ამ საკითხზე ღია კომენტარი **ნინო ბურჯანაძემ** 2013 წელს გააკეთა:

– ფორმალურად ის დღემდე ამ ფონდის ხელმძღვანელია, რადგან არ გამითავისუფლებია იმის გამო, რომ „ქართულ ოცნებაში“ წავიდა“.

გიორგი მარგველაშვილი ამ ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა. ოფიციალური ინფორმაციით, ამ ფონდის წევრი ექსპერტი სოსო ცისკარიშვილიც იყო, თუმცა, „პრაიმტაიმთან“ საუბარში მან ამ ფონდთან რაიმე სახის კავშირი უარყო.

ნინო ბურჯანაძეს გიორგი მარგველაშვილი მანამდეც იცნობდა. ერთად ისინი პოლიტიკაში 2003 წელს გამოჩნდნენ ოპოზიციურ ბლოკში „ბურჯანაძე – დემოკრატები“.

„ქართულმა ოცნებამ“ მათი გზები გაყო. საპრეზიდენტო არჩევნებზე ბურჯანაძე და მარგველაშვილი ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდნენ, მაშინ ყოფილი თანამებრძოლის შანსები ნინომ მიზერულად შეაფასა:

– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ვერ მიიღებს არათუ 60%-ს, არამედ პირველ ტურში გასასვლელ ხმებსაც კი ბატონი მარგველაშვილი, იმიტომ კი არა, რომ ცუდი ბიჭია, იმიტომ რომ ქვეყანას პრეზიდენტად მცოდნე, გამოცდილი, კომპეტენტური ადამიანი სჭირდება, რომელიც ამ გაჭირვებაში ქვეყანას სწორ გზაზე წაიყვანს...

შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი შენიშვნაა, რომელიც ბურჯანაძემ ყოფილი თანამებრძოლის მიმართ გააკეთა. სხვა შემთხვევები მათი ღია კონფრონტაციისა არ არსებობს. გიორგი მარგველაშვილი გაერთიანებულ დემოკრატებთან საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტზე აქტიურად თანამშრომლობს. ამ ფორმატში სხვა არასაპარლამენტო პარტიებიც არიან ჩართულები.

ნინო ბურჯანაძემ გიორგი მარგველაშვილი მაშინაც დაიცვა, როცა მმართველმა კოალიციამ პრეზიდენტს პრეზიდენტის სასახლის დატოვება მოსთხოვა. ნინო ბურჯანაძეს პრეზიდენტს გამოექომაგა:

– ეს ხომ არანორმალური ვითარებაა ქვეყანაში. ჩვენ სახელმწიფო აქ გვაქვს, ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტები არ მუშაობს. ქვეყანა, უბრალოდ, არ იმართება. ერთადერთი, ვისაც მეტ-ნაკლებად შეიძლება მიაწერო ქვეყნის მართვა, ბიძინა ივანიშვილია, თუმცა ისიც ვერ მართვას ქვეყანას. ეს ჩანს იმაში, რომ გუნდში ყოველდღიურად დაპირისპირებაა. ქვეყნის ეკონომიკა ყოველდღიურად უკან-უკან მიდის, არც ერთი პრობლემა მოგვარებული არ არის. საქართველო დე ფაქტო ყოველდღიურად პატარავდება. ეკონომიკურ გაუმჯობესებას გვპირდებოდნენ, მაგრამ ვხედავთ ყოველდღიურად რა ხდება. ამ დროს ბიძინა ივანიშვილის მთავარი ამოცანაა, რომ როგორმე მარგველაშვილი იმ სასახლიდან გამოაგდოს. გასაგებია, რომ, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ყველა პრობლემა ერთბაშად ვერ მოგვარდება. მეც რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, საქართველო შვეიცარიისა და ავსტრიის დონეზე ვერ იქნებოდა, თუმცა, იქნებოდა სწორი ეკონომიკური განვითარება. დღეს ქვეყანა ყველაფერში პრაქტიკულად უკან მიდის და ამაზე ხელისუფლებას რეაქცია არ აქვს

„ფორმალურად ის დღემდე ამ ფონდის ხელმძღვანელია, რადგან არ გამითავისუფლებია იმის გამო, რომ „ქართულ ოცნებაში“ წავიდა“

შეიძლება თუ არა მათი გზები ისევ გადაიკვეთოს? ვალერი გელბახიანის განმარტებით, პოლიტიკაში შეუძლებელი არაფერია, გადაკვეთით შეიძლება გადაიკვეთოს, თუმცა, ამ ეტაპზე ამის ნიშნები არ ჩანს. სოსო ცისკარიშვილის განმარტებით კი, ბურჯანაძის პარტიაში მარგველაშვილის მიმართ ნოსტალგია არავის აქვს.

გაერთიანებულ დემოკრატებში მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე პრეზიდენტთან რაიმე სახის პოლიტიკურ კავშირზე ლაპარაკიც არ არის. პარტიაში განმარტავენ, რომ მარგველაშვილის პოზიცია პუტინთან დაკავშირებით არ მოეწონათ. გიორგი ახვლედიანის განმარტებით, მარგველაშვილმა პუტინთან შეხვედრისა და მასთან დალაპარაკების შანსი არ გამოიყენა და უარი თქვა.

„ვფიქრობ, პუტინი ჩემთვის საინტერესოა, როგორც საქართველოსთვის ყველაზე რთული საკითხების რეალურად გადამწყვეტი ადამიანი. მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, ის არის რაციონალური, რაციონალური პოლიტიკის მომხრე და ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ნი ბურჯანაძე გახდება

„ვფიქრობ, პუტინი ჩემთვის საინტერესოა, როგორც საქართველოსთვის ყველაზე რთული საკითხების რეალურად გადამწყვეტი ადამიანი“

მდინარე, გარკვეულ მომენტში შესაძლებელი იქნება ქართულ-რუსული ურთიერთობის აგება. მე ამის იმედი მაქვს“, – ეს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა 2014 წელს თქვა.

2015 წელსაც დადგა დღის წესრიგში პუტინი-მარგველაშვილის შეხვედრა. მაშინ კრემლი პრეზიდენტის მინვევას მოსკოვში 9 მაისსაც გეგმავდა. თუმცა, მარგველაშვილმა თავი შეიკავა.

თავშეკავებული მარგველაშვილი კი ბურჯანაძეს უკვე აღარ მოეწონა. როგორც პარტიაში განმარტეს, პრეზიდენტის განცხადებაში განსაკუთრებულად დასავლეთის ხსენებამ გააღიზიანათ, ანუ პუტინთან შეხვედრა დასავლეთში რატომ უნდა შეათანხმოს საქართველოს პრეზიდენტმაო. გიორგი მარგველაშვილმა კი თქვა:

„ქართულ-რუსული ურთიერთობები არის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და პრობლემური ურთიერთობა, რაც ქართულ სახელმწიფოს გააჩნია. შესაბამისად, ამ რეპლიკის ანალიზს ჩვენ მოვახდენთ ძალიან სერიოზულად და ზედმიწევნით, გავიცლით კონსულტაციებს და ჩვენს პოზიციასაც ჩამოვაყალიბებთ. თუ არის შესაძლებლობა, რომ რამე ასეთი ტიპის შეხვედრამ მისცეს პოზიტიური იმპულსი ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, თუ არის სერიოზული მზადყოფნა ძალიან პრობლემური თემების განხილვისთვის, ბუნებრივია, არის საფუძველი, რომ ჩვენ ამ თემებზე კოლეგებთან ვიმსჯელოთ, გავიაროთ კონსულტაციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე დასავლელ კოლეგებთან და ვიფიქროთ ასეთი შეხვედრის თაობაზე“.

პროდასავლური ფლანგი ცდილობს, პრეზიდენტი ბურჯანაძის ორბიტას არ დაუბრუნდეს და პრორუსულის ელფერი არ შეიძინოს. თუმცა, პრეზიდენტის კავშირები იგივე ლევან ვასაძესთან, რომელიც ამჯერად რუსეთში იმყოფება და ნინო ბურჯანაძესთანაც, რომელიც მისგან უკვე ღიად ითხოვს პუტინთან შეხვედრას. და როგორც ჩანს, ამით მიხიშნებასაც აკეთებს. ბურჯანაძე ასე თუ ისე კულუარულ პოლიტიკას იცნობს და კარგად იცის, რომ თავის დროზე სწორედ მარგველაშვილი ცდილობდა საკუთარი კავშირებით პუტინთან შეხვედრას. ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ ადრეც წერდა:

„კულუარული ინფორმაციით, მარგველაშვილი ახლა ვასაძეს, ვასაძე – სურკოვს და სურკოვი, თავის მხრივ, პუტინს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას სთხოვს. ძნელი სათქმელია, რატომ ეხვეწება მარგველაშვილი პუტინს შეხვედრას... ვასაძე ცდილობს, მეგობარს სურკოვის მეშვეობით დაეხმაროს. ის მოსკოვში გავლენიანი ფიგურაა. სურკოვთან პოლიტიკური ქულების ჩაწერა მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მარგველაშვილი მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად, მზად არის, 2015 წლის 9 მაისს კრემლის პარადშიც მიიღოს მონაწილეობა. ლევან ვასაძისთვის, რომელსაც არანაკლები პოლიტიკური ამბიციები აქვს, მარგველაშვილის პარადში მონაწილეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამით ხომ ის სურკოვს დაარწმუნებს, როგორი გავლენები აქვს საქართველოს პრეზიდენტზე. კულისებში ამბობენ, რომ მარგველაშვილი ამ გეგმას უკვე დასთანხმდა“.

თუმცა, როგორც ცისკარიშვილმა აღნიშნა, მარგველაშვილს უკვე ხასიათს ვერ შეუცვლი. მოსკოვში წასვლა მან, როგორც ჩანს, ვერ გაბედა. ოპოზიციაში დიდი ხმაური ატყდა. ხელისუფლებაც არ იყო ამის მომხრე. პუტინთან შეხვედრა ღირს მაშინ, თუკი რაიმე კონკრეტული საკითხი იქნება მომზადებული გადასაწყვეტად და არა შეხვედრა შეხვედრისთვის.

ასე რომ, რას იზამს მარგველაშვილი, საბოლოოდ ვის დაუკავშირებს საკუთარ ბედს, პრორუსებს თუ პროდასავლელებს, ჯერ თითქოს ისევ გაურკვეველია. სოსო ცისკარიშვილი დარწმუნებულია, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ პრეზიდენტი, უბრალოდ, პენსიაზე გავა. თუმცა, კულისებში ბურჯანაძე-მარგველაშვილის ინტერესების კვეთას, ისევე როგორც ადრე, სულაც არ გამორიცხავენ.

bazarr SPORT

„ბარსელონასთვის“ „მესხის“ საფარს საღებავით შეღებავენ

უეფას სუპერთასამდე, „ბარსელონამ“ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა ივარჯიშოს.

თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნის ცერემონიალის შემდეგ, გაირკვა, რომ სტადიონის საფარი გადაიწვა, ამიტომ გაჩნდა იმის საფრთხე, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ჩამოსვლამდე, მოედანი მწყობრში ვერ ჩადგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები დღემდე მუშაობენ ბალახის გამოჯანსაღებაზე, როგორც „პრაიმტაიმს“ სფფ-ს პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ უთხრა, აგრონომები „ბარსელონასთვის“ მოედნის საფარს მწვანედ შეღებავენ, რადგან გუნდის წარმომადგენლებს, ეს საფარი გაცილებით კარგ მდგომარეობაში აქვთ ნანახი, ვიდრე ის ახლა იმყოფება.

“ბარსელონამ” საქართველოში ჩამოსვლის თარიღი შეცვალა

FCB

უეფას სუპერთასისთვის, რომელიც თბილისში 11 აგვისტოს გაიმართება, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული “ბარსელონა”, ნაცვლად 9 აგვისტოსი, 10 აგვისტოს ჩამოვა.

როგორც განრიგიდან იყო ცნობილი, კატალონიელები საქართველოს დედაქალაქს 9 აგვისტოს უნდა სწვეოდნენ და საღამოს “მიხეილ მესხზეც” უნდა ევარჯიშათ, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონის გეგმები შეიცვალა და ისინი ერთი დღის დაგვიანებით ჩამოვლენ.

“ბარსელონა”, თბილისში, სასტუმრო “მერიოტში” დაბინავდება, სადაც სრულად დაიკავებს ყველა ნომერს. რაც შეეხება ვარჯიშს, წინასამატჩო ვარჯიშს, გუნდები “დინამო არენაზე” 10 აგვისტოს გამართავენ, კატალონიელები კი “მიხეილ მესხზე” 11 აგვისტოს, დილით ივარჯიშებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალური კრი

რატომ მიაჩნია პრეზიდენტს 4 შვილის პატიმარი დედა საზოგადოებისთვის საშიშ მოვლენად

ლაშა ჩხარტიშვილი: „ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ ეს ადამიანი იყოს შეწყალებული“

თეა სირაძე



ლაშა ჩხარტიშვილი

თეა სირაძე

თეა სირაძე: „მე, ოთხი შვილის დედას, უკვე ძალა გამომეცალა, ის ვამტკიცო, რა ჩავიდინე და რა არ ჩამიდენია“

თეას მამა: „ისეთი განაჩენი გამოუტანეს, გეგონება, ბინ ლადენი ყოფილიყო“

გიორგი ურუშაძე

ადამიანის გატაცება, ფულის გამოძალვა და ხულიგნობა – ეს იმ ბრალდებების ჩამონათვალია, რომლის გამოც, 4 შვილის დედა თეა სირაძე რუსთავის #5 ქალთა დაწესებულებაში იხდის სასჯელს. შეკრებითობის პრინციპით გამოტანილი განაჩენი – 28 წელი, ქართველი ძალოსანის ტრაგიკული ისტორიის საწყისად იქცა. მართალია, სასჯელის გამოტანის ეს პრინციპი გაუქმდა და მას, საბოლოოდ, 13 წელი მიესაჯა, მაგრამ საზოგადოებისა და უფლებადამცველების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალბატონისთვის ეს მეტად მკაცრი განაჩენია.

დღევანდელი ნორმებით, პატიმრის შენყალების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს. თუმცა პრეზიდენტის აპარატთან არსებულმა შენყალების კომისიამ მსჯავრდადებულის თხოვნა განთავისუფლების თაობაზე არ დააკმაყოფილა.

ბრძოლა გრძელდება. უფლებადამცველები, საზოგადოება და ციხის ადმინისტრაცია ერთად თანხმდება, რომ თეა სირაძე უდავოდ იმსახურებს განთავისუფლებას.

დადებით დახასიათებას, რომელსაც ქალთა კოლონიის დირექტორი ნესტან ვერულაშვილი ანერს ხელს, ნამდვილად შეუძლია შთაბეჭდილების მოხდენა. სამაგალითო პატიმარი და ჩაკეტილ სივრცეში მაქსიმალურად ადაპტირებული პიროვნება, ეს ის სიტყვებია, რომლითაც მას გარშემომყოფები ახასიათებენ.

„პრაიმტაიმი“ დეტალების უკეთ გასარკვევად ციხის დირექტორს, ნესტან ვერულაშვილს ესაუბრა. მისი თქმით, მსჯავრდადებული თეა სირაძე აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს და ღირსია თავისუფლების.

ნესტან ვერულაშვილი:

– მე, როგორც დანესებულების დირექტორმა, შემიძლია გითხრათ, რომ ის არის სამაგალითო პატიმარი. თეა გახლავთ საქართველოს ჩემპიონი კინბოქსინგში. სწორედ ამიტომ ჩვენთან არის ფიტნეს კლუბი, რომელიც ამ ქალბატონს ჩავაბარე. სამეურნეო მომსახურებაშია ჩართული. ის სხვა მსჯავრდადებულებს ასწავლის და ავარჯიშებს. ძალიან აქტიურად არიან ჩართულნი მსჯავრდადებულები ამ პროცესში. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ვხედავ, სპორტი ამ ქალბატონისთვის ყველაფერია. რაც მთელი ცხოვრება უყვარდა, დღეს იმას აკეთებს და ამით ბედნიერია. ჩვენთან არაერთი ჯგუფი მუშაობს, „ქალი და ბიზნესი“ არის, ევროკავშირის ეგიდით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია, ასევე „აფხაზეთი“ არის ძალიან კარგი ორგანიზაცია. ეს არასამთავრობები ინტენსიურად მუშაობენ ამ ჯგუფებში. თეას ძალიან ბევრი კურსი აქვს გავლილი: სამოქალაქო განათლების ტრენინგი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში გაიარა „ქვილთის“ შემსწავლელი კურსი, ასევე, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრ „აფხაზეთის“ მიერ უზრუნველყოფილი იყო ქორეოგრაფიის კურსი, ასევე, ჩაერთო „ქალი და ბიზნესის“ მიერ განხორციელებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კურსში, გაიარა ემოციური აგრესიისა და სტრესის მართვის პროგრამა, რომელიც ხორციელდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელშეწყობით. ამდენად, კარგად მოიაზრება, როგორი სპექტრით მიმდინარეობს აქ მუშაობა, მათი რეაბილიტაცია. არაერთი ღონისძიება გაიმართა ჩვენს დაწესებულებაში, რომელშიც თეა სირაძე იყო ჩართული. მიუზიკლი დაიდგა, „სადგური სახელად იმედში“, პოეზიის საღამო – „გიგოსებს მიღმა დაწერილი სტრიქონები“, ირაკლი ჩარკვიანის საღამო გავმართეთ, ბატონი გელა იყო მოსული და თეამ მიიღო მონაწილეობა ლექსის კითხვაში, ასევე, მონაწილეობდა ლადო ასათიანის პოეზიის საღამოში. რობერტ სტურუამ შარშან ჩვენთან გადაიხადა დაბადების დღე და აქ არაჩვეულებრივი სპექტაკლი დავდგით და ამაშიც მიიღო მონაწილეობა. ასევე, იყო ასეთი პროექტი – „პატიმრების წერილები ბავშვებს“. არაჩვეულებრივი წერილი მისწერა მან თავის შვილებს.

– რა პროცედურებია საჭირო შეწყალების დასაწერად და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პატიმარი?

– კრიტერიუმები არის შემდეგი, მსჯავრდადებულს მოხდილი უნდა ჰქონდეს სასჯელის ნახევარი. თუ ამას აკმაყოფილებს, შემდეგ განცხადებას წერს თავად მსჯავრდადებული, მზადდება დახასიათება, რომელსაც სხვადასხვა სამსახურები, სოციალური, უსაფრთხოება, რეჟიმი ამზადებს. ასევე, კეთდება ფსიქოლოგის დასკვნა, ამ ყველაფერს მე ვადასტურებ ხელმოწერით. დახასიათებაში აღნიშნულია სასჯელის ზომა, დანაშაულის ხასიათი, პატიმრის დემოგრაფიული მონაცემები, ასევე, აღწერილია იმ პერიოდის განმავლობაში, რა დროშიც ის სასჯელს იხდის პენიტენციარულ სისტემაში, რა კურსებს გადის და შესრულებულია თუ არა სასჯელის მიზანი – ადამიანი მზად არის თუ არა, გავიდეს დაწესებულების გარეთ და იყოს საზოგადოების სრულყოფილი წევრი. ასე რომ, ერთობლიობაში დგება დახასიათება და მიდის ეს შემდგომში შეწყალების კომისიაში. იქ კი აღნიშნული საკითხი იხილება.

– თუმცა, როგორც ვიცი, თეას ჯერ სასჯელის ნახევარი არ აქვს მოხდილი...

– ნახევარი არ აქვს მოხდილი, მაგრამ მაინც შესაძლებელია შეწყალება, რადგან ეს არის პრეზიდენტის ინდივიდუალური აქტი. ეს ძალიან მისასალმებელი ფაქტია პრეზიდენტისგან. როგორც იცით, სამი უვადო პატიმარი ქალბატონი გვყავდა და პრეზიდენტის შეწყალებით ახლა ისინი აღარ არიან უვადო პატიმრები. დღეს საქართველოში ქალი უვადო პატიმარი აღარ არსებობს.

ციხის დირექტორის თქმით, თეა ბრალდებებს სრულად არ აღიარებს და საქმესთან მიმართებაში კითხვის ნიშნები აქვს.

ნესტან ვერულაშვილი: თეა აცხადებს, რომ, კი, მე გამოვძალე თანხა, ვცემე 5 ინდოელი, მაგრამ მე ისინი არ გამიტაცია. თავისუფლება არ შემიზღუდავს მათთვის. ესაა, რასაც თავად ამბობს. ჩვენი პრეროგატივა არ არის, ჩავერიოთ სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მისი საქმე დახურულ სასამართლოზე განიხილეს და ინდოელები არ ესწრებოდნენ პროცესს. ბევრი კითხვის ნიშანია, რომელსაც ის არ ეთანხმება.

– როგორი ურთიერთობა აქვს თეას ოჯახის წევრებთან?

– გეტყვით, რომ თეას ჰყავს 4 შვილი და ძალიან კარგი დედაა. თვეში სამჯერ მოდიან პაემანზე. ჰყავს მშობლები, ქმარი. წელს აბარებს უფროსი ვაჟი და როგორც ვიცი, რაგბისტია, ჰყავს და. ყოველთვე მობრძანდებიან მისი ოჯახის წევრები, სატელეფონო კავშირი კი ყოველდღიური აქვს. მე ვფიქრობ, ჩადენილია თუ არ არის ჩადენილი დანაშაული, ეს არ არის ჩემი პრეროგატივა, მაგრამ ჩემი პრეროგატივა არის, შევხედო, რამდენად მზად არის ის დაწესებულებიდან გავიდეს და იყოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, აი, ამაზეა ლაპარაკი. ჩემი აზრით, ის ამისთვის მზად არის. მას ძალიან სტკივა, რომ შვილებთან არ არის. გაცილების პროცესი ძალიან მძიმეა ხოლმე, როდესაც ისინი პაემნიდან გადიან, თეა კი აქ რჩება.

– რა მოლოდინები გქონდათ? ელოდით პრეზიდენტის შეწყალების კომისიისგან უარს?

– იცით, მე ვერ ვიტყვი იმას, რომ აუცილებლად პრეზიდენტმა უნდა შეწყალოს. ამის დავალდებულების უფლება არ გვაქვს. მაგრამ მე სურვილის დონეზე ვიტყოდი, უფრო კარგად და უფრო გულისხმიერად მოეკიდონ ამ საკითხს. ქალი, რომელსაც პირველი ნასამართლობა აქვს და თითქმის 6 წელი გაატარა ციხეში, ვფიქრობ, ეს მისთვის საკმარისია. ქალბატონი ამ შანსს იმსახურებს.

ჩვენ თეას მამას, მურთაზ სირაძესაც დავუკავშირდით. მისი თქმით, თეა იდეალური შვილი და დედა იყო.

მურთაზ სირაძე: მე რა ვიცი, იქ რას აკეთებს. სანამ თავისუფალი იყო და ქუჩაში იყო, გადასარევი შვილი, გადასარევი მეუღლე და დედა იყო.

ისეთი განაჩენი გამოუტანეს, გეგონება, ბინ ლადენი ყოფილიყო.

თეას მამა პროკურორის ინტერესებზეც საუბრობს. მისი თქმით, პროკურორი დიდი რაოდენობით თანხას ითხოვდა.

თეას მამა: „ან თანხას მოგიტანენ, ან ციხეში დაგილპობ შვილსო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მინაღლური საქმე

ციხის დირექტორი: „თეა სირაძე არის საძაგალითო პატიმარი, ის იმსახურებს თავისუფლებას!“

მურთაზ სირაძე: პროკურორმა დამიბარა, რომ მივედი, ისე გადაწვა სავარძელში, რომ არ იცით. აქ რა იყო, იცით? – მისი მეორე მეუღლე ხომ არაბია, ეტყობა, ეგონა, არაბია, მილიონერია და ფულს შევაწერო და 50 ათასი დოლარი მოგვთხოვა. ან თანხას მომიტან, ან ციხეში დაგილპობ შვილსო, – ასე მითხრა.

ახლა ადვოკატი არ ჰყავს. ძველი ვინც გვყავდა, ცუდად მუშაობდა. საქმეს გვიწელავდა და თურმე მონინააღმდეგეების მხარეზე ყოფილა. კერძო ადვოკატი იყო.

ის თეას ოჯახთან ურთიერთობაზეც საუბრობს. თეას დედას, შვილის პატიმრობის გამო, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა.

მურთაზ სირაძე: შვილებთან გადასარევი, არნახული ურთიერთობა აქვს, ქალიშვილს ჭკუა ეკეტება, ისე უყვარს. რომ მიმყავს ხოლმე, ნამოსვლა აღარ უნდა ბავშვს. ყველა შვილს ძალიან უყვარს. მე ჩემი პრობლემები მაქვს, მეუღლე მყავს აგერ ცუდად, გულის პრობლემები აქვს და გული მისკდება, არაფერი დაემართოს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქალიშვილზე ნერვიულობის გამო ხდება. თეა ბავშვობაში, რომ დაიბადა, სუსტი იყო და ყველა დედას სუსტი შვილი უფრო უყვარს, ბუნებრივი მოვლენაა, დედამისი გადამკვდარი იყო თეაზე.

– როგორც ვიცით, თეა კიქბოქსინგში საქართველოს ჩემპიონია...

– დაახლოებით 7-8 წლისა იყო, კარატეზე რომ მივიყვანეთ. ძალიან ბიჭური გოგოა, რა, თავიდანვე ეტყობოდა, რომ რაღაცას მიაღწევდა. 10-12 წლის იყო, რომ კინბოქსინგზე გადავიდა და მერე წარმატებას მიაღწია. მაგრამ ისეთი პერიოდი იყო, რომ ეს კინბოქსინგი რეკლამირებული სპორტი არ იყო. მთელ ციხეს უყვარს. როგორც მე ვიცი, ციხის უფროსი საკუთარი შვილივით უყურებს. უთქვამს, სანამ მე აქ ვიქნები, შენ ვერავინ ვერ დაგჩაგრავსო. ძალიან მადლობელი ვარ იმ ქალბატონის. ციხეში ყველა ეფერება.

თეას საქმეს „დემოკრატიის ინსტიტუტმა“ და მისმა ხელმძღვანელმა ლაშა ჩხარტიშვილმა მოჰკიდა ხელი. მისი ორგანიზებით, სოციალურ ქსელში სპეციალურად შექმნილი მანიფესტი გავრცელდა და ონლაინხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

ლაშა ჩხარტიშვილი: სრულიად არაადეკვატურად მკაცრი სასჯელია ქალბატონ თეასთან მიმართებაში. ის რეალურად აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ ცემის ფაქტს. რაც თავდაცვის მომენტი იყო, მისივე შეფასებით. აქედან გამომდინარე, ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ ეს ადამიანი შეინწყალონ. ის არის 4 შვილის დედა. ი მ

ნესტან ვერულაშვილი

ვითარებაში, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერ-პარლამენტარის, ბობოხიძის ძმის შეწყალება ხდება პრეზიდენტის მხრიდან, ბუნებრივია, თეა სირაძე უნდა იყოს ყველაზე კარგი კანდიდატი. თუკი ვინმე შეწყალებას იმსახურებს, ეს თეა სირაძეა. არაბუნებრივია, რატომ ხდება ასეთი რამ, მით უმეტეს მარგველაშვილის პირობებში. როდესაც ის ქალთა უფლებებზე საუბრობს და მეორე მხრივ, მასთან არსებული კომისია და თავად პრეზიდენტი ყველაზე იშვიათად სწორედ ქალებს იწყალებს ხოლმე.

იმედი გვაქვს, რომ გიორგი მარგველაშვილი ადეკვატური იქნება შექმნილი ვითარებისა და ამჯერად მაინც შეიწყალებს ამ ადამიანს. მით უმეტეს, იმ ვითარებაში, როდესაც ბაჩო ახალაიას ციხის ბუნტთან მიმართებაში 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, თეას ცემისთვის კი 28 წელი მიუსაჯეს.

„დემოკრატიული ინსტიტუტის“ ორგანიზებით თეას საქმეს ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე მიხედავს. ის მსჯავრდადებულს უკვე შეხვდა.

გრიგოლ გაგნიძე: რაღაცნაირად გვრჩება ეჭვი, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობა სცდება სამართლიანობის აღდგენის მოტივაციას, რაც მისი ძირითადი მოვალეობა უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა არ უნდა გამოიყენოს შეწყალების უფლება, ისე როგორც ეს მას უნდა. ის უნდა დაემორჩილოს საზოგადოების, უფლებადამცველების სამართლიან მოთხოვნას. როდესაც ციხის ადმინისტრაცია დადებით რეკომენდაციას აძლევს მსჯავრდადებულს, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამის იგნორირება არ უნდა გააკეთოს, ეს ინვევს უსამართლობის განცდას. მე საქმის მასალებს ვსწავლობ, მის უფლებებს დავიცავ და თვალყურს მივადევნებ პროცესის მიმდინარეობას.

7 აგვისტოს თეა სირაძემ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით კვლავ მიმართა. გთავაზობთ ამონარიდს განცხადების ტექსტიდან:

თეა სირაძე: „ბატონო პრეზიდენტო, როგორც მოგეხსენებათ, ვარ კინბოქსელი, სასჯელს ვიხდი იმ დანაშაულისთვის, რასაც თავდაცვის მიზნით 5 ინდოელის ცემა ჰქვია. მე რომ ფიზიკურად მათზე ძლიერი არ აღმოვჩენილიყავი, დღეს ან გარდაცვლილი ვიქნებოდი, ან ხეიბარი, მაგრამ აღნიშნული სიძლიერის გამო მომისაჯეს 28 წელი. მე ვაღიარე, დღესაც ვაღიარებ, რომ ვიყავი მათზე ძლიერი და 5 ინდოელი მართლა ვცემე და გამოვძალე თანხა. მაგრამ არასდროს არ მიღიარებია და არც შემდგომში ვაღიარებ, რომ მე ან ვითაღლითე ან ტაქსით 5 ინდოელი გავიტაცე. ამდენად, ჩემ მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, ობიექტური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, უკანონოდ მივიჩნევ... მე, ოთხი შვილის დედას, უკვე ძალა გამომეცალა, ის ვამტკიცო, რა ჩავიდინე და რა არ ჩამიდენია. მაგრამ მე ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვარ... წარმოადგენს თუ არა ჩემი განთავისუფლება საზოგადოებისთვის საშიშროებას?! მოგახსენებთ, რომ არავითარ საშიშროებას არ წარმოვადგენ საზოგადოებისთვის, რადგან იმ საზოგადოებაში არიან ასევე ჩემი მშობლები, მეუღლე, ოთხი შვილი, ყველა ის ადამიანი, ვისაც მე ვუყვარვარ და ვინც მე მიყვარს. მე მიყვარს ჩემი საქართველო, თითოეული მოქალაქე, მიუხედავად მისი ეროვნებისა. ძალიან მიყვარს სიცოცხლე“.

7 აგვისტოს „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ლაშა ჩხარტიშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინ ბრიფინგი გამართა, სადაც თეა სირაძის უფლებებსა და მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა. მან ამავე დღეს, ზემოაღნიშნული მანიფესტის 1200-მდე ხელმოწერა და თეა სირაძის მიერ დაწერილი შეწყალების განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩააბარა.

პროცესი გრძელდება. თეა სირაძე, მისი ოჯახი, საზოგადოება და უფლებადამცველები პრეზიდენტის შეწყალების იმედზე არიან. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. შეძლებს თუ არა შვილებთან დაბრუნებას მსჯავრდადებული თეა სირაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბაქრაძე – სიის პირველი ნომერი

პრობლემები აქვს ერთადერთ ოპოზიციურ პარტიასაც. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ე.წ. ახალ და ძველ თაობებს შორის ბრძოლა ამ უკანასკნელით დასრულდა. გიორგი ვაშაძე თავისი განახლების იდეით მიუღებელი აღმოჩნდა როგორც პარტიისთვის, ისე, როგორც ჩანს, სააკაშვილისთვისაც. ოდესის გუბერნატორმა თავის ძველ თანამებრძოლებს მხარი სრულად დაუჭირა.

ელოდებიან, რომ საარჩევნო სიაშიც ძირითადად ძველი სახეები მოხვდებიან. რაც შეეხება სიაში პირველ ნომერს, სავარაუდოდ, მას დავით ბაქრაძე დაიკავებს. შიდა კვლევების თანახმად, სწორედ ბაქრაძეს აქვს ნეიტრალების ყველაზე დიდი მოწონება. შესაბამისად, ნაციონალები მისი ფიგურის წინ წამოწევით შეეცდებიან, ნეიტრალები მიიზიდონ.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერი მიხეილ სააკაშვილია. ასე რომ, არ არის გამორიცხული, არჩევნების წინ ტაქტიკა მანაც შეცვალოს. თუ მმართველ კოალიციაში ახალი სახეები გაჩნდებიან, სააკაშვილი ძველი სახეებით რინგზე ვერ ავა, ამიტომაც, არ გამორიცხავენ რომ განახლების პროცესი იქაც დაიწყოს. ახლა არავის აწყობს ფრაქციაში წლის ამღვრევა.

ბურჭულაძე პოლიტიკაში?

ეს არჩევნებიც არ გახდა გამონაკლისი. საარჩევნო ციკლში შევედით თუ არა, ჭორებიც მაშინვე აგორდა. პაატა ბურჭულაძე კვლავაც დასახელდა იმ პერსპექტიულ ფიგურად, რომელიც შეიძლება პოლიტიკაში შემოვიდეს და თამაშის წესები მეტ-ნაკლებად შეცვალოს. თუმცა ამ ხმებს, უკვე მერამდენედ, მისი გარემოცვა უარყოფს.

ასეთივე ჭორებს იწვევს ლევან ვასაძის პერსონაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ვასაძე ამ ხმაურს გაეთიშა. მას შემდეგ, რაც რუსეთში წავიდა სამუშაოდ, მის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას (პირდაპირ ყოველ შემთხვევაში) აღარ ელოდებიან.

მაგნიტის როლს ითამაშებს თუ არა პაატა ბურჭულაძე?

დაკვირვებულ ექსპერტებს, რომელთა შორის პოლიტიკოსებიც არიან, კონკრეტულად ბურჭულაძესთან დაკავშირებით უჭირთ საუბარი, თუმცა, აცხადებენ, რომ შანსების მქონე ცნობილი ადამიანები ხშირად საკუთარ შანსებს არჩევნებში კარგად აბანდებენ ხოლმე. პოლიტიკაში ფულს მხოლოდ იმიტომ არ იძლევიან, რომ კენჭი იყარო, იმისთვისაც იძლევიან, რომ კონკურენციის ველიდან გახვიდე და ხელი არ შეუშალო სხვას. მაგალითისთვის ლევან ვასაძე მოჰყავთ, რომელიც რამდენჯერმე აშკარად იდგა ხოლმე პოლიტიკაში შემოსვლის ზღვართან, პოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებდა და საკუთარ გავლენებსაც ზომავდა ქუჩაში. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში ასპარეზიდან ქრებოდა.

აგვისტოს ომი

ლალი თვალიაშვილი

„მას შემდეგ 7 წელი გავიდა, თუმცა ჩემს გულში ჯერაც არ განელებულა ის ემოციები, რომელსაც იმ დროს განვიცდიდი. არასოდეს დამავიწყდება სისხლისფერი სამაჩაბლო, იქ დაცემული გმირები, რომლებმაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვეს სამშობლო. „სიცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა“, – თქვა ვაჟამ. ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცები შეურთდნენ ზეციური საქართველოს მხედრობას...

***

2008 წელი აგვისტო, მაშინ ჯერ მხოლოდ 9 წლის ვიყავი. მანამდე არაერთხელ დავფიქრებულვარ, რომ ომების შესახებ მხოლოდ ისტორიის ფურცლებიდან ვიცოდი და თითქოს ბედნიერიც ვიყავი, რომ მისი მომსწრე არ ვყოფილვარ. იმედი მქონდა საქართველოს უკეთესი მომავლის, რომ ის მძიმე დღეები აღარ განმეორდებოდა. თუმცა... ისეთ პატარა ქვეყანას,როგორიც საქართველოა, ფაქტობრივად, სულ ომსა და გაჭირვებაში უწევდა ყოფნა. მრავალ დამპყრობელს გავუძელით. ეს მოხდა იმ დიდი ვაჟკაცების საშუალებით, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე გაწირეს. „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი შასჭამონ მტრისანი“. ჩვენს გარშემო მუდმივად არიან გმირები, რომელთაც ვერ ვხედავთ, ან არ ვაფასებთ. ამ ომმა გამოაჩინა კიდევ ახალი გმირები. ისინი შეერწყნენ მარადისობას და მათი სახელები მუდამ უკვდავი იქნება. ომს არავისთვის არ მოაქვს სიკეთე, ბედნიერება. ის ძალიან მძიმეა, შავი ლაქაა, რომლის გაუფერულებასაც წლები და ზოგჯერ საუკუნეებიც კი სჭირდება. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს. საქართველოს ჯერაც არ ჰქონდა მოშუშებული ის იარა, რომელიც აფხაზეთმა დაამჩნია და ახალი დაემატა – სამაჩაბლო.

***

მართალია, აგვისტოს ომის დროს მოვლენათა ეპიცენტრში არ ვყოფილვარ, თუმცა მთელი სულითა და გულით ვიყავი იმ ჯარისკაცებთან, რომლებიც ქვეყნისთვის იბრძოდნენ, ჩემს თანატოლებთან, რომელთაც უსამართლოდ მოექცნენ, დაატოვებინეს სახლ-კარი და დევნილებად აქციეს. ყოველ ღამით თითქოს ჩემს ყურშიც ჩაისმოდა ჭურვის ხმა, ტკივილი, სევდა... თითქოს სიზმარში ვიყავი, რომლის დასრულებასაც ველოდი, მაგრამ... ომმა მთელი ერი გააერთიანა, ყველა ადამიანის თვალებში იგრძნობოდა სევდა... ამ დროს მე ვიყავი ბანაკში, მახსოვს, თავზე გადაგვიფრინა რუსების ვერტმფრენმა და იცით, რაზე ვფიქრობდი? ვისთვის იყო ეს ჭურვი გამზადებული, მას ხომ მხოლოდ აუარება სისხლი მოჰქონდა. ბანაკში მყოფ ბავშვებს ერთი რამ დაგვრჩენოდა – ლოცვა... ახლაც მახსოვს ჩვენი ლოცვა სამშობლოზე. ღმერთს ვთხოვდით, რომ როგორმე აგვრიდებოდა ეს განსაცდელი. იმ დროს ბევრი ადამიანის თვალებზე დავინახე ცრემლი. ჩვენ ყველას ერთი რამ გვაერთიანებდა – სამშობლოს სიყვარული.

***

აგვისტოს სისხლიანი ხუთი დღე ნამდვილად დიდი ტრაგედია იყო. ტელევიზორში ყოველდღიურად იმის ყურება მიწევდა, როგორ აოხრებდნენ ქართულ სოფლებს. აცხადებდნენ ინფორმაციას გარდაცვლილებისა და დაშავებულების შესახებ. დღესაც არ ამომდის თვალიდან კადრი იმ ბიჭის, რომელსაც ომში დედა, მამა და ჯერ არდაბადებული, მუცლად მყოფი ძმა მოუკლეს. მას დიტო ერქვა. იმ წუთას ეს ბავშვი ჩემთვის ძალიან ახლობელი გახდა, მეც წარმოვიდგინე თავი მის ადგილას და საშინელი სევდა დამეუფლა. ამ უსამართლო ომმა მას ხომ დაუკარგვინა ყველაზე ძვირფასი ადამიანები.

„ლევანის დაფლეთილი სხეული მოშორებით მოჩანდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ აშანტაჟებს ბურჯანაძეს

არჩევნებზე ყველაფერი შეიძლება გაიყიდოს, რაც კი უფრო ძლიერს გამარჯვებისთვის გამოადგება. ასე ყიდიან პატარა და წაგებული პარტიები, მაგალითად, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს. და როგორც ამბობენ, სწორედ ამიტომ იყიდა თავის დროზე ნინო ბურჯანაძემ გიორგი თარგამაძის „ქდმ“. პარტიაში კარგად იცოდნენ, რომ მომავალ არჩევნებზე შანსები აღარ ჰქონდათ, წაგების შემთხვევაში კი კვალიფიციური სუბიექტის სტატუსსაც დაჰკარგავდნენ. ეს სტატუსი არა მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებას გაძლევს, არამედ ცესკოში წარმომადგენელსაც. ამიტომ დაინტერესდა ბურჯანაძე „ქდმ“-თი და ამიტომაც არავის სჯერა პოლიტიკაში, რომ ეს გარიგება უსასყიდლოდ დაიდო და ბურჯანაძემ „ქდმ“-ს პოლიტელიტას არაფერი გადაუხადა. აქ კი, ფანტაზიის მიხედვით, ციფრები რამდენიმე მილიონსაც კი აღწევს.

და ამ ძვირადღირებული პროექტიდან ნინო ბურჯანაძე მოულოდნელად სასამართლოს წესით ჩახსნეს. გოჩა ჯოჯუასა და სხვათა სარჩელის საფუძველზე საქალაქო სასამართლომ ნინო ბურჯანაძის „ქდმ“-ს თავმჯდომარედ არჩევა ბათილად ცნო.

კახა კუკავას განმარტებით, მას შეუძლია, დაუბრუნდეს თავის ძველ პარტიას. რაც შეეხება „ქდმ“-ს , მისი თავმჯდომარე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ გოჩა ჯოჯუა გახდება. კახა კუკავას განმარტებით, სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საფუძვლიანად, რადგანაც მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა სია, რომლებმაც ყრილობაზე ნინო ბურჯანაძის არჩევას დაუჭირეს მხარი. ეს სია 300-კაციანი მაინც უნდა ყოფილიყო. კახა კუკავას განმარტებით, ნინო ბურჯანაძის თავმჯდომარედ არჩევას მხოლოდ სამმა ადამიანმა დაუჭირა მხარი. ესენი არიან გიორგი თარგამაძე, გიორგი ახვლედიანი, ლევან ვეფხვაძე. კახა კუკავას გამარტებით, ნინო ბურჯანაძე დაკარგავს არა მარტო „ქდმ“-ს თავმჯდომარეობას, არამედ მას ჩამოერთმევა კვალიფიციური სუბიექტის სტატუსიც, არ ექნება დაფინანსება და არ ეყოლება ცესკოში წარმომადგენელი. კუკავას განმარტებით, საქმის ადვოკატები მოიფიქრებენ, რამდენად შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, თარგამაძის, ვეფხვაძისა და ახვლედიანის წინააღმდეგ.

რადგანაც ძალიან ბევრი კითხვა ისმის, როგორ მოახერხა პროდასავლური ორიენტაციის პარტიის თავმჯდომარემ, საკუთარი პარტია მიეცა ისეთი პრორუსული ძალისთვის, როგორიც ნინო ბურჯანაძეა. მისივე განმარტებით, ეს მიცემა უანგარო არ იქნებოდა.

გიორგი ახვლედიანის განმარტებით, ამ პროცესის უკან დგას ხელისუფლება, რომელიც ასეთი გადაწყვეტილებით ცდილობს, ჩამოიშოროს ისეთი კონკურენტი, როგორიც ნინო ბურჯანაძეა. მისი თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილება იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ პარტია ახლიდან ჩაატარებს 2014 წლის მაისში ერთხელ უკვე ჩატარებულ ყრილობას. ახვლედიანის გამარტებით, ამ ყრილობაზე ვერ მოხვდება ვერც ერთი ის პირი, ვინც სარჩელი შეიტანა სასამართლოში. მათ შორის ვერც გოჩა ჯოჯუა. იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ჯოჯუა საერთოდ არ ყოფილა „ქდმ“-ს წევრი. დანარჩენი ადამიანები კი ისედაც გაყრილები იყვნენ პარტიიდან.

რა არის ახლა მთელი ამ ისტორიის ინტრიგა? თუკი ადრე თარგამაძემ, ვეფხვაძემ და ახვლედიანმა სარფიანად დააბანდეს კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი, ახლა იგივეს გოჩა ჯოჯუა შეეცდება. ეს ერთგვარი ტენდერია, თუმცა იგებს ის, ვინც უფრო მეტს გადაიხდის. ბურჯანაძეზე მეტი თუ სხვამ გადაიხადა, შესაძლოა, ბურჯანაძე სტატუსის გარეშე დარჩეს.

გაერთიანებული დემოკრატები ირწმუნებიან, რომ საშიში არაფერია, ყრილობას თავიდან ჩაატარებენ და ბურჯანაძეს პარტიის თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩევენ.

თუმცა, წინასაარჩევნოდ ეს სკანდალი ბურჯანაძეს, როგორც ჩანს, უსიამოვნებებს ვერ აარიდებს.



ვერც დაარტყა და ვერც იჩივლა

მაინც სცემა, თუ ყველაფერი მოგონილია? რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზურაბ ჟვანიას ბიჭი, რომელიც უკვე სტუდენტია და ამერიკაში სწავლობს, გიორგი ბარამიძეს ერთ-ერთ ბარში შეეჩეხა და ფიზიკურად გაუსწორდა. სოცქსელებში ბუსა ჟვანიას ფრაზამაც გაიჟღერა. ცემის დროს მას თურმე უთქვამს: „თქვენ მამა მომიკალით, თქვენი ცხოვრებით შეურაცხყოფთ მამაჩემის სულს, ყველამ იცოდეთ, არ გაპატიებთ და განაჩენსაც მე გამოგიტანთ“.

ამ ინფორმაციის გავრცელებიდან 2 საათში გია ბარამიძემ ინციდენტი უარყო. მისი კომენტარი ზოგადი იყო და გაუგებარი დარჩა, შედგა თუ არა შეხვედრა: „სახელისუფლებო არხებით გავრცელებულ ინფორმაციაზე, ჩემი და ჩემი უახლოესი მეგობრისა და ლიდერის შვილთან (რომელიც ჩემს თვალწინაა გაზრდილი), ბუსასთან დაკავშირებით, მინდა ვთქვა, რომ ისევე როგორც ზურას ოჯახის სხვა წევრებთან (რომლებიც, პირველყოვლისა, არიან ზურას გარდაცვალებით გულმოკლულები) დაპირისპირება არასდროს მქონია და არც მექნება. მე ზურას საქმესთან დაკავშირებით, პირველყოვლისა, ის მაღელვებს, რომ კვლავ გრძელდება ზურას სახელით სპეკულაცია და მისი ხსოვნის შეურაცხყოფა. მეც და ზურას სხვა მეგობრებიც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ზურას ხსოვნას მომავალში შესაბამისი პატივი მიეგოს“.

საინტერესოა, რომ თვითონ ბუსას კომენტარი არ გაუკეთებია. მან ინციდენტი არც უარყო და არც დაადასტურა. თუმცა, ინციდენტს თვითმხილველები ჰყავს და ამბობენ, რომ ბუსა ბარამიძეს სერიოზულად გაუსწორდა.

სხვა შემთხვევა რომ ყოფილიყო, ბარამიძე, ალბათ, სამართალდამცავებს აუცილებლად მიმართავდა. როგორც, მაგალითად, ნუგზარ წიკლაურმა მიმართა, სახლის სადარბაზოსთან რამდენიმე პირი დამხვდა და ფიზიკურად გამისწორდაო. თუმცა, ბარამიძე ამ ინციდენტს გადაყლაპავს, ისევე როგორც, ბუსასთვის არ შეუბრუნებია ხელი. ცემის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ბუსა ჟვანიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა, ხალხი კი იტყოდა: ზურა ჟვანია მოკლეს, მის შვილს კი აჭერინებენო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი გაგლოევი

ივანა მელაი

მაგდა კლდიაშვილი

ვისთან ერთად დაისვენა მაია ასათიანმა

ტელეწამყვანმა, მაია ასათიანმა „პროფილის“ გუნდთან ერთად ეგვიპტეში დაისვენა.

„პროფილის“ პროდიუსერის, ნიკოლოზ ხაჩიძის მიერ გამოქვეყნებულმა ფოტოებმა, სოციალური ქსელის მომხმარებლის ინტერესი გამოიწვია. ნაწილმა მიიჩნია, რომ ნიკა მაია ასათიანის რჩეული მამაკაცია. ვისთვისაც ჯერ ცნობილი არ არის, გეტყვით, რომ ნიკა უკვე წლებია ყვითელი პრესის ჟურნალისტია. ახლა გადაცემა „პროფილის“ პროდიუსერია და ტელეწამყვანთან თანამშრომლობასთან ერთად მეგობრობაც აკავშირებს.

ბუბა დაუშვილს ქალიშვილი შეეძინა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „კარპატის“ ნახევარმცველს, ბუბა დაუშვილს ქალიშვილი შეეძინა. მაშო დაუშვილი ქვეყანას 5 აგვისტოს, „იმედის“ კლინიკაში მოევლინა და 3,5 კილოგრამია. ეკო ჭუმბურიძისა და ბუბა დაუშვილისთვის, მაშო მეორე ქალიშვილია. წყვილი კი ერთად სამ გოგონას ზრდის. როგორც ეკო ამბობს, შუათანა, ტასო, პატარა დაზე ძალიან ეჭვიანობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო მჭედლიშვილი

ანრი ჯოხაძის საზაფხულო ვნებანი - როგორ გაცვალა მაკა შალიკაშვილი დალი ჩიტალაძეში



„იქს ფაქტორის“ დასრულების შემდეგ, მომღერალმა ანრი ჯოხაძემ შეიძლება ითქვას, რომ „აიწყვიტა“. მის მიერ სოციალური ქსელში გამოქვეყნებულ საზაფხულო ფოტოებს ბოლო არ უჩანს. მისი ფოტოპარტნიორების თვლა უკვე შეუძლებელია. ერთ-ერთ ფოტოში ანრის საწოლში მაკა შალიკაშვილიც კი აღმოვაჩინე.

- მაკა, ანრი ჯოხაძის საწოლში რას აკეთებდი?

- აბა, თუ გამოიცნობ (იცინის)? მარტო ვერ ვჩერდები ნომერში და ხან ვისი ოთახის კარზე ვაკაკუნებ, ხანაც ვისი. ანრისთან ერთად ყოველთვის კარგ დროს ვატარებ, სადაც არ უნდა ვიყო, უბრალოდ, ფოტოსთვის დავწექი და მალევე ავდექი (იცინის).

- გავიგე, დალი ჩიტალაძეში გაგცვალა...

- ჰო, ბარგი ჩაალაგა და დალისთან ერთად გრიგოლეთში წავიდა.

შოთა გრიგალაშვილი უგუნდოდ დარჩა

29 წლის ქართველი ნახევარმცველი, შოთა გრიგალაშვილი, რომელსაც ეროვნული ნაკრების მაისურიც რამდენჯერმე აქვს მორგებული, უგუნდოდ დარჩა.
„ომონიადან“ „ნიასალამისში“ გადასულმა ფეხბურთელმა სერიოზული ტრავმა მიიღო, რომლის შემდეგაც, კლუბმა მასთან კონტრაქტი გაწყვიტა, ახლა კი ფეხბურთელი უგუნდოდ არის და რეაბილიტაციის პროცესს თბილისში გადის.

დიმიტრი ტატანაშვილი „სიონში“ იჯარით ითამაშებს

31 წლის თავდამსხმელი, დიმიტრი ტატანაშვილი ბოლნისის „სიონში“ არენდით ითამაშებს.
ბათუმის „დინამოსა“ და ბოლნისის „სიონს“ შორის შეთანხმება 4 დღის წინ შედგა. ტატანაშვილს ბათუმელებთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, 6 თვით კი ის ბოლნისელთა ღირსებას დაიცავს.
ბათუმის „დინამოს“ მაისურით, ტატანაშვილმა 5 გოლის გატანა შეძლო. თავის მხრივ, „სიონმა“ ერთი თვის წინ, ბათუმელებს პორტუგალიელი ლეგიონერი, ლუის მედინა დაუთმო, რომლის ტრანსფერიდანაც, ბოლნისელებს 20% შეხვდებათ.

იუნა შაფათავა

ქეთი ორჯონიკიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ აპირებს ხელისუფლება მედი

„სუბსიდირება ძალიან მძიმე მეთოდია და შეიძლება ფარმაცევტული ბიზნესის გაძრობა გამოიწვიოს“

„მედიკამენტის ხარისხს აკონტროლებს ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, რომელიც საქართველოში არ არის“

„რასაც ჩვენ ვერ დავუშვებთ, ეს არის უხარისხო მედიკამენტების შემოტანა“

ბაზარზე ინდური და უხარისხო

სალომე ჩადუნელი

შემოდგომაზე 200 დასახელების მედიკამენტი უნდა გაიაფდეს. ჯანდაცვის მინისტრმა პირობა უკვე დადო ჯერ კიდევ ორი თვის წინ, თუმცა სერგეენკოს სხვა დეტალები არ გაუსაჯაროებია. ჯანდაცვის სამინისტრო დღემდე თავს იკავებს ამ პროექტის გასაჯაროებისგან. როგორც უწყებაში განგვიმარტეს, ჯერ მუშაობა არ დასრულებულა და დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

მანამდე კი კულისებში უკვე დაისვა ყველაზე საინტერესო კითხვები: ხომ არ დაიწევს მედიკამენტებზე ფასი ხარისხის სანაცვლოდ? ანუ გაიაფდება იმიტომ, რომ გაცილებით უხარისხო იქნება. ითქვა, რომ საქართველოში უკვე დარეგისტრირდა 60-მდე ინდური წარმოების მედიკამენტი, რომელიც ქსელში სწორედ დაბალი ფასებით შემოვა. ვარაუდობენ, რომ იაფი წამლების ხარისხი გაცილებით დაბალი იქნება. ამ ვარაუდებს კატეგორიულად არ ეთანხმებიან ჯანდაცვის სამინისტროში. მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, რომ ინდოეთშიც არიან კარგი და ცუდი ფირმები და ყველა მედიკამენტი, რომელიც საქართველოში რეგისტრირდება, ხარისხზე შემოწმებას გადის.

ზოგიერთი ექსპერტის მინიშნებით, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. დაბალი ფასები უკვე არსებულ სააფთიაქო ქსელებს არ აწყობთ, შესაბამისად, სწორედ ისინი შეეცდებიან იაფ წამლებზე შეტევას.

თუმცა, ჯერ ფაქტია, რომ დაანონსებული გაიაფების იქით, სხვა დეტალები არ საჯაროვდება. ეს კი ყოველთვის იწვევს ზედმეტი მითქმა-მოთქმისა და ვარაუდების გამოთქმის საფუძველს.

ჩვენ დავუკავშირდით ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს ვალერი კვარაცხელიას და ფასების კლების პროცესების, კონკრეტული თარიღებისა და ხარისხის კონტროლის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება ვცადეთ. მისი განცხადებით, მედიკამენტების სიაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

– თავიდან იყო დაახლოებით 1010 დასახელება, ახლა გვაქვს 370 და აქედან შეიძლება შეირჩეს ის 200 დასახელება, რომელზეც მინისტრი საუბრობდა. მთლიანობაში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კონკურენციის გაზრდით მოხდება. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი კომპანია აპირებს შემოსვლას და კონკურენცია რომ გაიზრდება დარწმუნებული ვარ, ფასებიც დაიკლებს. ისმის კითხვა: აპირებს თუ არა სახელმწიფო სუბსიდირებას? სუბსიდირება ძალიან მძიმე მეთოდია და შეიძლება ფარმაცევტული ბიზნესის გაქრობა გამოინვიოს, ამიტომ ძალიან გამოუვალი მდგომარეობა თუ არ იქნება, ფასების რეგულაციის პროცესში სახელმწიფო არ ჩაერევა. დღეს კი ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ.

სამინისტროში მედიკამენტების გაიაფების კონკრეტულ თარიღს ვერ ასახელებენ და ვერც იმ წამლებს აკონკრეტებენ, რომლებიც გაიაფდება, თუმცა აღნიშნავენ, რომ ფასების კლება წამლების ყველა ჯგუფსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრეპარატებს შეეხება.

ვალერი კვარაცხელია:

– ჩვენ გვინდა რომ, მინიმუმ 30%-ით გაიაფდეს, 30-დან 50%-მდე. სურვილი გვაქვს 50%-ით გაიაფების და როგორ შევძლებთ, ეს უკვე კონკრეტულად იმ პერიოდში გეცოდინებათ.

– რომელი სააფთიაქო ქსელები გაიაფებენ მედიკამენტებს?

– სააფთიაქო ქსელებისთვის კონკურსი გამოცხადდება და ყველა მიიღებს მონაწილეობას. ვინც ყველა პირობას დააკმაყოფილებს, ის გაიაფებს.

– და რა პირობები უნდა დააკმაყოფილონ?

– წინასწარ ვერ გეტყვით. შემოდგომაზე გამოცხადდება კონკურსი იმ დასახელების მედიკამენტებზე, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინც ყველაზე კარგ ფასს მოგვცემს, ის მოიგებს. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესია ფასის დაკლება, სახელი და გვარი არ არის ინტერესი.

– მიმდინარეობს თუ არა კონსულტაციები სააფთიაქო ქსელებთან?

– მიდის კონსულტაციები სიებთან დაკავშირებით არა კონკრეტულ ქსელთან, არამედ ასოციაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ფარმაცევტული მიმართულებით მუშაობენ. ფარმაცევტული მიმართულებით მომუშავე არასამთავრობოები ძალიან ბევრნი არიან და მათთან თანამშრომლობა შესაძლებელია.

– თქვენ საუბრობთ, რომ ახალი მოთამაშეები შემოვლენ ბაზარზე, ვინ იქნებიან ისინი კონკრეტულად?

– ვინ იქნებიან, რა თქმა უნდა, კონკრეტულად ვერ გეტყვით. ჩვენთან ლიბერალური კანონმდებლობაა და ყველას აქვს შესაძლებლობა, ბაზარზე შემოვიდეს. ერთადერთი, რასაც ვერ დავუშვებთ, ეს არის უხარისხო მედიკამენტების შემოტანაა და თუ ხარისხიანს შემოიტანენ, შემოსვლის პრობლემა არასდროს ექნებათ.

– ანუ ბაზარზე შემოსვლისთვისაც კონკურსი გამოცხადდება?

– არა, ბაზარი ღიაა. ნებისმიერ დროს შეუძლია შემოვიდნენ, თუ დააკმაყოფილეს ის, რასაც მედიკამენტის ხარისხი ჰქვია.

– როგორ კონტროლდება მედიკამენტის ხარისხი?

– საერთოდ, მედიკამენტის ხარისხს აკონტროლებს ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, რომელიც საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს, შემოდგომამდე, რა თქმა უნდა, ვერ მოესწრება ამ ლა-

„მედიკამენტის რეგისტრაცია ხდება ფარმაციის დეპარტამენტში და მათ ამოწმებენ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კამენტების გაიაფებას

„ჩვენთან ლიბერალური კანონმდებლობაა და ყველას აქვს შესაძლებლობა, ბაზარზე შემოვიდეს“

დავით სერგეენკო:

– 200-ზე მეტი დასახელების მედიკამენტზე ფასების მნიშვნელოვანი დაწევა არანაკლებ 50%-ით მოხდება... ასევე, მომავალი წლისთვის უნდა შევძლოთ, რომ 1000-ზე მეტი დასახელების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე მნიშვნელოვნად დავწიოთ ფასები. როგორ შევძლებთ ამას? ამისთვის ორი რამ არის საჭირო: თავიდან იყოს აცილებული ექიმების მიერ არასაჭირო, ბევრი წამლის გამოწერა. ეს არის ხარისხის კონტროლისა და პირველადი ჯანდაცვის ნაწილი და მეორე მიმართულებაა, კონკურენციის გაზრდა. ბაზარზე უნდა შემოვიდნენ ახალი მოთამაშეები. ეს ჩვენ არაერთხელ გვითქვამს. ამის შემაკავებელი ჯერჯერობით ერთადერთი ფაქტორია: ქვეყანას არ აქვს წამლის ხარისხის კონტროლის გამართული სისტემა და შესაბამისი ლაბორატორია. ვფიქრობ, შემოდგომისთვის ამის გაკეთებაც შესაძლებელი იქნება და ეს ორი ინსტრუმენტი ამ შესაძლებლობას მოგვცემს.

EXCLUSIVE

„შემოდგომაზე გამოცხადდება კონკურსი იმ დასახელების მედიკამენტებზე, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“

ნამლები შემოდის?

ბორატორიის შექმნა, თუმცა შემდეგი წლისთვის აუცილებლად გვინდა, გვქონდეს ეს ლაბორატორია. ეს არის საკმაოდ რთული პროცესი და სერიოზული თემაა, თუმცა, მუშაობა დაწყებულია.

– და ახლა მედიკამენტების კონტროლი როგორ ხდება?

– ყველა მედიკამენტი ქვეყანაში ვერ შემოვა, თუ არ გაივლის რეგისტრაციის რეჟიმს, ყველა მედიკამენტის რეგისტრაცია ხდება ფარმაციის დეპარტამენტში და მათ ამოწმებენ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში. სანამ ლაბორატორია არ გაიხსნება, ჩვეული პროცესით წარიმართება მათი ხარისხის კონტროლი.

– თუ ყველას შეუძლია ბაზარზე ნებისმიერ დროს შემოსვლა, მაშინ როგორ პროგნოზირებს მინისტრი, რომ მაინცდამაინც შემოდგომაზე შემოვლენ ბაზარზე ახალი ფარმაცევტული კომპანიები და ფასებს დაწევენ?

– კონკრეტული საათი და რიცხვი არ დასახელდებოდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დაინტერესება ძალიან დიდია, ჩვენ ძალიან ბევრ ვინმეს ვხვდებით და დაახლოებით ვიცით, რომ ბაზარზე შემოსვლის ინტერესი აქვს ბევრ კომპანიას და რომელ საათსა და რომელ დღეს შემოვლენ, ამას ვერ გეტყვით. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენ ძალიან ნორმალური კანონმდებლობა გვაქვს.

– არის თუ არა ოლიგოპოლია საქართველოში სააფთიაქო ქსელებში?

– გამიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა ამისთვის სპეციალური სამსახური არსებობს, რომელმაც დასკვნა უნდა დადოს. ვაპირებთ, მივმართოთ კიდეც ანტიმონოპოლიური სამსახურის კონკურენციის სააგენტოს, ეს კითხვა ხშირად ისმის, რომ საბოლოო დასკვნა დაიდოს და ჩვენც ვიცოდეთ, როგორ ხდება და რა ხდება.

„ავერსში“ მედიკამენტების გაიაფებაზე კომენტარს არ აკეთებენ. ჩვენ მათ წერილობითაც კი მივმართეთ, თუმცა უშედეგოდ. რაც შეეხება „PSP“-ს, კომენტარი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნათია ხაბეიშვილმა გააკეთა:

– ჩვენ ამ თემაზე კომენტარი არ გვაქვს, იმიტომ რომ ჯერ არაფერი მომხდარა, არც ის ვიცით რომელ წამლებზე იაფდება ფასი, არც – სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი. თუ ბაზარზე ახალი მოთამაშე გამოჩნდება, ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ამას მივესალმებით, რადგან ბაზარი თავისუფალია. ჯერ პროცესი არ დაწყებულა და არც ახალი მოთამაშე გამოჩენილა. ველოდებით მოვლენების განვითარებას.

ემოციური წერილი აგვისტოს ომზე

თამარ გოჭოშვილი, 20 წლის:

„ის დღეც ისე დაიწყო, როგორც სხვები იწყებოდა ხოლმე მანამ, სანამ... სანამ ჩემი სოფლის ლურჯა ცაზე საბრძოლო ვერტმფრენები არ შეკრავდნენ კამარას... მერე იყო საშინელი სიახლე – ომი იწყებოდა, დიახ, იმ საუკუნეში, სადაც ცივილიზაციის იერარქია უმაღლეს საფეხურს აღწევდა, მძვინვარებდა ომი, გაუკუღმართებული და ქვის ხანის მეთოდი კონფლიქტების მოგვარებისა... მერე იყო დედებისა და შვილების გამომშვიდობება, იყვნენ ომში ქვეყნისა და ცის დასაცავად წასული გმირები, იყო:

„ტირილი
ტირილი
ტირილი ბევრი“

და საქართველოს სიწმინდეც იყო, მისი მზის განიავებაც, ანდა მცდელობა მაინც, როგორც ასეთი...

მერე კი, ბუნდოვნად მახსოვს, როგორ ჩნდება ჩემს ტერმინოლოგიაში ტერმინი ოკუპაცია, დაპყრობა... მახსოვს მაშინ, ჩემს პატარა ძმას ნოდარ დუმბაძის მოთხრობებს ვუკითხავდი, მაშინ ყველაფერს ისე ვერ ვაცნობიერებდი, როგორც ახლა. მაშინ, ალბათ, მივიღებდი რომელიმე დაჭრილ ჯარისკაცს, თუნდაც მტრის ბანაკიდან და მათი ჭრილობების დაამებას პატარა თითებითა და დიდი გულით შევეცდებოდი, მაშინ ჩემთვის არც მტერი არსებობდა და არც ომი, მაშინ ყველაფერი სიკეთისფრად ელავდა ცამეტი წლის გოგოს თვალებში, მაგრამ მერე... მერე დავინახე, როგორ დასეირნობდნენ ტანკები ჩემს სოფელში, როგორ გადათელეს ჩემი სიძველისსუნიანი, ბავშვობისდროინდელი დედოფალა. მერე იყვნენ დაობლებული მეგობრები, გაციებული კერები, იყო აალებული კორპუსები, დამსხვრეული ვიტრინები, დამსხვრეული იმედები და მორალდამსხვრეული ადამიანები, იყო ბევრი გვამი, სიკვდილი, უფრო სწორად, სიკვდილისსუნიანი მიწა...

***

და იყვნენ ტუჩზე ახლად დედისრძეშეშრობილი ჯარისკაცები, რომელთაც ომი ჯერ კიდევ მეზობელ უბანში მცხოვრებ თანატოლებთან დაპირისპირება ეგონათ. მერე იყო წართმეული მიწა და წყალი, წართმეული ცა, მერე კი, ჩემი სახლის უკანა ფანჯრიდან საკუთარი თვალით დანახული საზღვარი, რომელიც რატომღაც სულ შორი მეგონა და კიდევ გავლებული მავთულხლართი. ისინიც იყვნენ, ვინც ბრძოლიდან განადგურებული ფსიქიკითა და ჯანმრთელობით ოჯახებს დაუბრუნდნენ. იყვნენ მუდამ გიშრისფერ, ანდა ოქროსფერთმიანად დარჩენილი ბიჭები, ანუ ისინი, ვის თმასაც ჭაღარა უკვე აღარ შეერევა და ვისი სახელის ისტორიისთვის შემონახვაც ჩვენი ვალია. მახსოვს, როგორი უუნარო და განადგურებული ვიყავი მავთულხლართის დანახვისას. ერთდროულად ათასმა განცდამ ამოხეთქა გულიდან და ვყვიროდი, რომ პუტინი ნაძირალაა, რომ ის თავად სიკვდილია, რომ ის მხოლოდ მხოლოდ ბოროტებას თესავს, უსამართლოა მისი არსებობა და ღმერთის არსებობის ყველაზე დიდი ეჭვი ჩემთვის პუტინის კეთილდღეობაა... შესაძლოა, ჩემი ყვირილი არავის გაუგონია, მაგრამ ისეთ შვებას მანიჭებდა, როგორც ებრაელ ტყვეს გერმანიის ტერიტორიაზე იმის დაძახება, რომ ჰიტლერი დამპალი ძაღლიშვილია...

***

სულ ემტერებიან საქართველოს, სულ ჯიჯგნიან, აოხრებენ, ჰგლეჯენ ნაწილებს, რომლებშიც მისი სული, წარსული და აწმყოა. იმდენჯერ მოუსპეს მთლიანობა, რომ თავად ლამისაა უსულოდ დარჩეს, მაგრამ სანამ ჩვენს მეხსიერებაში არა სულთმობრძავი, არამედ ერთიანი საქართველო არსებობს, სანამ ჩვენს მეხსიერებაში ჩანს ცხინვალის, სამაჩაბლოს ცის სილურჯე, სანამ ნაწვიმარზე კვლავ ასდის ქართული სისხლის სუნი დაკარგულ მიწას, უნდა ვიბრძოლოთ, უნდა დავიბრუნოთ, უნდა გავამთლიანოთ, რადგან დამარცხება ჭირთათმენას კი არა, დავიწყებას მოსდევს. რწმენა უნდა დავესესხოთ ჩვენს იმ წინაპრებს, რომელთაც სწყუროდათ და სწამდათ, შიოდათ და სწამდათ, სტკიოდათ და მაინც სწამდათ გამთლიანებული და გამარჯვების კვარცხლბეკზე მოკიაფე საქართველო. იმ წინაპრებს, რომელნიც ფრონტის წინა ხაზზე დადგებოდნენ, რათა თუნდაც ცის მიღმა მხრიდან გაუდაბნოებული და შელახული საქართველო არ დაენახათ... ჩვენ ხომ ვაუკაცობა ძველთაგან მოგვდევს, ხოდა, დაობლებული ბავშვების, შვილმკვდარი დედების ჯავრს არ სჭამს ქართველი, საქართველოს არ ჰყავს შვილი, დასაკარგავი!

***

თაობათა ცვლას შეხედულებათა გადაფასება მოსდევს ხოლმე, თუმცა მე მტკიცედ მწამს, რომ ჩვენ არასოდეს დავთმობთ მიწას, რომელზეც შვიდი წლის შემდეგაც კი, ყოველ აგვისტოს, რუსეთის ტანკი რონინი გველანდება. როდესაც ყოველ აგვისტოს აგვისტოს ბიჭებზე გლოვა ახლდება, როდესაც საქართველოს ცაც კი ტირის, როდესაც სუნთქვაც კი გიმძიმდება და მზად ხარ, რომ მთელი არსებით შეეწირო ქვეყანას და დაბეჩავებულ ქვეყანაში სიცოცხლეს ამავე ქვეყნის კეთილდღეობისთვის სიკვდილი გირჩევნია. ყოველ აგვისტოს ხვდები, რომ დრო ყველაფრის მკურნალი არაა და ყველაფერი ისე აღარასოდეს იქნება, როგორც იყო, და ომი, რომელმაც ამხელა ტკივილი დაგვიტოვა, მხოლოდ მაშინ დაცხრება, როდესაც გაბრწყინებული საქართველო საბოლოოდ აუყვება დიდ აღმართს, აღმართს აღმავლობისკენ, გაერთიანებისკენ, ბედნიერი, ცივილიზებული ევროპული სახელმწიფოსკენ!“

„ვყვიროდი, რომ პუტინი ნაძირალაა, რომ ის თავად სიკვდილია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა სკანდალურ ინფორმაციას მალავენ პლასტმასის ბოთლებზე

სალომე ჯოლია

ქართველმა მომხმარებელმა ხშირ შემთხვევაში არ იცის, რომ პლასტმასის ბოთლების მრავალ-ჯერადი მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას ვნებს. სხვადასხვა უცხოური კვლევები ადასტურებს, რომ ასეთი ბოთლები მხოლოდ ერთჯერადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და მეორედ ან მესამედ მისი გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა.

„მშობლები ცდილობენ, ბავშვები ნატურალური პროდუქტით გამოკვებონ, მაგრამ ამ დროს ნატურალურ პროდუქტს კი არა, შხამს ვიღებთ“

PET – ეს ის ნიშანია, რომელიც საქართველოში გამოშვებულ თითქმის ყველა ბრენდს აწერია, თუკი ის მინერალურ ან სასმელ წყალს პლასტმასის ბოთლებში ასხამს. მომხმარებელი ასეთ ნიშნებს ყურადღებას არ აქცევს და ბევრწილად იმიტომ, რომ მას ამ ნიშის მნიშვნელობას არ ეუბნებიან.

სოციალურ ქსელებში ბევრი იწერება ასეთი ბოთლების მრავალჯერადი გამოყენების მავნებლობაზე, განსაკუთრებით სიცხეში.

ჩვენ დავინტერესდით იმით, ვინ არის ვალდებული, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია ამ ნიშნების შესახებ. ამიტომ დავუკავშირდით

ორგანიზაცია „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარეს, ბატონ **გია ბურჯანაძეს.** ჩვენთან საუბრისას ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ „საზოგადოება ყურადღებას არ აქცევს მსგავს ნიშნებს, რადგან არ იცის მათი დანიშნულება. სწორედ ამიტომ, ხშირად ვხვდებით დახლებზე ამა თუ კომპანიის მიერ წარმოებულ ბოთლებში სხვადასხვა სახის პროდუქციას. ასეთ ბოთლებში ძალიან ხშირად იყიდება რძე“.

– ბატონო გია, ვინ არის ვალდებული, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია ბოთლებზე არსებული ნიშნების შესახებ?

– ნაწილობრივ, აუცილებლად სურსათის ეროვნული სააგენტო უნდა იყოს ჩართული ამ აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში და მეორე მხრივ, კიდევ უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულები არიან ამ საკითხებზე.

ზაფხულის პერიოდში საკმაოდ მწვავედ დგას პროდუქტით მოწამვლის ფაქტები. მაღალი ტემპერატურის პირობებში, იმ პროდუქტებზე, რომლებიც მსგავს პაკეტებში იყიდება, მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო. როდესაც მშობლებს პატარა ბავშვები მიჰყავთ სოფელში დასასვენებლად, ცდილობენ, ბავშვები ნატურალური პროდუქტით გამოკვებონ, მაგრამ ამ დროს ნატურალურ პროდუქტს კი არა, შხამს ვიღებთ. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა პირობებში ხდება რძის პროდუქტის დამზადება, დაცულია თუ არა ჰიგიენური ნორმები. ზოგადად, ამ ყველაფერს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა აკონტროლებდეს. მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მსგავსი პრობლემების მოგვარებაზე, რადგან მას აქვს საკმარისი ბიუჯეტი ამისთვის.

– იმ შემთხვევაში, თუ ბოთლზე აღნიშნული არ არის მსგავსი ნიშნები, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?

– რა თქმა უნდა, თავად კომპანიას. თუ ბოთლები რაიმე სახის საფრთხეს შეიცავს და კომპანია ამის შესახებ ინფორმირებულია, აუცილებლად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებასაც, რომ ეს ბოთლები მეორადად არ გამოიყენონ. მაგრამ არიან კომპანიები, რომლებიც პლასტმასის ნებისმიერ ბოთლს იბარებენ, ამუშავებენ და შემდგომში მეორადად ყიდიან. მაგალითად, თურქეთიდან იყო რამდენიმე კომპანია შემოსული, რომლებიც სხვადასხვა ტენდერებში მონაწილეობდნენ, მათ აინტერესებდათ ნაგავსაყრელები. საიდანაც აიღებდნენ პაკეტებს და ხელახლა გადაამუშავებდნენ. ჩვენც ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამ პაკეტებს ქუჩაში აგროვებენ და გადამამუშავებელ ქარხნებს აბარებენ.

გია ბურჯანაძე: „არიან კომპანიები, რომლებიც პლასტმასის ნებისმიერ ბოთლს იბარებენ, ამუშავებენ და შემდგომში მეორადად ყიდიან“

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, რას ნიშნავს პლასტმასის ბოთლებზე არსებული „PET“ ნიშანი და რამდენად უსაფრთხოა ამ ნიშნის მქონე ჭურჭლის მრავალჯერადად გამოყენება ადამიანის ორგანიზმისთვის. ამისთვის მივმართეთ გარემოს დაცვის სამინისტროს, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურს და სურსათის ეროვნულ სააგენტოს. პასუხები ერთგვაროვანი იყო.

ირმა გურგულიანი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე: PET ნიშნავს პოლიეთილენს და გულისხმობს, რომ ეს პოლიეთილენი გამოიყენება ერთჯერადად და გადამუშავებადია. არსებობს ევროკავშირის ნუსხა, სადაც ეს ყველაფერი დაწვრილებითაა აღნიშნული. ნუსხაში PET-ის გაყოლებაზე არის სამკუთხედში ჩახატული ერთიანი. შეიძლება ბოთლს PET არ ეწეროს და იყოს ეს ნიშანი. PET-ისა და ამ ნიშნის

აზრობრივი დატვირთვა ერთი და იგივეა. პლასტმასის ბოთლში ან სხვა ჭურჭელში წყლისა და საკვები პროდუქტის შენახვა რომ არ შეიძლებოდეს, ამას არ გააკეთებდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ PET ნიშნის მქონე ჭურჭელი გამოიყენება ერთჯერადად, მეორედ მასში წყალი არ უნდა ჩავასხათ. არ არის რეკომენდებული ასეთ ჭურჭელში წყლის გაყინვაც. ერთჯერადად კი მისი გამოყენება, რა თქმა უნდა, მავნებელი არ არის. მინდა აღვნიშნო, რომ ამ პლასტიკატს კოკა-კოლაც იყენებს. მნიშვნელოვანია ის, რომ გადამუშავებულ პლასტიკურ ბოთლში აღარ მოხდეს პროდუქციის ჩამოსხმა. კოკა-კოლა ამ პოზიციას ინარჩუნებს, ბრენდია და სტატუსს არ იფუჭებს.

მიუხედავად კომენტარისა, გარემოს დაცვის სამინისტროში განგვიმარტეს, რომ ამ თემის განხილვა მათ კომპეტენციაში არ შედის და სურსათის ეროვნულ სააგენტოს უნდა დავკავშირებოდით.

მოგვიანებით გავესაუბრეთ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სურსათის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ კახა სოხაძეს. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, რომ:

„PET ნიშნის მქონე ჭურჭელი გამოიყენება ერთჯერადად. მსგავსი ჭურჭელი მეორად გამოყენებას არ ექვემდებარება. ზოგადად, ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არა მარტო მასალა, არამედ მიკრობიოლოგიური დაბინძურების კუთხით რამდენად ინერტულია ესა თუ ის ჭურჭელი. მსგავსი მასალისგან დამზადებული ჭურჭელი სტერილიზაციას არ ექვემდებარება და შესაბამისად, მათი გამოყენება ხელმეორედ, ნებისმიერი სურსათის შემთხვევაში, არ შეიძლება. მოგეხსენებათ, ის პლასტმასია და მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებას არ ექვემდებარება და, შესაბამისად, მათი სტერილიზაცია შეუძლებელია, ამიტომ მათი გამოყენება მრავალჯერადად აკრძალულია “.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲒᲔᲘ ᲰᲐᲠᲐᲓᲘ ᲩᲔᲛᲗ

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲩᲐᲓᲣᲜᲔᲚᲘ

ძალისმიერი წოლჭიმის ერთადერთი ქალი წარმომადგენელი საქართველოში ვალიტა გორელჩანიკი ევროპის, საქართველოსა და მსოფლიოს ჩემპიონია. 4 წელია რაც ვარჯიში დაიწყო და ოქროს გარეშე არც ერთი შეჯიბრებიდან არ დაბრუნებულა. 19 წლის იყო უკრაინაში რომ წავიდა, 10 წელი იცხოვრა, სპორტული კარიერაც იქ დაიწყო, თუმცა ყოველთვის საქართველოს სახელით ასპარეზობდა. პირველობა არც პირად ცხოვრებაში დათმო და საჯაროდ საკუთარ სექსუალურ იდენტობაზე 18 წლის ასაკში ალაპარაკდა. ხუთი თვეა საქართველოში დაბრუნდა. დეტალებზე საუბარს თავს არიდებს, თუმცა ლგბტ თემის პრობლემებსა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე ხმამაღლა საუბრობს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ

მსოფლიო რეკორდამდე 5 კილო აშორებს. მიზანმიმართულია და გამარჯვებისთვის ყველაფერს აკეთებს.

ვალიტა გორელჩანიკი:

- ჩემთვის სპორტი ყოველთვის ცხოვრების წესი იყო. კრივზეც დავდიოდი, ფიტნესზეც, თუმცა ძალისმიერმა სპორტმა განსაკუთრებულად მომხიბლა. მიყვარს, როდესაც სიმძიმეებთან ვმუშაობ. სულ სხვა სპეციფიკა და სირთულე აქვს. გამოვდივარ საქართველოს სახელით, არც ერთ ნაკრებს არ მივეკუთვნები. დაფინანსება არ არის და არ მინდა რომელიმე ფედერაციაზე ვიყო დამოკიდებული. ყველა ჩემპიონატზე ჩემი ფულით დავდივარ. საქართველოს ფედერაციებში შეჯიბრებებზე აღარ გამოვდივარ, დონე არ მომწონს, არ არის დოპინგ კონტროლი, ფულადი პრიზები. ახლა ვცდილობ, „არნოლდ კლასიკისთვის“, „აიფიებისთვის“ და ისეთი სერიოზული შეჯიბრებებისთვის მოვემზადო, სადაც ფულად პრიზებსაც მოვიგებ და პრესტიჟიც იქნება. ვიცი რამდენი უნდა ავწიო, რომ მოვიგო. ამიტომ სანამ 120-130 კილო არ მექნება აწეული იქ წამსვლელი არ ვარ. შემეძლო წავსულიყავი და მესამე ადგილი ამეღო, მაგრამ მე არ მინდა მესამე, პირველი მინდა. მაქსიმალისტი ვარ და თუ რამეს ვიწყებ კარგი შედეგი მჭირდება. მირჩევნია დავიცადო და ავიღო ის, რაც მინდა, ვიდრე მესამეზე გავიდე. საქართველოში კონკურენცია არაა, გოგონები საერთოდ არ დადიან. ყოველთვის საზღვარგარეთიდან ჩამოსულებს ვეჯიბრები ხოლმე. 7 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მაქვს მოგებული. მოგების შეფასებისას კონკურენტების რაოდენობასა და შესაძლებლობებს ვეყრდნობი და არა კონკურსის მასშტაბურობას. მსოფლიო ჩემპიონატზე აბსოლუტურშიც გავიმარჯვე, 56 წონით კატეგორიაში 90 კილო ავწიე, რომელიც შეჯიბრზე ყველაზე დიდი რეზულტატი იყო. 95 კილო რომ ამეწია მსოფლიო რეკორდს დავამყარებდი.

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲐᲓ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ

სექსუალურ ორიენტაციაზე ხმამაღლა საუბრის მთავარი მიზანი არა იდენტობის აფიშირება, არამედ დისკრიმინაციასთან ბრძოლა იყო. ამბობს, რომ სკანდალურ „coming out“-ს არც საზოგადოებაში და არც სპორტულ კარიერაში მისთვის პრობლემები არ შეუქმნია.

- როდის იაზრებს ადამიანი საკუთარ იდენტობას?

- ეს ყველაფერი დამოკიდებულია ჩარჩოებზე, აღზრდაზე, გარემოზე. ადამიანმა შეიძლება 6 წლის ასაკში გაიგოს ან 24 წლის ასაკში და არ აღიაროს. ყველა ადამიანი ხვდება საკუთარ ორიენტაციას. არ შეიძლება ამას ვერ ხვდებოდე, თუმცა ან მიიღებ, ან არა. შეიძლება ქალს ჰყავდეს ქმარი, ოჯახი, მაგრამ გავიდეს გარეთ და შეხვდეს ისეთი ადამიანი, რომელიც მოეწონება. ამისგან დაზღვეული არც ერთი ნატურალი არ არის, როგორც გგონიათ, რომ ნატურალები არიან. სულ ქალები შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ ერთი მოეწონება იმ დონეზე, რომ მზად იქნება მასთან ურთიერთობა ჰქონდეს. ვფიქრობ, ყველა ადამიანი თავიდან ბისექსუალია, ზოგი აღიარებს, ზოგი არა.

- შენ როდის მიხვდი, რომ არატრადიციული ორიენტაციის იყავი?

- ჩემს ორიენტაციას ბავშვობიდან, ექვსი-შვიდი წლიდან ვხვდებოდი. აქ არ არის ლაპარაკი სექსუალობაზე, აქაა ლაპარაკი იმაზე, ვინ მომწონდა სამეგობროდ, საახლობლოდ ან სანახავად. ბიჭები ყოველთვის ცალკე ობიექტები იყვნენ, რომელსაც ვერასდროს ვამჩნევდი.

- ხვდებიან თუ არა ერთმანეთის იდენტობას ლგბტ თემის წარმომადგენლები და როგორ?

- ეს შეიძლება მოხდეს თუ ადამიანს ქვეცნობიერად მოსწონს, მაგალითად, თავისი სქესის ადამიანები. თუ შეხვალ ისეთ კაფეში ან ისეთ ადგილას, სადაც ლგბტ თემის წარმომადგენლები იკრიბებიან, შეიძლება მიხვდე. შეიძლება ვერ მიხვდე, რომ მასთან კავშირი გაქვს, მაგრამ შენში ნეგატივი არ გამოიწვიოს, შეიძლება მოგეწონოს, მხიარულად იგრძნო თავი, მიიღო როგორც შენიანი.

- შენ როგორ ხვდები არის თუ არა ადამიანი არატრადიციული ორიენტაციის?

- ძნელია ვერ მიხვდე, მაშინ როდესაც შენ თვითონ ხარ არატრადიციული ორიენტაციის. თვალის კონტაქტი, საუბრის მანერა. ნატურალისგან განსხვავდებიან, ეს შეიძლება იყოს ჩაცმის, თმის სტილი. ახლა ისეთი ტენდენციაა, რომ ცალკე მოდა აქვთ და შენ ხვდები, რომ ლგბტ თემის წევრია. შეიძლება არ მისდევდეს მოდას, არავის ბაძავდეს, მაგრამ სხვა მომენტებით მიხვდე, რასაც სიტყვებით ვერ ავხსნი, ძალიან რთულია გადმოსცე. შეიძლება 100%-ით არ იყო დარწმუნებული, მაგრამ მანერებზე და ქცევაზე დაყრდნობით ასეთ აზრს დაუშვებ.

- რამე ისეთი დეტალი ან ნიშანი ხომ არ გაქვთ, რომელსაც ატარებთ და მინიშნებასავითაა?

- ადრე იყო, რომ არატრადიციული ორიენტაციის მქონე გოგონები ცერა თითზე ატარებდნენ ბეჭედს, ეს იყო მინიშნება, რომ „მე ასეთი ვარ“, ახლა მგონი აღარ ატარებდნენ. მე არასდროს ვატარებდი, არ მიყვარს ბეჭდები.

- როგორ მიხვდი, რომ იმ ადამიანთან ვისთანაც ახლა ხარ, ურთიერთობას ააწყობდი?

- მე ვიცოდი მის შესახებ ეს ყველაფერი, არ მალავდა. სამი წელია რაც ვიცნობ, საქართველოში გავიცანი. ხუთი თვეა რაც ერთად ვართ. ძალიან დიდი ხანი მომწონდა, გაცნობიდანვე.

- მასაც მოეწონე?

- არა, თავიდან არა, ურთიერთობამ განაპირობა ყველაფერი.

ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲝᲗ ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘ�პᲔᲑᲘ

ჩვენ წავუკითხეთ რესპონდენტს, არატრადიციული ორიენტაციის ირგვლივ გავრცელებული რამდენიმე სტერეოტიპი და მათი არგუმენტირებულად უარყოფა ან დასაბუთება ვთხოვეთ.

ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲘ N1 ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲐ

ვალიტა:

- ადამიანის ორიენტაციას გარყვნილება არანაირად არ უკავშირდება. ეს შინაგანი მომენტია, გარყვნილი შეიძლება ნატურალიც იყოს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მცხოვრებლები სტერეოტიპების ქვეშ მოვხვდით, რკინის ჩარჩოებში ჩავრჩით და ვერ გამოვდივართ. დიდი ხანი ვერ გამოვალთ. ოჯახში ბავშვებს ისე ვზრდით, რომ სექსუალური იდენტობის შესახებ ინფორმაციას არ ვაწვდით და როცა ბავშვი ამ ინფორმაციას თავად იღებს, ეს მისთვის არის სტრესი, იმიტომ რომ არ იცოდა.

- სტრესი ახლდა მომენტს, როდესაც გაიაზრე რომ ნატურალი არ იყავი?

- ჩემთვის იყო, რა თქმა უნდა, სტრესი, ისევე როგორც ბევრი სხვა ადამიანისთვის იმ პერიოდში.

- როგორ დაძლიე სტრესული მდგომარეობა?

- სტრესს ძლევ, მაშინ როდესაც ჯდები და ფიქრობ, რითაა ეს კარგი შენთვის და საზოგადოებისთვის. მე არ ვთვლი, რომ ჩემი ორიენტაციით ვიღაცას ან რაღაცას ვვნებ. თუ მე არავის ვვნებ და მხოლოდ საკუთარ თავს შემიძლია ვავნო - ეს არის ჩემი არჩევანი.

ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲘ N2 ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲓᲐᲐ

ვალიტა:

- მე მგონი საქართველოში ლგბტ თემის წევრობა ყოველთვის მოდაში იყო. ძალიან ბევრ გოგოს ვხედავ, რომელიც საკუთარ კუმირს და მის სექსუალურ ორიენტაციას ბაძავს. კი, ეს უცნაურია, ხალხი იწყებს შენზე ლაპარაკს, ზოგ ახალგაზრდას სჭირდება ეპატაჟი, მაგრამ ეს არის ასაკი, რომელიც 16-დან 20 წლამდე გრძელდება. მე არ ვთვლი მათ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონეებად, უბრალოდ, ეს ასეთი ასაკია, შეიძლება ცოტა ხანში გათხოვდნენ და შვილებიც გააჩინონ, ან არა...

ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲘ N3 ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲙᲣᲠᲜᲝᲡ

ვალიტა:

- მე არ ვთვლი ავადმყოფობად. ეს არაა ფსიქიკური გადახრა. ესაა ადამიანის არჩევანი და მიდრეკილება.

ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲘ N4

რაც უფრო მეტად დავიცავთ ლგბტ თემის უფლებებს, უფრო მეტად მიბაძავს

„ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲥᲔᲡᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ. ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲐ“

EXCLUSIVE

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲑᲘᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ, ᲖᲝᲒᲘ ᲐᲠᲐ“

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲐ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

...ვის კლოუნობაა“

„ვერ ვაკადრებ ჩემს თავს, გავიპრანჭო, ავიღო ლგბტ-ს დროშა და გავიარო, ეს არის კლოუნობა“

ვალიტა გორგელჩანიკი პირადსა და პროფესიულზე ექსკლუზიურად „პრაიმტაიმისთვის“

მათ ახალი თაობა.

ვალიტა:

- არ შეიძლება ადამიანი არატრადიციული ორიენტაციის გახდეს. მას შეიძლება იზიდავდეს ერთი სქესიც და მეორეც. ეს უკვე მისი არჩევანია. არაა აუცილებელი ვინმეს მიბაძო. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელშიც არჩევანის თავისუფლებაა. ახლა თქვენ დაწერეთ ჩემზე სტატია, ვიღაცამ წაიკითხა. არა მგონია, მიმბაძოს იმის გამო, რომ ჩემი სტატია წაიკითხა.

რატომ არა! გეი პარადს?

- რას ფიქრობ გეი წყვილების ქორწინებაზე?

- საერთოდ ქორწინებას, როგორც განსაკუთრებულ აქტს, არ აღვიქვამ. როცა ქალს უნდა ჰქონდეს ქალთან დიდი ხნის ურთიერთობა, ბავშვები ჰყავდეთ ერთად და ა.შ. ის უნდა იყოს სამართლებრივად დაზღვეული, რომ თუ ხვალ გაშორდებიან, ქონებას სამართლებრივად გაიყოფენ. როდესაც შენს ქვეყანაში არატრადიციული ორიენტაციის ხალხი ცხოვრობს და ისინი ბევრნი არიან (ყველამ კარგად ვიცით, რომ ბევრნი არიან), იხდიან გადასახადებს, მუშაობენ და ა.შ. მათ უნდა ჰქონდეთ თანასწორი უფლებები, როგორც ყველას, ეს ელემენტარულია.

- შვილის ყოლას გეგმავ?

- ახლო მომავალში შვილის გაჩენას ნამდვილად არ ვაპირებ. თუ მომინდება გავაჩენ, ქალი ვარ და შემიძლია. არ მაქვს ამის პრობლემა, უბრალოდ, ფსიქოლოგიურად და სოციალურად მზად ჯერ არ ვარ.

- რას ფიქრობ, უნდა აღზარდოს ბავშვი გეი წყვილმა?

- აქ არ არის საუბარი გეი წყვილზე, აქ არის საუბარი იმაზე, როგორი მშობლები იქნებიან. მე ბევრ ნატურალ წყვილს ვხედავ, რომელიც ამ ბავშვს ფსიქოლოგიურად ასახიჩრებს. მთავარია როგორ აღზრდის.

- რას ფიქრობ არგუმენტზე, რომ გეი წყვილის შვილობა ბავშვში ფსიქოლოგიურ პრობლემებს გამოიწვევს?

- მე ვფიქრობ, რომ ბავშვის ფსიქიკაზე ნატურალმა მშობლებმაც შეიძლება ცუდად იმოქმედონ. ბავშვებს, რომლებიც არატრადიციული ორიენტაციის მქონეები არიან, სახლში ნატურალი დედ-მამა ჰყავთ. გეი მშობლები მათ იდენტობაზე გავლენას არანაირად არ ახდენენ.

- უნდა მოეწყოს თუ არა საქართველოში პარადი?

- ამ პარადების ფანი არ ვარ. ვერ ვიგებ მათ კონცეფციას. ჩემთვის ეს არის იგივე, რაც ნატურალებმა აიღონ დროშები და გაიარონ რუსთაველზე. ვერ ვაკადრებ ჩემს თავს, გავიპრანჭო, ავიღო ლგბტ-ს დროშა და გავიარო, იმიტომ რომ ჩემთვის ეს არის კლოუნობა. იმ ადამიანებში, რომელსაც ლგბტ-ები არ აღიზიანებთ ასეთი პარადებით შეიძლება უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიო. ვის ავირჩევ ჩემს საწოლში, ეს ჩემი საქმეა.

„ვის ავირჩევ ჩემს საწოლში, ეს ჩემი საქმეა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სფფ-ს საპრეზიდენტო სიჭინავა მხარს ლევან

მაგდა კლდიაშვილი

„პრაიმტაიმის“ წინა ნომერში გასულმა ინტერვიუმ ვიცე-პრემიერ კახი კალაძესთან დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. კალაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში უნდა ჩაერიოს, რასაც არაერთგვაროვანი განმარტებები მოჰყვა. მოგვიანებით, სპორტის მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობს, რომლის მიხედვითაც 5 წელიწადში ფეხბურთის განვითარებაში 220-250 მილიონი ლარი დაიხარჯება. ამ განცხადების შემდეგ, სფფ-ს პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა „პრაიმტაიმთან“ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ზვიად სიჭინავა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფოს კანდიდატს დაუჭერს მხარს. ეს კანდიდატი ყველასთვის კარგად ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი ლევან კობიაშვილია.

– ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა ჩაერიოს, მისი განცხადება მისაღებია თქვენთვის?

– როგორც კალაძის განმარტებას მოვუსმინე, მან ფინანსური ჩარევა იგულისხმა და, რა თქმა უნდა, ამას მივესალმები. თუ ფინანსური ჩარევა იქნება სახელმწიფოს მხრიდან, რაც უფრო მეტს დააფინანსებს კლუბებს, ამას რა სჯობს. სხვა კომენტარი რა უნდა გავაკეთო. ვიმეორებ მის სიტყვებს, რომ ჩარევა იქნება ფინანსური.

– მანამდე თქვენი შეფასება უფრო მკაცრი იყო, პარალელი წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან გაავლეთ...

– პარალელი გავავლე მანამდე, სანამ იქნებოდა განმარტება. მეც, ისევე როგორც 90%-მა, ვიფიქრე, რომ საუბარი იყო ჩარევაზე, დაბარებებზე და ა.შ. შემდეგ ვიცე-პრემიერმა განმარტა, რომ ფინანსური ჩარევა იგულისხმა. პირველი რეაქცია პარალელის გავლება იყო, როდესაც არ ვიცოდით მისი განცხადების აზრი.

– კალაძემ 40 მილიონი ახსენა, რომელსაც სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს ქართულ ფეხბურთში. მაშინ თქვენთვის გაუგებარი იყო, რა 40 მილიონზე იყო საუბარი. ახლა გაარკვიეთ?

– ეს ის 40 მილიონია, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ იხარჯება სკოლებში, აიპ-ებსა და საფეხბურთო კლუბებში. ამ თანხას განკარგავს ადგილობრივი ხელისუფლება. ჩვენ ამ ფულთან არასდროს არანაირი კავშირი არ გვქონია, არ გვაქვს და იმედია, ფედერაციას არც არასდროს ექნება ამასთან შეხება.

– სპორტის მინისტრმა განაცხადა, რომ მუშავდება სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც, 5 წლის განმავლობაში ქართულ ფეხბურთში 220-250 მილიონი ლარი დაიხარჯება. ეს თანხა ხომ იმაზე ნაკლები გამოდის 5 წელიწადში, რასაც ახლა ხარჯავს სახელმწიფო?

– მგონია, რომ არასწორად გაიგეთ მინისტრის ნათქვამი. როგორ შეიძლება 5-წლიანი პროგრამა იყოს.

> „თუ 220 ან 250 მილიონი დაიხარჯება 5 წელზე, ეს 15 მილიონით ნაკლებია იმ თანხაზე, რაც ახლა იხარჯება“

– მინისტრმა გარკვევით თქვა, რომ ეს თანხა 5 წლის განმავლობაში დაიხარჯება...

– არასწორი ინფორმაციაა. თუ 220 ან 250 მილიონი დაიხარჯება 5 წელზე, ეს 15 მილიონით ნაკლებია იმ თანხაზე, რაც ახლა იხარჯება. როგორ შეიძლება ასეთი პროგრამის გაკეთება. ეს არის ჟურნალისტის შეცდომა, რომელიც ამას იწერდა. რაც გავიგე მინისტრის სიტყვებიდან მე, ზვიად სიჭინავა, მხარს ვუჭერ იმ 250 მილიონ ლარს, რომელიც მომავალ წელს ჩაიდება ქართულ ფეხბურთში 2016 წელს. ახალი პრეზიდენტი მოდის და ორივე ხელით მხარს ვუჭერ იმ კანდიდატს, რომელსაც სახელმწიფო წარადგენს.

– ანუ ლევან კობიაშვილს უჭერთ მხარს?

– მე მხარს ვუჭერ იმ კანდიდატს, რომელსაც სახელმწიფო წარადგენს. თუ სახელმწიფო 220 მილიონის ჩადებას აპირებს ქართულ ფეხბურთში, მტერი უნდა ვიყო, რომ ამას არ დავეთანხმო.

– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ჟურნალისტი შეცდა და არა სპორტის მინისტრი?

– ის თანხა, რომელიც ითქვა, თუ 5 წელიწადზეა გაწერილი, უფრო ნაკლებია, ვიდრე დღეს არის. მაშინ რაზეა საუბარი? ეს არის ჟურნალისტის შეცდომა.

– თუკი ეს თანხა მართლაც 5-წლიან პროგრამაზე იქნება გაწერილი, მაინც დაუჭერთ მხარს სახელმწიფოს კანდიდატს?

– მაშინ იბრძოლონ იმ კანდიდატებმა, რომლებიც იქნებიან. გადამრწმენებას არაფერი უნდა. სექტემბერში პარლამენტში განსახილველად შევა დოკუმენტი, რომლითაც მომავალი წლის ბიუჯეტი დამტკიცდება. იქ უნდა იყოს გაწერილი, რომ ფეხბურთის განვითარებაზე დაიხარჯება 220-250 მილიონი ლარი. ეს არის ყველაზე მაგარი საქმე, ვისაც ოდესმე რამე გაუკეთებია. მე მხარს ამას დავუჭერ და თუკი ეს ციფრი დამტკიცდება, ვისაც აზრად აქვს, რომ კენჭი იყაროს, მხოლოდ ის კანდიდატი უნდა იყოს, რომელსაც მხარს სახელმწიფო დაუჭერს. ფული უნდა ჩაიდოს, რომ ინფრასტრუქტურა განვითარდეს. ყოველ წელიწადზეა ლაპარაკი, უნდა მივაღწიოთ განვითარებას, რომ მკვდარი გამოცოცხლდეს.

– გამოდის, რომ თქვენ ხართ პრობლემა და თქვენ გამო არ იდება ფული ქართულ ფეხბურთში?

– არ ვიცი. ალბათ, სხვა უფრო დიდი პრობლემებია ქვეყანაში. მარტო ფეხბურთი ხომ არ არის. როდესაც მინისტრი ასეთ განცხადებას აკეთებს, გამოდის, რომ თავისუფალი თანხები არის, რომელსაც ქართულ ფეხბურთში გამოიყენებენ. მხარში დავუდგები ნებისმიერ კანდიდატს, სახელებსა და გვარებს არ დავასახელებ, რომელსაც სახელმწიფო დაუდგება გვერდში. იმედი მაქვს, რომ ამ ადგილზე 3-4 კანდიდატს ექნება პრეტენზია.

– კი, მაგრამ სახელმწიფო მხოლოდ ერთს უჭერს მხარს...

– ამიტომ გეუბნებით, 250 მილიონს ვუჭერ მხარს, ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღეს, მე, ზვიად სიჭინავა. მე ვერ გავაცოცხლე ქართული ფეხბურთი, ჩავძირე. მაქსიმუმი, რაც შემეძლო, ის გავაკეთე. ყველას მივმართავ, 250 მილიონი ძალიან დიდი არგუმენტია, გულშემატკივრის წინაშე ვერავინ დადგება. თუ ასეთ თანხაზე მიდის მართლაც ლაპარაკი, სჯობს, მხოლოდ ერთი კანდიდატი იყოს. სექტემბერში იქნება ნათელი, გამოიყოფა თუ არა ეს თანხა ქართული ფეხბურთისთვის. მაინც გეუბნებით, რომ ჟურნალისტი შეცდა.

– თქვენ დაზუსტებული ინფორმაცია გაქვთ, რომ ეს თანხა 5 წელზე არ იქნება გაწერილი?

– არა, მე ეს დასკვნა გამოვიტანე ინტერვიუდან, როდესაც ეს ციფრი გაჟღერდა. სირცხვილია იმაზე ლაპარაკი, რომ დღეს 1 კილო კანფეტი მაქვს და თქვენ გამოდიხართ და მეუბნებით, რომ ხვალ მექნება 700 გრამი. რა იცვლება, მართვის მეთოდიკა? მართვის მეთოდიკა ის არის, რომ გვჭირდება ახალი ბაზები, სტადიონები. ეს ყველაფერი არის, მაშინ ვერ გავიგე, სიჭინავა შეიცვლება, იქნება შალამბერიძე, პეტრიაშვილი და სხვა. ფედერაციას მოუწევს იმ თანხებში ტრიალი, რასაც შოულობს და იხდის. მარტივად ავხსენი მაშინ, 7 მილიონს ვიღებთ სახელმწიფოსგან და უკან ვუბრუნებთ 5 მილიონზე მეტს გადასახადების სახით.

– ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადეთ, რომ სიტუაცია მოიტანს იმას, რომ მესამე კანდიდატი გამოჩნდება არჩევნებზე და ეს თქვენ იქნებით, ახლა რას ფიქრობთ, დააყენებს ზვიად სიჭინავა თავის კანდიდატურას?

– ზვიად სიჭინავა ვერ შეძლებს 2016 წელს ქართულ ფეხბურთში 250 მილიონის მოტანას, ამიტომ, ზვიად სიჭინავა არც განიხილება.

„დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. თუ ვინმეს სჭირდება, იქით დამიმტკიცოს“

> „ზვიად სიჭინავა ვერ შეძლებს 2016 წელს ქართულ ფეხბურთში 250 მილიონის მოტანას, ამიტომ, ზვიად სიჭინავა არც განიხილება“

„15 წუთში ნვიმა რომ ნამოვიდეს, ამასაც მე დამაბრალებენ“

- რა თანხაზეა ლაპარაკი და პროგრამა რა დროზეა გათვლილი?

- ეს პროექტი 5-წლიანი იქნება, მისი ღირებულება კი 220-დან 250 მილიონ ლარამდე, შესაძლოა - მეტიც. სანაცვლოდ კი რეფორმების გატარება იქნება საჭირო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არჩევნებში ზვიად კოზიაშვილს დაუჭერს

„ახალი პრეზიდენტი მოდის და ორივე ხელით მხარს ვუჭერ იმ კანდიდატს, რომელსაც სახელმწიფო წარადგენს“

EXCLUSIVE

ზვიად სიჭინავა: „დედაჩემი 81 წლისაა და პირველ რიგში, მის ჯანმრთელობაზე ვფიქრობ, რომ მოვეფერო, სანამ ის ჩემ გვერდითაა. ხომ არ შევწირავ ჩემს ოჯახსა და დედაჩემის ჯანმრთელობას პრეზიდენტის ადგილს?“

ეს სერიოზული განაცხადია, მართლა ძალიან სერიოზული. რეალურად ვწონი და ვხედავ ყველაფერს. აუქციონი მოვაწყოთ, ვიღაც 250 მილიონს იტყვის, მე – 280-ს, სხვა – 300-ს და ა.შ. სახელმწიფო არის გარანტი, რომ სექტემბერში დადებს 250 მილიონს, 2017 წელს ევროპის ფინალი იქნება და უფრო მეტის ჩადება მოუწევთ, 2019 წელს შესაძლოა, ევროპის ლიგის ფინალი იყოს და იქ უფრო მეტი იქნება საჭირო. ამისთვის სახელმწიფოს არასდროს ეცალა და სანამ ამ 250 მილიონზე იქნება ლაპარაკი, სიჭინავა არ იქნება.

– თანხას თავი დავანებოთ, შეგიძლიათ არჩევნების მოგება?

– არ ვიცი. ამაზე არ მიფიქრია. ჩემი პოზიცია დავაფიქსირე და ვთქვი, რომ სურვილი არ მაქვს, რადგან, რაც არ უნდა გავაკეთო, ყველაფერი მაინც ცუდად გამომდის. ხან რას მიწერენ, ხან – რას, ხან რუსეთის აგენტი ვარ, ხან ვიღაცასთან შეკრული. რად მინდა, მე მყავს ოჯახი, დედა და არ მინდა. ამდენი ლანძღვა და ცუდი, რაც ჩემს მიმართ ითქმება, დედაჩემს ხვდება გულზე. დედაჩემი 81 წლისაა და პირველ რიგში, მის ჯანმრთელობაზე ვფიქრობ, რომ მოვეფერო, სანამ ის ჩემს გვერდით არის. ხომ არ შევწირავ ჩემს ოჯახსა და დედაჩემის ჯანმრთელობას პრეზიდენტის ადგილს?

– რამდენიმე დღის განმავლობაში, ფეხბურთის ფედერაციასთან აქცია მიმდინარეობდა, სადაც თქვენს გადადგომას ითხოვდნენ, რადგან სახლში წაიღეთ სუპერთასის ბილეთები და შავ ბაზარზე ყიდით, იმ პერიოდის განმავლობაში არაფერი დაგიშავებიათ ისეთი, რომ მხოლოდ სუპერთასის ბილეთები არ იყოს თქვენს წინაალმდეგ სალაპარაკო, თუნდაც „მეტალურგისა“ და „ზესტაფონის“ ჩემპიონობის ამბები გავიხსენოთ...

– მათ სინდისზე იყოს ეს ბრალდებები. შეუძლიათ, მოვიდნენ ჩემთან სახლში ან შავ ბაზარზე გავიდეთ, სად დგას ჩემი ხალხი, ვინც ამ ბილეთებს ყიდის. პროკურატურაში ჩვენი საბუთები უკვე დიდი ხანია დევს. ეს გუშინ და გუშინწინ არ წაუღიათ. ჯერ კიდევ 2011 წელს, შემდეგ 2012 წელს. არჩევნების შემდეგ მივმართეთ პროკურატურას, რომ დაბრუნებინა საბუთები, რომლებიც არის ფეხბურთის ფედერაციის და უნდა იყოს ფედერაციაში. თუ გასარკვევია რამე, უნდა გაირკვეს და დაბრუნდეს უკან. ამის შემდეგ მეორე ნაწილიც წაიღეს. რამე რომ გვქონოდა, ასჯერ იქნებოდა გაჟღერებული და არამარტო სუპერთასის ბილეთები. ყოველთვის მზად ვარ, არ მეშინია, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, არაფერი შეხება არ მაქვს ამ ბილეთებთან. ჩემი ბრალია და ჩემს თავზე ვიღებ, რომ თავის დროზე ამას დავთანხმდი, რომ გულშემატკივრისთვის ეს ბილეთები წამომეღო ინტერნეტგაყიდვებიდან. დღესაც გვწერენ, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომ მათ ფული ჩამოეჭრათ და ბილეთები არ მიულიათ. ტრანზაქცია განხორციელებულია, არავინ არაფერს იკითხავს, მაინც ჩვენ დაგვბრალდება. ჩვენ ვსხედვართ და მზიანი ამინდია, 15 წუთში წვიმა რომ წამოვიდეს, ამასაც მე დამაბრალებენ. მზად ვარ, პასუხი ვაგო, თუ ვინმეს რამე ინფორმაცია აქვს ჩემთან დაკავშირებით. პასუხს ვაგებ საკუთარი თავით.

„მე სულ კარგზე ვფიქრობ და ალბათ, ამიტომაც მიმართლებს ცხოვრებაში“

– თქვენი პრეზიდენტობის პერიოდი შევაჯამოთ, რა იყო ცუდი და რა – კარგი?

– რომ წავალ, მერე შევაფასებ, მაგრამ ახლა ხომ სულ მინუსებს ხედავთ. მინუსია ის, რომ გაკეთდა 14 სტადიონი, სუპერთასი, 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი. თუმცა, ვიცი, ვისი დამსახურებაცაა, გაზეთებიდან და მედიიდან შევიტყვე ყველაფერი. გაჟღერდა ყველგან, ვისი დამსახურებაც ყოფილა, მე არ მიმიღია ამაში მონაწილეობაა. ვიღაცები წერენ, რომ ეს ყველას დამსახურებაა, ჩემ გარდა. პლატინის ბოლო წერილი წაიკითხეთ? პირველი წერილი მაშინვე დაიდო, მეორეში მხოლოდ ჩემი გვარი ეწერა, ნახეთ, რომელ რიცხვშია გამოგზავნილი? მეგობრულად ვუთხარი, შენი გვარი რომ ეწერა, 5 წამში დაადებინე და ჩემი რომ არის მარტო, არა-მეთქი? პლატინი მწერს, არასდროს დაგივიწყებო და სულით და გულით მწერს. ვიქნები თუ არ ვიქნები ქართულ ფეხბურთში, დღეს რაც კეთდება, ჩვენი ქვეყნისთვის კეთდება.

– ოთხშაბათს უკვე სუპერთასს ვმასპინძლობთ, მშვიდად ხართ?

– ანშლაგი იქნება. ბილეთები გაყიდულია, გარდა იმ ადგილებისა, რომელიც უეფამ ამოიღო, სადაც განთავსებული იქნება მედია და სხვა რაღაცები. განახლებულ არენას ვიხილავთ. ყოველდღიური საუბრები მაქვს უეფას წარმომადგენლებთან, ყველა ჩამოვიდა. „ნისანმა“ ტრანსპორტი გამოგზავნა, აკრედიტაციების გაცემა დაინყო. ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს. როგორც მესიმ თქვა, თავის სეზონს საქართველოში იწყებს და მოხარული ვარ, რომ ეს ადამიანი ემზადება ამ თამაშისთვის. თამაშს 202 ტელევიზია აშუქებს და ჩემთვის, ზვიად სიჭინავასთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მთელ მსოფლიოში ეცოდინებათ, რომ ჯორჯია არის არა ამერიკის ერთ-ერთი შტატი, ან რუსეთის ნაწილი, არამედ დამოუკიდებელი ქვეყანა, სადაც ფეხბურთი უყვართ. დღეს რომ მლანძღავენ და ხვალ უფრო მეტი შეიძლება გამლანძღონ, მათ მივმართავ, ფაქტები სჭირდება ამას. დავუშვათ, მეც მაქვს ეჭვი, რომ ვიღაცასთან გაქვთ საერთო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიღაც ბავშვებს ვერ შევუტანთ სარჩელებს სასამართლოში, რომ რაღაც ვამტკიცო. დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. თუ ვინმეს სჭირდება, იქით დამიმტკიცოს. 2017 წელს ევროპის ფინალი ტარდება, 4 წელიწადში შეესაძლოა, ევროპის ლიგის ფინალი ჩამოვიდეს, თებერვალში პლატინი ფიფას პრეზიდენტი გახდება და შეესაძლოა, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი წამოვიღოთ. ეს არის მნიშვნელოვანი. პოზიტივზე უნდა იფიქრო ადამიანმა. მე სულ კარგზე ვფიქრობ და ალბათ, ამიტომაც მიმართლებს ცხოვრებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მაკდონალდსი“, „ბურგერ

ჯანსაღი კვების ნაცვლად ქიმიური ნივთიერებებით გაჯერებული პროდუქტი

ლაშა ზარანდია

„მაკდონალდსი“, „ბურგერ კინგი“, „საბვეი“ და „ვენდი“ – ბევრისთვის საყვარელი კვების ობიექტები. ძალიან გემრიელი მენიუ, შედარებით ხელმისაწვდომი ფასები და სასიამოვნო გარემო, რაც იზიდავს მომხმარებელს. საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სწრაფი კვების ობიექტები, შეიძლება ითქვას, ერთგვარ მოდადაც კი ჩამოყალიბდა მსგავსი სწრაფი კვების ობიექტებით სარგებლობა. ვიკრიბებით მეგობრები, ვეპატიჟებით შეყვარებულს და რაც ყველაზე აღსანიშნავია, დაგვყავს ბავშვები, დიდი ზარ-ზეიმით ვუხდით დაბადების დღეებს მსგავსი სწრაფი კვების ობიექტებში განთავსებულ დაბადების დღის ცენტრებში და მერე ამ ყველაფრით ვამაყობთ ქართველი მშობლები.

ბრიტანული გაზეთის „დეილი მეილის“ ბოლო კვლევის მიხედვით, „მაკდონალდსის“, „საბვეის“, „ბურგერ კინგისა“ და „ვენდის“ ძალიან პოპულარულ პროდუქტში არაერთი ქიმიური დანამატი აღმოჩნდა და მათ შორის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აკრძალული ნივთიერება „აზოდიკარბონამიდი“.

ამავე გამოცემის ბოლო კვლევით, შავ სიაში მოხვედრილი კვების ობიექტებიდან, საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „მაკდონალდსი“, რომელიც ქართულ ბაზარზე დიდი ხანია ერთ-ერთი წამყვანი სარესტორნო ქსელია და ასევე, ასე თუ ისე, ახალი „ვენდი“, რომელიც ყველანაირად ცდილობს, კონკურენცია გაუნიოს ბაზარზე კარგად დამკვიდრებულ „მაკდონალდსს“. სწორედ ამ ორი კვების ობიექტის პურსა და ტოსტებში აღმოაჩინეს „აზოდიკარბონამიდი“ და ეს ყველაფერი საეჭვოს ხდის მათ სანდოობას.

რა არის „აზოდიკარბონამიდი“? – ეს ნივთიერება მიეკუთვნება დითიოკარბონატების ჯგუფს, რომელიც ორგანიზმზე ძალიან უარყოფითად მოქმედებს. „აზოდიკარბონამიდი“, ასევე, გამოიყენება რეზინის ფეხსაცმლისა და იოგას მატრასების დამზადებისას, ის ამ ნაწარმს ელასტიკურობას ანიჭებს. ეს ნივთიერება შეიძლება ფარისებური ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის მიზეზი გახდეს. ამ ნივთიერების გადაჭარბებული მიღება იწვევს ასთმურ შეტევებს და ალერგიულ რეაქციებს. მისი გავლენა შეიძლება ძალიან გამომხატველობითი იყოს ბავშვებსა და მოზარდებზე.

„მაკდონალდსისა“ და „ვენდის“ პროდუქციაში აღმოჩენილი ქიმიური ნივთიერებების მავნებლობის შესახებ „პრაიმტაიმს“ ესაუბრა ენდოკრინოლოგი ლიკა კაჭარავა:

– სწრაფი კვების ობიექტების გავრცელება, ზოგადად, როგორც ენდოკრინოლოგს, მიმაჩნია, რომ არ ახდენს დადებით გავლენას ჯანმრთელობაზე. თუ ვლაპარაკობთ, საერთოდ, ენდოკრინოპათიებზე, ყველაზე გავრცელებული დაავადებაა შაქრიანი დიაბეტი, რისი ძირითადი გამომწვევი მიზეზია სიმსუქნე. სიმსუქნე ვითარდება არასწორი კვების შედეგად, სწრაფი კვების ობიექტებში კი სწორად კვება თითქმის წარმოუდგენელია. ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად მოიხმარს მსგავსი ობიექტების საკვებს, დამოკიდებული ხდება მასზე და დგება დიდი საშიშროების წინაშე. მოგეხსენებათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ზემოხსენებული რესტორნები და ეს ერთგვარი მიზეზია იმისა, რომ ბავშვებსა და მოზარდებში ძალიან გავრცელებულია შაქრიანი დიაბეტი ტიპი ორი. საბედნიეროდ, ჯერჯერობით საქართველოში მსგავსი მდგომარეობა არ არის, მაგრამ საშიშროება, რა თქმა უნდა, დიდია.

არაერთი კვლევა მიეძღვნა მსგავს პროდუქციაში მავნე ნივთიერებების აღმოჩენას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 1999 წელს, ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, „აზოდიკარბონამიდის“ საკვებ ინდუსტრიაში გამოყენება აკრძალა. როგორც ცნობილია, კვლევა ცხოველებზე ჩატარდა და დადგინდა, რომ მისი დიდი დოზით მოხმარება ასთმური და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებებს იწვევს. საქართველოში სურსათის უვნებლობის სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს კანონმდებლობით ქიმიური ნივთიერება „აზოდიკარბონამიდი“ არ არის აკრძალულ ნივთიერებათა ნუსხაში, რის გამოც ვერ ხერხდება სათანადო ზომების მიღება. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ არაერთხელ შემოწმდა მსგავსი ტიპის სწრაფი კვების ობიექტები, მაგრამ კონკრეტულად ამ ნივთიერებაზე კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

„სინამდვილეში ვიღებთ ყველაზე იაფიან პროდუქტს, რომელსაც ძაღლებისთვის ყიდულობენ ხოლმე, და შემდეგ ვაწვდით მომხმარებელს... რატომ უნდა მოუნდეს რომელიმე მოაზროვნე ადამიანს, რომ თავის შვილს პირი ამონიუმით ჰქონდეს გამოტენილი“

საქართველოში მოქმედი სწრაფი კვების ობიექტების სანდოობა ეჭვქვეშ დააყენა არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიტივმაც“. ორგანიზაციის დირექტორის, გურამ ადამაშვილის აზრით, აუცილებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გარკვეული ზომები უფრო მკაცრად გატარდეს, რადგან საქმე ეხება ადამიანების ჯანმრთელობას. ჩემი აზრით, საქართველოში არსებული სწრაფი კვების ობიექტები უნდა შემოწმდეს და კარგი იქნება, თუ ერთხელ, გარკვეული დასკვნის საფუძველზე, განემარტება მოსახლეობას, რას მივირთმევთ ყოველდღიურად.

მიუხედავად არაერთი ექსპერიმენტისა, რომლების შედეგადაც მსგავსი ობიექტების საკვებ პროდუქციაში მავნებელი ნივთიერებების არსებობა დასტურდება, ისინი მომხმარებლების რაოდენობის სიმცირეს ნამდვილად არ უჩივიან. ჩვენ რამდენჯერმე ვეცადეთ, დავკავშირებოდით „მაკდონალდსის“ წარმომადგენლობას საქართველოში, მათგან მოვითხოვეთ სტატისტიკური მონაცემები საქართველოში მომხმარებლების აქტიურობის შესახებ და, ასევე, პროდუქციის ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგრამ ამაოდ.

ჩვენ, ასევე, ჩავატარეთ ქუჩის გამოკითხვა, გამოკითხულთა შორის იყვნენ ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, ოცდაათი გამოკითხულიდან ოცდაერთმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალიან დიდი სიამოვნებით სტუმრობს „მაკდონალდსსა“ და „ვენდის“. მათი აზრით, ეს არის სწრაფი კვების ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალება, ასევე, ხაზი გაუსვეს პროდუქციის ხარისხსა და გემოს. გამოკითხულთაგან ექვსი ადამიანი უარყოფითად იყო განწყობილი სწრაფი კვების ობიექტებისადმი და, მათი აზრით, მსგავსი სახის საკვები პროდუქცია ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ორგანიზმზე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებზე. სამმა გამოკითხულმა კი, უბრალოდ, არ იცოდა მათი არსებობის შესახებ. ეს არის რეალობა, მიუხედავად არაერთი ექსპერიმენტისა, რომლებითაც მსგავსი პროდუქციის მავნებლობა დასტურდება, მომხმარებლების რაოდენობა ნამდვილად არ იკლებს სწრაფი კვების ობიექტებში.

შედარებით ახალი ტენდენცია, ერთგვარი მოდაა ბავშვებისთვის დაბადების დღეების გადახდა მსგავს კვების ობიექტებში განთავსებულ დაბადების დღის ცენტრებში, მშობლები დიდი სიამოვნებით ხარჯავენ ფულს ქიმიური ნაერთებით გაჯერებულ ბურგერებში, გაზიან სასმელებსა და დესერტებში.

პედიატრ ალერგოლოგი რუსუდან რატიანი მოუწოდებს მშობლებს: ჩემი, როგორც პედიატრის, დამოკიდებულება ძალიან უარყოფითია სწრაფი კვების ობიექტებისადმი, რადგან მსგავსი ტიპის ობიექტებში გავრცელებულ საკვებ პროდუქციაში ძალიან ხშირია ორგანული ნივთიერებების გამოყენება, მაგალითად, საღებავების, რომლებიც ალერგიის კუთხით ბავშვებსა და მოზარდებში ძალიან დიდ პრობლემებს ქმნის. მოვუწოდებ მშობლებს, რომ მსგავსი პროდუქცია ძალიან მცირე რაოდენობით შეიტანონ ბავშვების კვების რაციონში.

ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგე, რომელიც იბრძვის სწრაფი კვების ობიექტების წინააღმდეგ, ეს არის ბრიტანელი შეფ-მზარეული და ჯანსაღი კვების ექსპერტი ჯეიმი ოლივერი, მან ჰამბურგერის დამზადების რეცეპტი გაასაჯაროვა და ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კომპანიას სასამართლოშიც მოუგო. ამის შემდეგ ოფიციალურ საიტზე „მაკდონალდსი“ ამტკიცებს, რომ ასეთი იაფი ჰამბურგერების წარმოებას ის დიდი ოდენობით ხორცის დაბალ ფასად შეძენის ხარჯზე ახერხებს. ასევე, საიტზე ნათქვამია, რომ კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, შეეცვალა რეცეპტი არა ოლივერის გამოსვლის შემდეგ, არამედ საკუთარი სურვილით. მზარ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინგი“, „საბვეი“ და „ვენდი“

„თუკი უკმაყოფილო მომხმარებელი რეკავს ჩვენთან, თავისთავად ვინტერესდებით და ვითხოვთ ამა თუ იმ პროდუქტის ლაბორატორიულ კვლევას“

„უცხოურ ლაბორატორიაში კვლევის დაკვეთისთვის სახსრები ჩვენ არ გაგვაჩნია. თუ, რა თქმა უნდა, მომხმარებელი იაქტიურებს და მსგავსი პროდუქციის შემოწმებას მოითხოვს, სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, ძირეული კვლევა ჩაატაროს უცხოურ აკრედიტებულ ლაბორატორიებში“

EXCLUSIVE

Thursday, Aug 6th 2015 6PM 24°C 6PM 16°C 5-Day Fore

Mail Online food & drink

Home | News | U.S. | Sport | TV&Showbiz | Australia | Femail | Health | Science | Money | Video | Travel | Fashion Finder

Latest Headlines | Femail | Fashion Finder | Food | Femail Boards | Beauty | Gardening | Deals | Blogs | Baby Blog

YOU MIGHT LIKE

Top 15 Movies for Men | 21 BIZARRE Things People Do On Air Planes | Princess Kate Rocks A Blue Ice Gown - And Stuns Us All | 15 Hilarious Google Street View Pictures | 8 Celebrities Who Took A Bullet | Forget Yo-yo Dieting... These Celebs Lost It The Smart Way

Does the McDonald's secret menu REALLY exist? Restaurant manager confirms that customers can order items not listed... including the McGangBang

- In a thread on Reddit a McDonald's manager confirmed that there was a secret menu while answering questions about the restaurant
- The secret menu allows customers to order food not listed as available
- The menu was first revealed last April by Hack the Menu
- A spokesperson for McDonald's has denied that there is a secret menu

By MARTHA CLIFF FOR MAILONLINE

PUBLISHED: 11:26 GMT, 20 July 2015 | UPDATED: 15:26 GMT, 20 July 2015

Share 27k shares 70 View comm

It's long been believed to be nothing more than an urban myth, but now a McDonald's manager has confirmed the existence of the fast-food chain's secret menu.

In a thread on Reddit, the staff member, who goes by the username orchidhibiscus, from Glasgow, revealed that off-the-menu orders can be taken, including one burger known as the McGangBang.

Under the thread name 'I Am A McDonald's Manager Ask Me Anything', the worker said customers can 'add, remove or change ingredients by special request'.

Scroll down for video

HackTheMenu.com

The McGangBang and the Monster Mac: The crudely named McGangBang (left) is the most infamous of the McDonald' secret menu items

ეულის თქმით, ხორცის ნაწილს ამონიუმის ჰიდროქსიდში ავლებენ და შემდეგ ჰამბურგერის ხორცში ურევენ.

„სინამდვილეში ვიღებთ ყველაზე იაფიან პროდუქტს, რომელსაც ძაღლებისთვის ყიდულობენ ხოლმე, და შემდეგ ვაწვდით მომხმარებელს... რატომ უნდა მოუნდეს რომელიმე მოაზროვნე ადამიანს, რომ თავის შვილს პირი ამონიუმით ჰქონდეს გამოტენილი?“ – ამბობს ოლივერი.

33 წლის მორგან სპურლოკმა საკუთარ თავზე ჩაატარა ექსპერიმენტი, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ „ბიგმაკური“ საკვები ძალიან მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. აბსოლუტურად ჯანმრთელი მორგან სპურლოკი თვის განმავლობაში იკვებებოდა მხოლოდ კომპანია „მაკდონალდსის“ პროდუქციით. მის მენიუში შედიოდა პროდუქტების მთელი ჩამონათვალი – ბუტერბროდებიდან ტკბილ კოქტეილებამდე. მისტერ სპურლოკი საუზმეზე ჭამდა „მაკ-ფინებს“, აყოლებდა ყავას და ტკბილ ნამცხვრებს, სადილად მიირთმევდა „ბიგმაკს“ ან რომელიმე სხვა ბუტერბროდს, ხოლო გარნირად ატანდა კარტოფილ „ფრის“, ასევე, სალათებს. დესერტად – ან ტკბილ ღვეზელს, ან ნაყინს. ზუსტად 30 დღის განმავლობაში სპურლოკს პირი არ დაუკარებია სხვა საკვებისთვის – მხოლოდ „მაკდონალდსის“ პროდუქციას იღებდა. ამ ხნის განმავლობაში ვარჯიშობდა კიდეც ზომიერების ფარგლებში. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ მორგანმა 14 კილოგრამი მოიმატა და ეს მაშინ, როდესაც ზედმეტ საკვებს არ იღებდა, უბრალოდ, შიმშილის გრძნობას იკმაყოფილებდა. ჯანმრთელობის მდგომარეობაც აშკარად გაუუარესდა და ექსპერიმენტატორი საავადმყოფოში მოხვდა. ანალიზებმა აჩვენა, რომ ქოლესტერინის დონე ავადმყოფის სისხლში ნორმას გაცილებით აღემატებოდა, ხოლო ღვიძლი ისე იყო გადიდებული, როგორც ალკოჰოლიზმის დროს. „მხიარული და გემრიელი“ თვის ბოლოს მორგანს დაეწყო დაუსრულებელი თავის ტკივილი, ჩავარდა დეპრესიაში და საერთოდ დაივიწყა ლტოლვა საპირისპირო სქესის მიმართ. მორგან სპურლოკმა ექსპერიმენტის მთელი პროცესი ვიდეოკამერაზე დააფიქსირა. ნორმალურ მდგომარეობას რომ დაბრუნებოდა, მორგანს მთელი ორი თვე დასჭირდა. „არავის მოუვიდოდა თავში, თუ მორგანი ასე უცებ გადაიქცეოდა ცხიმიან დიდ სხეულად“, – ამბობს ექიმი დერილ ისააკი, რომელიც ექსპერიმენტატორის ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდა. მიუხედავად ამისა, „მაკდონალდსი“ აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ მათი პროდუქტების ასორტიმენტისგან შეიძლება აირჩეს და შეიქმნას დიეტური მენიუც. ექსპერიმენტის შედეგებმა მათზე დიდი „შთაბეჭდილება“ ვერ მოახდინა, საქმე სასამართლომდეც კი მივიდა, მაგრამ ექსპერიმენტის ავტორმა ვერაფრის დამტკიცება ვერ მოახერხა. მეტიც, „მაკდონალდსი“ ამტკიცებს, რომ ჰამბურბერებითა და „ბიგმაკებით“ შეიძლება იკვებო ყოველდღე.

ჩვენ მივმართეთ საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციას, დავინტერესდით მათი მოთხოვნით, არის თუ არა გამოკვლეული „მაკდონალდსის“ და მსგავსი სწრაფი კვების ობიექტების პროდუქცია საკვებად ვარგისი. „თუკი უკმაყოფილო მომხმარებელი რეკავს ჩვენთან, თავისთავად ვინტერესდებით და ვითხოვთ ამა თუ იმ პროდუქტის ლაბორატორიულ კვლევას. მაგრამ არის, ასევე, ხელის შემშლელი ფაქტორები, ალბათ, გახსოვთ ჩატარებული ექსპერიმენტი, როცა თვეების განმავლობაში არ იცვალა პირვანდელი სახე „ მაკდონალდსის“ გარკვეულმა პროდუქციამ, იყო მოთხოვნა, ჩატარებულიყო ლაბორატორიული კვლევები, მაგრამ საქართველოში არ გაგვაჩნია შესაბამისი დონისა და აკრედიტაციის ლაბორატორიები, რომ კონკრეტული პროდუქტი ძირეულად ყოფილიყო გამოკვლეული. ხოლო უცხოურ ლაბორატორიაში კვლევის დაკვეთისთვის სახსრები ჩვენ არ გაგვაჩნია. თუ, რა თქმა უნდა, მომხმარებელი იაქტიურებს და მსგავსი პროდუქციის შემოწმებას მოითხოვს, სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, ძირეული კვლევა ჩაატაროს უცხოურ აკრედიტებულ ლაბორატორიებში“, – განაცხადა მომხმარებელთა ფედერაციის პრეზიდენტმა მადონა კოიძემ.

სანამ არ გვექნება შესაბამისი ლაბორატორიები, ნება იმისა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოსგან ძირეული კვლევა მოვითხოვოთ, მოგვიწევს, მივირთვათ ქიმიური ელემენტებით გაჯერებული პროდუქცია. ჯერ კიდევ 1999 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აკრძალული ქიმიური ნივთიერება „აზოდიკარბონამიდი“ საქართველოში დასაშვები და ნორმალურია, არაუშავს თუ პური და ორცხობილა იქნება გაჯერებული მომწამვლელი ნივთიერებებით. მთავარია, იხეირონ კომპანიებმა, რომლებიც ასე გულმოდგინედ აგრძელებენ ქართველი მომხმარებლის ქიმიური ნივთიერებებით გამოკვებას. მრავალი დაბადების დღე, ზეიმი და ღრეობა ჩაივლის მათ კედლებში, „აზოდიკარბონამიდითა“ და მსგავსი ნივთიერებებით გაჯერებული, ბედნიერი მომხმარებელი დიდი სიამოვნებით „დაჩეკინდება“ სოციალურ ქსელებში „მაკდონალდსის“, „ვენდისა“ და მსგავსი სწრაფი კვების ობიექტებიდან.

ამერიკელი ექიმი დიეტოლოგები ჯანსაღი კვების ნომერ პირველ კანონს ასე აყალიბებენ – „ზომიერება ყველაფერში“. ამ რეკომენდაციის დაცვა საქართველოში არცთუ ისე მარტივია. ვცადოთ, იქნებ გამოგვივიდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დანკინდონატსის“ ახალი რესტორანი მარჯანიშვილზე



„ვისოლჯგუფი“ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე „დანკინდონატსის“ ახალ რესტორანს ხსნის. „ვისოლჯგუფმა“ ამერიკული რესტორნების უმსხვილეს ოპერატორთან „დანკინდონატსთან“ ექსკლუზიურ ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოაწერა და დღესდღეობით უკვე 10 რესტორანია თბილისსა და რეგიონებში ყველასთვის საყვარელი თავშეყრის ადგილი. 2015 წლის ბოლომდე „ვისოლჯგუფი“ საქართველოში 15 „დანკინდონატსის“ რესტორანს გახსნის და კიდევ 500-მდე ადამიანს დაასაქმებს. მარჯანიშვილის მოედანზე „დანკინდონატსის“ ახალგახსნილ რესტორანში მოსულ სტუმრებს 25 სახეობის უგემრიელესი „დონატის“ მირთმევა შეუძლია.

სოსო ფხაკაძე „ვისოლჯგუფი“-ს პრეზიდენტი:

„დღეს გავხსენით „დანკინდონატსის“ რიგით მეათე რესტორანი, ძალიან სწრაფად ვვითარდებით, ეს კი საშუალებას გვაძლევს „დონატებზე“ ფასები შევამციროთ. ეს ფასებია- 1.60, 1.50 და 1.40 ლარი.

კიდევ ერთი სიახლე გვაქვს, სენდვიჩები დავამატეთ, რომელსაც ყოველდღე „სმარტში“ დაამზადებენ;ჩვენ, პირველრიგში, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს ერთგულ მომხმარებლებს, რომლებმაც შეიყვარეს „დანკინდონატსი“და ხშირად სტუმრობენ ჩვენს რესტორნებს. სასიხარულოა, რომ მსოფლიოში ცნობილი დანკინის ყავის პროდუქტებთან ერთად მომხმარებლებში ასევე დიდი პოპულარულობით სარგებლობენ „დანკინდონატსის“ სენდვიჩები, რომლებიც ყოველდღიურად ახალი ინგრედიენტების გამოყენებით მზადდება და განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით გამოირჩევა“.

„ვისოლჯგუფიმა“, სამწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, შეძლო ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი და ლეგენდარული ბრენდის „დანკინდონატის“ საქართველოში შემოყვანა. ძალიან მოკლე დროში „დანკინდონატსის“ ამერიკული რესტორნები ყველასთვის საყვარელ თავშეყრის ადგილად იქცა. მიმდინარე წლის ბოლოს საქართველოში იფუნქციონირებს „დანკინდონატსის“ 15 რესტორანი და მომავალ წელს გაგრძელდება რესტორნების შემდგომი განვითარება.

თიკა კვერნაძე, მომხმარებელი:

„სხვა ფილიალების ხშირი სტუმარი ვარ, გამიხარდა, რომ ახალი რესტორანიც გაიხნა, ძალიან კმაყოფილი ვარ, მომსახურებით, გარემოთი და რაც მთავარია, დონატებით“.

„დანკინდონატსი“ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ლეგენდარული ბრენდია, რომელიც უკვე თითქმის 65 წელია წარმატების ისტორიას ქმნის მთელ მსოფლიოში. „დანკინდონატსი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი. „დანკინდონატსის“ რესტორნებში მომხმარებელს საშუალება აქვს დააგემოვნოს უგემრიელესი სენდვიჩების დიდი ასორტიმენტი, ფუნთუშეული, ცივი და ცხელი სასმელები, უმაღლესი ხარისხის „ესპრესო“, „კაპუჩინო“, „ლატე“, ჩაი და ჩოოლატტა-ს პროდუქტები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნუგზარ პაიკიძე და ყინულის ჰოკეის ქართული მოდელი

„ჰოკეი ისეთი სპორტია, სახელმწიფო თუ მხარში არ ამოგიდგა, არაფერი გამოვა“

„ჰოკეის მსოფლიო ფედერაციის სტანდარტი 4 გუნდია, იმისთვის, რომ ქვეყნის ნაკრებმა მსოფლიო ჩემიონატზე მიიღოს მონაწილეობა და ჩვენ ეს სტანდარტი დაცული გვაქვს“

„გადავწყვიტეთ, რომ არ ღირდა იმ პერიოდში ამის აშენება და ფულის ჩადება, რადგან, კაცმა არ იცის, დაგვრჩებოდა თუ წაგვართმევდა ამ ყინულს შემდეგ მთავრობა“

„ყინულის ჰოკეის ფედერაციას ბიუჯეტი საერთოდ არ აქვს“

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

ნუგზარ პაიკიძე ქართველი ბიზნესმენია, რომელიც უკრაინასა და რუსეთში საქმიანობს, საქართველოში კი უკვე 5 წელია, რაც ყინულის ჰოკეის ფედერაციას უდგას სათავეში და ამ სფეროს განსავითარებლად საკუთარი ჯიბიდან ხარჯავს ფულს. მისი ძალისხმევით, პირველად, არსებობის განმავლობაში, ჰოკეის ეროვნული ნაკრები 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს, ამ სახეობაში საკუთარი ჯიბიდან დახარჯული ფული კი ნახევარ მილიონ დოლარს აჭარბებს.

- რამდენია ყინულის ჰოკეის ფედერაციის ბიუჯეტი?

- ყინულის ჰოკეის ფედერაციას ბიუჯეტი საერთოდ არ აქვს. ეს არის ჩვენი საკუთარი ფული და რამდენსაც გამოვყოფთ საკუთარი ჯიბიდან მე და ჩემი გუნდის წევრები, ეს არის სულ ჰოკეის ფედერაციის ბიუჯეტი.

- სახელმწიფოს ინტერესი არასდროს გამოუჩენია?

- 5 წლის განმავლობაში სახელმწიფოს არანაირი ინტერესი და ყურადღება არ გამოუჩენია. წელს, რომ იტყვიან, კბილებით წავართვით 40 ათას ლარამდე, რაც კაპიკებია მსოფლიოს დონეზე გამოსასვლელი გუნდისთვის. ეს თანხა მიზერულია.

- უხეშად რომ დავთვალოთ, რამდენი დახარჯეთ ჰოკეისთვის?

- ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი.

- ამ თანხით, რა აქტივობები გაქვთ გაკეთებული, ნაკრები სად ემზადება?

- საქართველოს ნაკრები, ბოლო ორი წელია, ბათუმში ვარჯიშობს. მანამდე თურქეთში, ერზრუმში ვარჯიშობდნენ, ბაკურიანში და ვიდრე ომი დაიწყებოდა უკრაინაში, დონეცკშიც გაიარეს რამდენიმე შეკრება.

- ამდენწლიანი მუშაობის შედეგი რა არის დღეს?

- ყველაფერი ნოლიდან შევქმენით. ნელს, უკვე მეორედ გამოვდივართ მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ჯგუფში. შარშან პირველად ვიყავით, შარშანწინ კი საკვალიფიკაციო ეტაპი გავიარეთ და ოფიციალურად მივიღეთ მესამე ჯგუფში მონაწილეობის უფლება. ეს იმის ხარჯზე მოვახერხეთ, რომ უშუალო კონკურენტები, ბოსნია და არაბეთის გაერთიანებული ემირატების გუნდი დავამარცხეთ.

„მაქვს თბილისის მერის იმედიც, თუმცა სანამ ჩემი ხელით არ გავაკეთებ, მანამდე უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება“

- სპორტული ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფო ჩართულობის დეფიციტის ფონზე, ეროვნული გუნდის დაკომპლექტება როგორ მოახერხეთ?

- ჰოკეი ისეთი სპორტია, სახელმწიფო თუ მხარში არ ამოგიდგა, არაფერი გამოვა. მსოფლიოში ერთადერთი ფედერაცია საქართველოშია, რომელსაც სახელმწიფო მხარდაჭერას არ უცხადებს. ყველაფერთან გვაქვს შეხება და ვიცით, რომ ასე თუ ისე ყველა სახეობასთან აქვს სახელმწიფოს შეხება. ერთადერთი ფედერაციაა ჩვენი, რომელსაც სახელმწიფო არ ეხმარება. მხოლოდ წელს იყო, რომ 40 თუ 60 ათასი გამოგვიყვეს, რაც ძალიან ცოტაა.

- სპორტსმენების მოძიებას როგორ ახერხებთ?

- ჩვენი მოთამაშეები, ძირითადად, თბილისიდან და ბაკურიანიდან არიან. გვყავს სელექციონერები რუსეთსა და უკრაინაში, რომლებიც ჩვენთვის არჩევენ ისეთ ბიჭებს, რომლებსაც საქართველოს ნაკრებში თამაში შეუძლიათ და ჩამოჰყავთ. შემდეგ მიდის მოქალაქეობის მიღების დიდი პროცესი. ძალიან ძნელია, დაითანხმო რუსეთის მოქალაქე, რომ მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა და ჰოკეი ითამაშოს. ეს ფინანსებთან, მორალთან და ბევრ სხვა რამესთან არის დაკავშირებული. ყველაფერს ჩვენი ჯიბიდან ვიხდით, ხანდახან ძალიან გვიჭირს, ვთხოვეთ დახმარება სახელმწიფოს, მაგრამ პასუხი არ ჩანს.

- დედაქალაქში ყინულის მოედანი მოძველდა და სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. გქონდათ თუ არა მოლაპარაკება ახალი მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებით და რა დაჯდება ეს?

- მოლაპარაკებები გვაქვს დედაქალაქის ხელმძღვანელობასთან. დავით ნარმანიასაც შევხვდი და შევთანხმდით იმაზე, რომ რაღაც მიწას გამოგვიყოფენ. დიდი სურვილი გვქონდა, წინა ხელისუფლების დროს აგვეშენებინა ყინულის მოედანი, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რაც მაშინ ხდებოდა. გადავწყვიტეთ, რომ არ ღირდა იმ პერიოდში ამის აშენება და ფულის ჩადება, რადგან, კაცმა არ იცის, დაგვრჩებოდა თუ წაგვართმევდა ამ ყინულს შემდეგ მთავრობა. იმ ყინულის მოედნის აშენება, რაც დღეს თბილისს ეყოფა და საქართველოს გამოადგება, სადღაც 3-5 მილიონი დოლარი დაჯდება.

- საკლუბო ჩემპიონატის გარეშე წარმოუდგენელია სანაკრებო დონეზე წარმატების მიღწევა, მუშაობთ ამ საკითხზე?

- უკვე ტარდება ჩემპიონატი. ოთხი გუნდი გვყავს და ბაკურიანში ვარჯიშობენ. ბიჭების დიდი ნაწილი არაპროფესიონალია. ბაკურიანელები იქ ვარჯიშობენ. თბილისელები ბათუმში ჩადიან პარასკევს და სამი დღე ვარჯიშობენ. ზამთრის პერიოდში ბაკურიანში გადავდივართ და იქ ვაკეთებთ მოსამზადებელ პერიოდს. დღეს ჩვენ ხელფასს არავის ვუხდით, რადგან უმეტესობა არაპროფესიონალია, მაგრამ სულით და გულით თამაშობენ ჰოკეის. 2016 წელს, ვფიქრობ, გადავალთ უკვე იმ სისტემაზე, რომ მოთამაშეებს ანაზღაურებაც გადავუხადოთ. დღეს, საქართველოსთვის საკმარისი იქნება 6 გუნდი. ჰოკეის მსოფლიო ფედერაციის სტანდარტი 4 გუნდია, იმისთვის, რომ ქვეყნის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღოს მონაწილეობა და ჩვენ ეს სტანდარტი დაცული გვაქვს. რასაც ახლა ვხედავ, ზუგდიდშიც შეიძლება ერთი გუნდის გაკეთება და ამის გაკეთება კახეთშიც შეიძლებოდა, მაგრამ ეს ფინანსებთან არის დაკავშირებული. ჰოკეი, ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სპორტია და სახელმწიფოს დახმარების გარეშე წარმოუდგენელია რაღაც დონეს მიაღწიო.

- რამდენად დიდია მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის ამ სახეობაში?

- ნელ-ნელა იზრდება ინტერესი და ჩვენი ემიგრანტები ყველანაირად გვეხმარებიან უკრაინიდან.

- ჰოკეის ეროვნული ნაკრები 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველად ითამაშებს. რამდენად რთული იქნება ოლიმპიადაზე მოხვედრა და რა იქნება ნაკრების პროგრამა მაქსიმუმში?

- საქართველოს ნაკრების ისტორიაში, პირველად, ნაკრები მოხვდა ზამთრის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ეს იმის ხარჯზე გავაკეთეთ, რომ უმნიშვნელოვანესი ორი თამაში მოვიგეთ. საკვალიფიკაციო რეიტინგში, 36-ე ადგილზეა საქართველოს ნაკრები. მზადებას 10 სექტემბრიდან დავიწყებთ და ბათუმში გავივლით. საკვალიფიკაციო მატჩი ბულგარეთთან გვექნება და თუ მოვიგებთ, შემდეგ ეტაპზე გადავალთ. ერთ ადგილზე გაჩერება არ შეიძლება. მე და ჩემი გუნდი იმისთვის მოვედით, რომ აუცილებლად მხოლოდ წინ ვიაროთ. 5 წლის განმავლობაში ყველა დაგვცინოდა. როდესაც ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციაში პირველად მივედით, დაგვცინეს. ერთ-ერთი ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტმა გვითხრა, 10-15 წლის შემდეგ, ალბათ, ითამაშებთ მსოფლიოზეო. მე ვუპასუხე, თუ 5 წელიწადში ვერ ვითამაშებთ, შევეშვები ამ საქმეს-მეთქი. მსოფლიო ჩემპიონატზე ნასვლა თუ მომინდება, მაქვს იმის საშუალება, რომ 500 დოლარი გადავიხადო და ნებისმიერ მატჩს ვუყურო, მაგრამ მიზანი სულ სხვაა. 5 წლის განმავლობაში ორჯერ გავედით მსოფლიო ჩემპიონატზე. ახლა ოლიმპიურ კვალიფიკაციაში ვართ და მიზანი ბულგარეთის დამარცხებაა.

- არ ფიქრობთ, რომ პოპულარიზება სჭირდება ამ სახეობას და ამის დეფიციტიცაა დღეს?

- კი, იმიტომ ვარ თბილისში ჩამოსული, რომ მინდა ყველას გავაგებინო, ყველას შევხვდე. ადრე არავის აინტერესებდა არაფერი. ბოლო 6 თვის განმავლობაში, პირველად მოხდა ის, რომ სახელმწიფომ რაღაც მიზერული თანხა გამოყო. ხალხი კითხულობს, სად არის ჰოკეი საქართველოში, ვის აინტერესებს, თუ ეს სპორტი არ განვავითარეთ, ზამთრის სახეობები სულ დაიკარგება საქართველოში. ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, სადაც ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე თოვლი შეიძლება იყოს მთაში, ძალიან ცუდად გამოდის ზამთრის ოლიმპიურ სახეობებში. ინფრასტრუქტურის აშენება პრობლემა არ იქნება, თუ სახელმწიფო დაინტერესება იქნება. თუ ვინმე იტყვის, რა დროს ჰოკეია, როდესაც ხალხი შიმშილობს, ვუპასუხებ, რომ თუკი ახალგაზრდობა ვერ გავზარდეთ, სხვანაირად საით წავალთ. მაქვს თბილისის მერის იმედიც, თუმცა სანამ ჩემი ხელით არ გავაკეთებ, მანამდე უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება.

- გარდა ჰოკეისა, საქართველოში ბიზნესგეგმებიც გაქვთ, რას ეხება თქვენი გეგმა?

- მე ვარ, ერთ-ერთი მსხვილი რუსული კომპანიის, „ბელ გრუპის“ ხელმძღვანელი. ეს არის კომპანია, რომელიც ანათებს. „ბელ გრუპის“ განათებულია მთელი რუსეთი, კოსმოსური სადგურები. ახლა ინდოეთში, მუმბაი უნდა გავანათოთ, ბოლივუდის ვარსკვლავები ჩაერთნენ ამ პროექტში და მხარში გვიდგანან. ტაჯ მაჰალიც ჩვენ უნდა გავანათოთ. სოჭის ოლიმპიადაზე, ყველა ობიექტზე სამუშაოები ჩვენ შევასრულეთ. თუკი ხელისუფლება შემოგვიშვებს, გვინდა საქართველოში შემოსვლა. „ბელ გრუპი“ მსოფლიოს ხუთეულში შედის ამ ბიზნესში.

„საქართველოს ნაკრების ისტორიაში, პირველად, ნაკრები მოხვდა ზამთრის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ეს იმის ხარჯზე გავაკეთეთ, რომ უმნიშვნელოვანესი ორი თამაში მოვიგეთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საზამთროთი მოწამვლის ფაქტები გახშირდა

სურსათის ეროვნული სააგენტო ხილის მავნებლობას უარჰყოფს

მაგდა კლდიაშვილი

ზაფხულის დადგომასთან ერთად, მოსახლეობაში აქტუალური გახდა საზამთროთი მოწამვლის თემა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხილით მოწამვლაზე საქართველოს პარლამენტშიც ისაუბრეს, სურსათის ეროვნული სააგენტო დღემდე უარჰყოფს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში საზამთრო მომწამვლელ ნივთიერებებს შეიცავს. ოფიციალური მოწამვლის ფაქტებს არც საავადმყოფოებში ადასტურებენ, თუმცა მოსახლეობაში მოწამვლის ფაქტები გახშირდა.

„ზოგიერთი დეპუტატი სხდომას მგონი იმიტომ აცდენს, რომ კუჭი აქვს აშლილი“,- ეს განცხადება სულ ცოტა ხნის წინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და აგრარული კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატმა თემურ მაისურაძემ გააკეთა.

სხდომაზე სურსათის უვნებლობის საკითხები, კერძოდ კი, გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების ეტიკეტირების საკითხები განიხილებოდა. როგორც მაისურაძემ განაცხადა, მას საკუთარ ოჯახშიც კი ეშინია საზამთროსა და ნესვის ყიდვა, რადგან ამ ხილით მოწამვლის შემთხვევებზე ბევრჯერ მოისმინა.

თემურ მაისურაძე, დეპუტატი:

„საზამთროს და ნესვის გამო ნახევარი თბილისი კუჭის აშლილობით დადის, როდესმე ვინმე შეამოწმებს, რა საზამთრო და ნესვი იყიდება? ბავშვი საზამთროს მთხოვს, მეშინია და ვერ ვყიდულობ. შარშან ჩემს ოჯახში სამჯერ იყო მოწამვლის შემთხვევა. წელს ჩვენ არ გვიჭამია, მაგრამ მეზობლებს კუჭი აქვთ აშლილი და დარბიან. ზოგიერთი დეპუტატი სხდომას მგონი იმიტომ აცდენს, რომ კუჭი აქვს აშლილი“.

ნათია ჩოკორაია

სურსათის ეროვნულ სააგენტოში კატეგორიულად უარყოფენ იმას, რომ საზამთრო საშიშ ნივთიერებებს შეიცავს და ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც მათ აქვთ, ის არის, რომ მოსახლეობამ ხილი კარგად გარეცხოს.

საზამთროთი მოწამვლის ფაქტებს არც საავადმყოფოებისა და კლინიკების ნაწილი ადასტურებს, როგორც იაშვილისა და ღუდუშაურის კლინიკებში „პრაიმტაიმს“ განუცხადეს, ზაფხულში, ასეთი შემთხვევები მათთან არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ჟვანიას კლინიკას, მორიგე ექიმის, რუსუდან იოსელიანის უკმეხი პასუხის მიუხედავად, მან მაინც დაადასტურა საზამთროთი მოწამვლის ფაქტები.

რუსუდან იოსელიანი, ჟვანიას კლინიკის მორიგე ექიმი:

„იცით რა არის, ასეთ კომენტარებს არ ვიძლევი“.

- შეგიძლიათ გვითხრათ, დაფიქსირდა თუ არა საზამთროთი მოწამვლის ფაქტები თქვენს კლინიკაში?

- მე ყოველდღე არ ვარ და ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი ფაქტები იყო. ასე არ ვპასუხობ შეკითხვებს.

ნათია ჩოკორაია ერთ-ერთი მათგანია, ვინც საზამთროთი მოიწამლა, თუმცა ინტოქსიკაცია, მის შემთხვევაში, მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა და პირღებინებაში გამოიხატა.

ნათია ჩოკორაია:

„საზამთრო ვჭამე, ყავისფერი იყო, მაგრამ გემო არ ჰქონია. შემდეგ პირღებინება დამეწყო და ჩავთვალე, რომ საზამთროს ბრალი იყო. ექიმისთვის არ მიმიმართავს. ერთ დღეში გადამიარა“.

თამუნა ბალახაშვილს, საზამთროთი მოწამვლის შედეგად, კუჭნაწლავის წვა დარჩა. სხვა მოწამლულებისგან განსხვავებით, მან დახმარებისთვის საავადმყოფოს მიაკითხა, სადაც ოფიციალურად დაუდგინდა, რომ ამ ხილით მოიწამლა. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის საავადმყოფოში ეს ფაქტი დაფიქსირდა, დაავადებათა კონტროლის ცენტრი, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, ჯიუტად ამტკიცებს, რომ საზამთროთი მოწამვლის ფაქტები ოფიციალურად არ დასტურდება.

თამუნა ბალახაშვილი:

„ექიმის დახმარება დამჭირდა. დიაგნოზი იყო საზამთროთი მოწამვლა, რადგან იმ დღეს მეტი არაფერი მიჭამია. მეზობელთან ვიმყოფებოდი და ყავა მივირთვით, საზამთრო მივაყოლეთ და მეც და მეზობელიც, ორივე მოვიწამლეთ. გადასხმები დამჭირდა. საზამთრო ძალიან ცივი იყო და ჭამის დროს, ვერ გავიგე, ცუდი გემო ჰქონდა თუ არა. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ნაწლავების წვა მქონდა. გადასხმებზე რუსთავის საავადმყოფოში დავდიოდი“.

„მეც და მეზობელიც, ორივე მოვიწამლეთ. გადასხმები დამჭირდა. საზამთრო ძალიან ცივი იყო და ჭამის დროს, ვერ გავიგე, ცუდი გემო ჰქონდა თუ არა“

ზაზა დოლიძე

თამუნა ბალახაშვილი

სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, ზაზა დოლიძე თვლის, რომ მოსახლეობა ხილს კარგად არ რეცხავს და სწორედ ამის ბრალია ინტოქსიკაცია, რადგან საზამთროს შემოწმების შედეგად, მასში ნიტრატები და მავნე ნივთიერებები არ აღმოჩნდა.

ზაზა დოლიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი:

„ჩვენ სამჯერ ავიღეთ საზამთროს ნიმუშები - ივნისის მეორე ნახევარში, ივლისის დასაწყისში და ივლისის ბოლოს და სამივეჯერ აღმოჩნდა ნორმებში, ანუ არც ნიტრატები და არც მავნე ნივთიერებები მასში არ აღმოჩნდა.

- საზამთროთი მოწამვლის არა ერთი ფაქტი გამოვლინდა, მაშინ რა იწვევს მოწამვლას?

- რადგან საზამთრო არის ხილი, რომელიც ნიადაგთან უშუალო შეხებაშია, არის შემთხვევები, როდესაც არ ხდება მისი გარეცხვა. მისი, დიდი რაოდენობით მიღება გულისრევის შეგრძნებას იწვევს. ასე, არც დადასტურებულა, რომ საზამთროთი მოიწამლა ვინმე. დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან არ არის ასეთი ინფორმაცია. საზამთროთი მოწამვლის ფაქტები ოფიციალურად ცნობილი არ არის.

- სასუქების გადამეტებული მიცემა არ ხდის საზამთროს მომწამვლელს?

- სასუქებს უკეთებენ, მაგრამ, ეს, როგორც წესი, ივნისის შუა რიცხვებში ხდება, როდესაც ნაადრევი საზამთრო მოჰყავთ. პრევენციულ ღონისძიებებს ვატარებთ, მაგრამ ხანდახან, ფერმერები, ამ ხერხსაც მიმართავენ. ივლისსა და აგვისტოში, სასუქის დიდი რაოდენობით მიცემას აზრი არ აქვს, რადგან ხილი ამ დროს მწიფდება.

- თქვენი რეკომენდაციები რა არის?

- ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ძველი საზამთრო არ არის. კარგი იქნება, თუ კარგად გაირეცხება და შემდეგ დაიჭრება ხილი. მეტი განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები საჭირო არ არის.

თემურ მაისურაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვარლამ კილასონია - ბოლნისი შედეგზე ითამაშებს

მაგდა კლდიაშვილი

„სასურველია, ამხანაგურ მატჩებშიც ისწავლო გამარჯვება და წარმატებულად თამაში“

„ამ უპირატესობას, საკუთარი გულშემატკივრის დახმარებით, აუცილებლად გამოვიყენებთ“

თვეზე მეტია, რაც ბოლნისის „სიონი“ ვარლამ კილასონიამ ჩაიბარა. მისი თავკაცობით, ბოლნისელებმა ახალი სეზონისთვის მზადება პირველ ივლისს განაახლეს და მოსამზადებელი ეტაპი „ლოკომოტივთან“ მარცხით დაასრულეს. სულ, გამართული შვიდი ამხანაგური მატჩიდან, კილასონიას გუნდმა ერთხელ, აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მოიგო, ორი ფრედ დაასრულა, ოთხი კი წააგო. ორ წელიწად-ნახევრის შემდეგ, „სიონი“ საკუთარ არენას უბრუნდება. როგორი გარემო დახვდა კლუბში და

როგორი იქნება დაბრუნება ბოლნისში - „პრაიმტაიმი“ ვარლამ კილასონიას ესაუბრა.

- როგორი სამუშაო გარემო დაგხვდათ „სიონში“?

- გუნდმა ნორმალურად მიმიღო. არავის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია. რაც შეეხება გაწეულ სამუშაოს, ვისურვებდი, რომ უკეთესი ყოფილიყო. იქიდან გამომდინარე, რომ შეკრების ორგანიზება ვერ მოვახერხეთ. რამდენიმე ფეხბურთელმა დაგვტოვა, ბევრი სინჯებზე იყო. რთული იყო, ამა თუ იმ ფეხბურთელზე საბოლოო დასკვნის გაკეთება და ვერ მოხერხდა შეკრების ორგანიზება.

- გუნდის ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბდა?

- ერთ კვირაში უკვე ოფიციალური თამაში გვაქვს. მთლიანობაში, ბირთვი ჩამოყალიბდა, თუმცა, არ გაგიკვირდეთ, რომ ამ დღეებშიც, ერთი-ორი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდეს. დასახელებისგან თავს შევიკავებ. მთლიანობაში, გუნდი 98%-ით დაკომპლექტებულია.

- მოსამზადებელ პერიოდში გუნდმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა, აქედან მხოლოდ ერთი მოიგო, როგორ შეაფასებთ მოსამზადებელ ეტაპს?

- საერთოდ, რთულია, ამხანაგური თამაშებიდან დასკვნის გაკეთება. შედეგებს, ხშირ შემთხვევაში, ყურადღება არ უნდა მიაქციო, მაგრამ სასურველია, ამხანაგურ მატჩებშიც ისწავლო გამარჯვება და წარმატებულად თამაში. თუმცა, ეს გადამწყვეტი არ არის. შვიდი ამხანაგური თამაში ჩავატარეთ, ერთი მოვიგეთ, ორი ფრედ დავასრულეთ და ოთხი წავაგეთ. იყო ბევრი ექსპერიმენტი, ბევრი ფეხბურთელი გაისინჯა. სამწუხაროდ, თამაშებს ბოლო წუთებზე ვაგებდით. ამხანაგური თამაში იმისთვის არის, რომ გავიგოთ ყველას შესაძლებლობა, გუნდი უკეთესად შეთამაშდეს, დავინახოთ შეცდომები, რომელიც კალენდარულ თამაშებში უნდა გამოსწორდეს. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რომ გუნდმა უფრო წარმატებულად ითამაშოს.

„რასაც ვუყურებ ჩემი გუნდის თამაშს, არ არის გამორიცხული, ტაქტიკა შევცვალოთ“

- ჩემპიონატის სტარტზე ორი გასვლით ითამაში გიწევთ გურიაში, მზად არის გუნდი მძიმე სტარტისთვის?

- წეღანაც აღვნიშნე, გუნდმა არათუ ევროპაში, არამედ, საქართველოშიც ვერ მოახერხა შეკრების გავლა. საქართველოშიც რომ ვერ მოახერხებ შეკრების გავლას, ვერ იქნები იდეალურად მომზადებული გუნდი. ჩვენ გვესმის, რომ ორი თამაში, რომელშიც პირველ საწყის ტურებში გასვლაზე გვიწევს „გურიასთან“ და „კოლხეთთან“, უმძიმესი იქნება, მაგრამ ყველა თამაში უმძიმესი იქნება. დარწმუნებული ვარ, გუნდი სახეს არ დაკარგავს და შეეცდება, ყველა მატჩში წარმატებით ითამაშოს.

„საქართველოშიც რომ ვერ მოახერხებ შეკრების გავლას, ვერ იქნები იდეალურად მომზადებული გუნდი“

- თასის გათამაშებაში, „სიონს“ პირველლიგელი „რუსთავი“ შეხვდა, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ამხანაგური თამაში ამ გუნდთან ფრედ დაასრულეთ, თასზე მათი ბარიერის დაძლევას შეძლებთ?

- რა თქმა უნდა. ყველა თამაშის მოგებაზე ვფიქრობთ და მწვრთნელს რწმენა უნდა ჰქონდეს. ეს იოლი საჩუქარი არ იქნება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსთავის ახალგაზრდული გუნდი ვინმეს საჩუქარი იქნება, ცდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი მიზანი გვაქვს, გამარჯვება და შემდეგ ეტაპზე გასვლა. ჩვენ ყველა ფრონტიდან უნდა ვიბრძოლოთ ყველა თამაშის მოგებაზე და ვფიქრობ, ამ ბარიერს დავძლევთ.

- მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმის გამო დაკარგეთ, რომელ რგოლში გაგიჭირდებათ ყველაზე მეტად?

- მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაშიც იყო ტრავმები, მაგრამ ბოლო დღეებში დაგვემტვრა ვარლამ კილასონია, რომელმაც სერიოზული ტრავმა მიიღო. მანამდე, პირველივე შეხვედრაში დაზიანდა ალექსანდრე გურეშიძე, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა. ეს ორი ფეხბურთელი დაცვის რგოლის ფეხბურთელია, აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი დანაკლისი იქნება დაცვაში. რაც შეეხება თავდამსხმელ ლუის მედინას წასვლას ბათუმში, რამდენიმე დღის წინ, არანაკლებ ძლიერი ფეხბურთელი დავიმატეთ ტატანაშვილის სახით და დარწმუნებული ვარ, მის წასვლას გუნდი აიტანს, რამეთუ, თავდასხმაში, გარდა ტატანაშვილისა, დავიბრუნეთ ვილი ისიანი. სამწუხაროდ, ფორმა აკრიფა და ორი კვირის წინ ტრავმა მიიღო უგულავამაც, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამი ფეხბურთელი ამ რგოლს არ დაატყობს ლუისის არყოფნას.

„ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რომ გუნდმა უფრო წარმატებულად ითამაშოს“

- დიდი ხნის პაუზის შემდეგ „სიონი“ საკუთარ არენაზე დაბრუნდა. რა ფაქტორი ექნება საკუთარ მინდორს გუნდისთვის?

- როდესაც „სიონის“ მწვრთნელად დავინიშნე, ისევე როგორც ყველა ბოლნისელის, ჩემი სურვილიც იყო, რომ გუნდი დაბრუნებულიყო ბოლნისში და გუნდმა ეს მოახერხა. მუნიციპალიტეტს, ყველა იმ მუშაკს დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, ვინც სტადიონის მოწყობაში მიიღო მონაწილეობა. რთულია მასპინძელი იყო და გასვლაზე ითამაშო. როდესაც მასპინძელი ხარ, საკუთარი გულშემატკივარი გყავს და აქედან გამომდინარე, საპასუხისმგებლოა, რადგან სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს, ყოველთვის გამარჯვება, წარმატება უნდა. იმედია, გულშემატკივარი ყველაფერს რეალურად აღიქვამს ქართული ემოციებიდან გამომდინარე. მათი ემოცია შესაძლოა, გუნდისთვის გადამდები აღმოჩნდეს. დარწმუნებული ვარ მაინც იმაში, რომ გუნდმა, რომელიც ამ ქალაქში დაარსდა, საკუთარ მოედანზე უნდა ითამაშოს და ამ უპირატესობას, საკუთარი გულშემატკივრის დახმარებით, აუცილებლად გამოვიყენებთ.

- როგორ ფეხბურთს უნდა ველოდოთ „სიონისგან?

- სადაც კი ოდესმე მიმუშავია, ბავშვებსა თუ დიდებში, ჩემი სურვილი იყო, ყოველთვის შემტევი ფეხბურთი მეთამაშა, პირველ ნომრად, მაგრამ, ჯერჯერობით, რასაც ვუყურებ ჩემი გუნდის თამაშს, არ არის გამორიცხული, ტაქტიკა შევცვალოთ. ამაზეც ვმუშაობთ. შეიძლება მეორე ნომრად ვითამაშოთ, მაგრამ მაინც ვეცდებით, რომ სანახაობრივი თამაში ვაჩვენოთ. ჩვენ შედეგზე ვითამაშებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიამ მათიაშვილი შეყვარებულია

EXCLUSIVE



my View
ნინო მჭედლიშვილი

თეა დარჩიას ქალიშვილი, „სუხიშვილების“ მოცეკვავე, მარიამ მათიაშვილი შეყვარებულია. მისი რჩეული გიგა მეტრეველია. წყვილი ერთად გადაღებულ ფოტოებს უკვე დიდი ხანია აქვეყნებს, თუმცა ამ თემაზე საჯაროდ არც ერთი არ საუბრობს. ერთ-ერთ ფოტოზე, სადაც მარიამი და გიგა ერთმანეთს ეხუტებიან, გიგას მეგობარი თუ ოჯახის წევრი წერს, „გიგა, წამოიყვანე ულამაზესი მარიამი ოჯახში“.

რამდენიმე თვის წინ, მარიამი ჩემთან ინტერვიუში ამბობდა, რომ შეყვარებული არ ჰყავდა.

„სულ ვამბობ, რომ ყველა ასაკს თავისი სიყვარული აქვს. მეგონა, მიყვარდა შარშან, ორი, სამი წლის წინ. ახლა ვფიქრობ, რომ თუ კვლავ შემიყვარდება, ის ერთადერთი ნამდვილი სიყვარული იქნება.

- როგორი უნდა იყოს ის ერთადერთი?

- აღმოვაჩინე, რომ სტერეოტიპები არ მაქვს. ვერც იმას ვიტყვი, რომ გარეგნობას მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ბიჭი გარეგნულადაც უნდა მომეწონოს. მერე ემატება სხვა დანარჩენი. ამიტომ წინასწარ არ ვიცი, როგორი მეუღლე მინდა მყავდეს.

- არჩევანის წინაშე თუ დაგაყენა?

- კარიერა თუ ოჯახი? როცა ადამიანს უყვარხარ, მან ისიც კარგად იცის, რა დამოკიდებულება გაქვს შენს საყვარელ საქმესთან. ჩემს მომავალ მეუღლეს, სანამ ცოლად მომიყვანს, მანამდეც ეცოდინება ჩემი დამოკიდებულება ცეკვისადმი. წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. ისიც არ ვიცი, თავად რას გადავწყვეტ, ოჯახს რომ შევქმნი, კიდევ ვიცეკვებ თუ არა. დღეს მოცეკვავე რომ ვიქნებოდი, ისიც არ ვიცოდი წინასწარ“.

მას მერე, რაც მარიამის ფეისბუქგვერდზე გიგას ფოტოები ვნახე, მარიამს მათი სიყვარულის ამბის მოყოლა ვთხოვე. „დიდი ბოდიში მაგრამ, არ ვსაუბრობ ამ თემაზე“, მიპასუხა მარიამმა.

იმედს ვიტოვებ, რომ წყვილი გაიხსნება ჟურნალისტებთან და „ლავსთორის“ ამბავსაც გვიამობს.



paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

გიორგი ახვლედიანი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ატლასგლობალი“ განვითარების ახალ საფეხურზე

მემორანდუმი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან

4 აგვისტოს, Radison Blue Ivera-ში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და ავიაკომპანია „ატლასგლობალს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ და ავიაკომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის კომერციულმა დირექტორმა თამარ თანდაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის მიზანია ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით საქართველოში ტურიზმის განვითარება და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენა.

გიორგი ჩოგოვაძე: „დღეს ხელი მოეწერა, თურქეთის ერთ-ერთ წამყვან ავიაკომპანიასთან თანამშრომლობას. ეს პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციას ქვეყნის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც ავიაკომპანია „ატლასგლობალი“რეგულარულ რეისებს ასრულებს“.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და „ატლასგლობალ ჯორჯიას“ ინიციატივით ტუროპერატორებისთვის ტრენინგი გაიმართა, თემაზე, საქართველოში შემომავალი ტურისტული პაკეტების შექმნის სპეციფიკა და ოპერაციული მართვა.

ტრენინგი თურქეთიდან მოწვეულმა სპეციალისტმა ისმეთ გუნაიდინმა გამართა, რომელიც ცნობილი თურქული ტუროპერატორის „etstur“ წარმომადგენელია.

„დღეს, ქართველ ტუროპერატორებს გავუზიარე ჩემი გამოცდილება. იმედი მაქვს, ეს ტრენინგი წაადგებათ მათ, რათა გაიუმჯობესონ საკუთარი უნარები“, - განაცხადა ისმეთ გუნაიდინმა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სემინარები და ტრენინგები, ადგილობრივი ტუროპერატორებისთვის. სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება ადგილობრივი ტურისტული ბაზრის განვითარებისთვის.

თამარ თანდაშვილი: „დღეს ხელი მოეწერა ძალიან მნიშვნელოვან მემორანდუმს, ეს არის აღსანიშნავი პრეცედენტი, როდესაც სამოქალაქო სექტორი და სახელმწიფო სექტორი ერთ სიბრტყეზე ერთიანდება, საერთო მიზნის მისაღწევად. ავიაკომპანია „ატლას გლობალი“ აქტიურად ჩაერთვება საქართველოს პოპულარიზაციაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რათა, ერთი მხრივ, გაზარდოს შემომავალი ტურისტების რაოდენობა და მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს საქართველოს ტურისტული ბაზრის განვითარებას“.

ავიაკომპანია „ატლას გლობალი“ ქართულ ბაზარზე, კომპანია „ატლას გლობალ ჯორჯიას“ მიერ არის წარმოდგენილი. ავიაკომპანია ავიაბაზარზე 2013 წლის ოქტომბრიდან ოპერირებს და თბილისი-სტამბოლის მიმართულებით რეგულარულ ასრულებს ავიარეისებს. 2015 წლიდან ავიაკომპანიამ გააფართოვა ქსელი ევროპის მიმართულებით. „ატლასგლობალი“ მჭიდროდ თანამშრომლობს ტურისტულ სააგენტოებთან და ტუროპერატორებთან, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს მასშტაბით.

არსებული რესურსების გამოყენებით, ავიაკომპანია მზად არის წვლილი შეიტანოს საქართველოს ტურისტული ბაზრის განვითარებაში და ჩაერთოს სხვადასხვა ღონისძიებაში ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. ქართული ტურისტული ბაზრის განვითარების მიზნით, „ატლას გლობალ ჯორჯიასა“ და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის ერთობლივი ინიციატივით შემუშავდა საქართველოს ტურისტული ბაზრის განვითარების მხარდამჭერი ტურპროექტი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რუსული პროვოკაცია

სალომე ჩადუნელი

საქართველო საარჩევნო ციკლში შედის და რუსეთი დაინტერესებულია პარლამენტში პრორუსული ძალების შესვლით. მოსკოვის გადაწყვეტილებით, აფხაზეთში რკინიგზის მონაკვეთის სწრაფი აღდგენა მიმდინარეობს, კახეთის მიმართულებით კი – რუსეთის გზის მშენებლობა. თბილისში გზების მშენებლობა უკვე მოინათლა ფსიქოლოგიურ ზეწოლად, პოლიტიკური წრეები რუსეთის მხრიდან პროვოკაციებზე საუბრობენ.

პრაიმტაიმი „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარეს, პაატა დავითაიას ესაუბრა:

– ძალიან საინტერესო პროცესებია, იმიტომ რომ რეალურად ჩვენ ვხედავთ, იმას, რომ რუსეთის ფედერაციას რაღაც გეგმები აქვს საქართველოსთან დაკავშირებით, უბრალოდ, არ ვიცით, რა გეგმებზეა საუბარი.

თუ ანალიზს გავაკეთებთ, დავინახავთ, რომ რუსეთი სულ აგრესიით მოდის საქართველოზე. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ორი თუ სამი კვირით ადრე, რუსეთის შეიარაღებული ძალების საინჟინრო ძალებმა აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის სწრაფი აღდგენა დაიწყეს და მაშინ კეთდებოდა განცხადება, რომ ეს შიდა მიმოსვლისთვის სჭირდებოდათ. სინამდვილეში ეს გამოყენებული იყო ჯარების შემოსაყვანად დასავლეთ საქართველოში.

დღესაც უცებ, სეპარატისტთა გაფრთხილების გარეშეც კი, შემოვიდა რუსეთის ფედერაციის საინჟინრო ჯარები და დაიწყო რკინიგზის აღდგენა. დღესაც იდენტურად კეთდება ის განცხადებები, რა განცხადებებიც 2008-ში კეთდებოდა, რომ ეს ყველაფერი შიდა მიმოსვლისთვისაა.

რკინიგზასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, როგორც საქართველოს მთავრობა აცხადებს, არ აწარმოებს, მაშინ რაში სჭირდებათ ეს გზა, თუ არა ინტერვენციისთვის? მეორე მაგალითი, რაც აძლიერებს იმას, რაც მე ვთქვი, არის კახეთის მიმართულებით რუსეთის გზის მშენებლობა მარტო რუსული მხარის მიერ, ფაქტობრივად, მას დასრულებული აქვს მშენებლობა და სჭირდება გზის გაკეთება ქართული მხრიდან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რასაც საქართველოს მთავრობა არ აკეთებს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: კომუნიკაციები, რომელიც ორი მიმართულებით მოდის მზადყოფნაში რუსეთის ფედერაციიდან, რისთვის არის საჭირო? ჩემი პასუხი ძალიან მარტივია – მზადდება სერიოზული პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ! კონკრეტულად რა გეგმა აქვს რუსეთს ჩაფიქრებული, მიჭირს ამ ეტაპზე ლაპარაკი.

– ნიშნავს თუ არა პროვოკაციის საფრთხე იმას, რომ ხელისუფლებაც ფრთხილი უნდა იყოს რუსეთის მიმართ?

– აქ უკვე ორი მომენტია, ხელისუფლება იყოს თუ არა ფრთხილი, ამას უკვე არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. წინა ხელისუფლება თუ დანაშაულის მიმართ გამოვლენილი აგრესიით გამოირჩეოდა და კიდევ უფრო მკაცრ რეაგირებას აკეთებდა, შედეგი რა იყო? შედეგი იყო ის, რომ მაშინ ტერიტორიები მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების გზით დაიკარგა. დღევანდელი ხელისუფლება, თავისი რბილი პოლიტიკით, ტერიტორიებს არა საბრძოლო მოქმედებების გზით კარგავს, არამედ ისე. რუსეთისთვის მნიშვნელობა არ აქვს, დათბობითი პოლიტიკა იქნება თუ აგრესიული, მას უნდა, მთლიანად დაიპყროს საქართველო.

– რაც შეეხება რუსულ პროვოკაციას, თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, რაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?

– მარტო მე კი არა, პარლამენტის თავმჯდომარემაც თქვა, რომ არ გამორიცხავს რუსეთიდან პროვოკაციებს.

რუსეთს დღეს დასაკარგი არაფერი აქვს, რუსეთი უკვე ყველას თვალში იმიჯშელახული ქვეყანაა, ის აგრესორი ქვეყანა და მორჩა. ამ იმიჯის გამოსწორებას ისინი არ ცდილობენ, ამიტომ აქვთ ეს იმიჯი მორგებული, შეეწინააღმდეგენ მთელ მსოფლიოს უკრაინასთან დაკავშირებით და სანქციები დაინესეს, ახლა რა დარჩათ? თავისი იდეური ზრახვები განახორციელონ. რა დაემატება რუსეთს იმით ან რა მოაკლდება, თუ რუსეთმა დღეს ომი დაიწყო?

– როცა აფხაზეთში ანქვაბის წინააღმდეგ მოძრაობები დაიწყო, ყველამ ვიცოდით, ვისზე დებდა ფსონს მოსკოვი? როგორი ხელისუფლება უნდა რუსეთს, თბილისში რომ ჰყავდეს?

– ვფიქრობ, რუსეთს საქართველოში უნდა, ისეთი ხელისუფლება ჰყავდეს, რომელიც იტყვის, რომ ის შედის ევრაზიულ კავშირში.

– ასეთი ნინო ბურჯანაძეა?

– არ ვიცი, მე არ მინდა ვინმეს რამე ისეთი დავაბრალო, რაც არ ჩაუდენია. რა უნდა რუსეთს? ვფიქრობ, ამ სიტუაციაში ბურჯანაძეზე საუბარი არასერიოზულია. რატომ? ეს ადამიანი შეიძლება იყოს ნებისმიერი, ვიღაც იქსი, რომელიც შეიძლება მათ დასვან. ბურჯანაძის პლუსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ღიად ლაპარაკობს, რა უნდა. ის ღიად ამბობს, რომ პრორუსული გზაა გამოსავალი. მე ამას უფრო ვაფასებ, რომ ის ღიად საუბრობს. პრობლემა მაქვს იმ ხალთან, ვინც ამაზე ღიად არ საუბრობს და მაინც აკეთებს.

– რადგან რუსეთი პროვოკაციას გეგმავს, გამოდის, რომ ეს ხელისუფლებაც არ მოსწონს?

– მე ვუყურებ რუსულ არხებს, ვხედავ, რომ რუსულ არხებზე, განსაკუთრებით ხელისუფლების მიერ კონტროლირებად არხებზე, ყოველკვირა გადის გადაცემა, ბოლო გადაცემა იყო, რატომ არის დაძაბული ურთიერთობა საქართველოს ახალ ხელისუფლებასა და რუსეთს შორის. ყველა გადაცემის ლაიტმოტივია ის, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ, პირობითად ვლაპარაკობ, არ გაამართლა რუსეთის თვალში. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი უკმაყოფილოა ამ ხელისუფლებისაც, რომელიც სირაქლემის პოზას ირჩევს რუსეთთან ურთიერთობაში.

– ახლა რომ სააკაშვილის ხელისუფლება იყოს, თავისი გუნდით, რომელსაც ჰქონდა მკვეთრად აგრესიული პოლიტიკა რუსეთის მიმართ, შეძლებდნენ პროვოკაციების აცილებას?

– კიდევ ერთხელ ვიტყვი, აგრესიულმა პოლიტიკამ გამოინვია ის, რომ ტერიტორიები არ დაიკარგა და დაიკარგა მხოლოდ საბრძოლო მოქმედების გზით და რუსეთს დისკომფორტი ჰქონდა საქართველოსთან დაკავშირებით, ყველა საერთაშორისო დონეზე. დღეს ეს დისკომფორტი მოხსნილი აქვს რუსეთს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. არავინ არ ახსენებს საქართველოს. ეს არის საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საქართველოს მთავრობა არის სირაქლემის პოზაში და თმობს ყველაფერს და ამის ფონზე რუსეთი აგრძელებს ტერიტორიების წაღებას. ამის ფონზე ძნელია თქვა, რა არის სწორი და რა მოხდება, ახლა რომ ძველი მთავრობა იყოს. ჩემი აზრით, სააკაშვილის დროსაც იგივე მოხდებოდა, რაც დღეს ხდება. იგივე მდგომარეობა გვექნებოდა, ბორდერიზაცია არ იქნებოდა, იქნებოდა დაძაბული მდგომარეობა და როგორ განვითარდებოდა მოვლენები, არ ვიცი, წამოვიდოდა თუ არა რუსეთი აგრესიის გზით, არ ვიცი.

– რა შეუშლიდა ხელს, რომ აგრესიაზე არ წასულიყო?

– არ ვიცი, წამოვიდოდა თუ არ წამოვიდოდა-მეთქი, მაგრამ რა შეუშლიდა ხელს, არ ვიცი, დღესაც რა შეუშლის ხელს? არაფერი. მარტივი და კარგი შესადარებელია. აგრესიული პოლიტიკა – ტერიტორია იკარგება, სირაქლემის პოლიტიკა – ტერიტორია იკარგება.

– ანუ ვარაუდობთ, რომ საარჩევნო პერიოდში შეიძლება ვითარება კიდევ უფრო დაიძაბოს, იმიტომ რომ პრორუსული ძალების მოყვანას რუსეთმა შეუწყოს ხელი?

– ძალიან მარტივ მაგალითს მოვიყვან. რუსეთმა ისე დაძაბა სიტუაცია წინასაარჩევნოდ, რომ ხალხს გაუჩნდა შიში აგრესიის, უცებ ჩნდებიან ძალები, რომლებიც ამბობენ, რომ ყველა ამ პრობლემას მოაგვარებენ და ეს ყველაფერი მოგვარდება ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ჰო, თავისუფლად შეიძლება ამომრჩეველი მოტყუვდეს. მორჩა, ამით ვინ იგებს? რუსეთი.

„ბურჯანაძის პლუსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ღიად ლაპარაკობს, რა უნდა. ის ღიად ამბობს, რომ პრორუსული გზაა გამოსავალი. მე ამას უფრო ვაფასებ, რომ ის ღიად საუბრობს. პრობლემა მაქვს იმ ხალთან, ვინც ამაზე ღიად არ საუბრობს და მაინც აკეთებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ხდება რკინიგზაში ბათუმი-თბილისის მატარებლებსა და ბილეთების ფასებზე

სალომე ჯოლია

რკინიგზას იმდენად ჭკვიანური მენეჯმენტი ჰყავს, რომ ზაფხულში თბილისი-ბათუმის მიმართულებით მოძრავი ღამის მატარებლების რაოდენობა შემცირდა. ადრე თუ მატარებლები დამსვენებლებსა და ტურისტებს ყოველდღე ემსახურებოდნენ, ახლა ყოველ მეორე დღეს ემსახურებიან. ვერაფერს იტყვი, გამჭრიახული გეგმაა. თუმცა კიდევ უფრო საინტერესოა ის, რაც ბილეთების ფასებთან დაკავშირებით ხდება.

„თქვენ იხსენებთ იმ პერიოდს, როდესაც მოძრაობდა მოძველებული, კუპირებული, ე.წ „საძილე“ ვაგონები, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩა საქართველოს რკინიგზაზე“

„ჩვენ ვაწარმოებთ კამპანიებს, რომ მგზავრები მოვიზიდოთ და როგორ შეიძლება უარი ვუთხრათ მათ გადაყვანაზე“

„შეიძლება კარგი იყოს, რომ საათში ერთხელ გადიოდეს მატარებელი, მაგრამ ფიზიკურად არ არსებობს ამდენი მგზავრი“

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა დაჩი ცაგურიამ დაგვარწმუნა, რომ ღამის მატარებლებზე ბილეთები გაიაფდა. მისი ინფორმაციით: „2010 წელს დადგინდა ბილეთის ფასი, პირველ კლასზე – 40 ლარი, ხოლო მეორე კლასზე – 23 ლარი. ჩვენ 10 თვის განმავლობაში გვაქვს ფასდაკლების სისტემა. პირველი კლასის 40-ლარიან ბილეთს 25 ლარად ვყიდით, ხოლო მეორე კლასის 23-ლარიან ბილეთს – 18 ლარად. 10 თვის განმავლობაში მგზავრებს შეუძლიათ, ისარგებლონ ამ დიდი და მასშტაბური ფასდაკლებით და სარგებლობენ კიდეც“.

თუმცა, ცხელ ხაზს სხვა ინფორმაცია აქვს. ოპერატორმა გვითხრა, რომ პირველი კლასის ბილეთი 40 ლარი ღირს, ხოლო მეორე კლასის – 23 ლარი. რაც შეეხება მასშტაბურ ფასდაკლებას, ის თურმე 15 სექტემბრიდან, ანუ სეზონის დასრულების შემდეგ იწყება. ისე, საინტერესოა ვისთვის.

შემდეგ, ჩვენ კვლავ მოგვიწია ცაგურიასთან დაკავშირება. მხოლოდ ამის შემდეგ „აღიარა“ მან, რომ ბილეთებიც ძვირია და მატარებლების რაოდენობაც შემცირებული.

დაჩი ცაგურია:

– ბილეთებზე ფასდაკლება იწყება 15 სექტემბრიდან და გრძელდება 10 თვე, ანუ 15 ივლისამდე. მხოლოდ ორი თვე (15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე) დავტოვეთ ის ფასები, რომელიც 2010 წლიდან 2013 წლამდე, მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდა. 10 თვის განმავლობაში 40-ლარიანი ბილეთი ღირს 25 ლარი, ხოლო 23-ლარიანი – 18 ლარი.

დედამიწაზე არსებული ნებისმიერი კომპანია, რომელიც რაღაცას ყიდის, ფასდაკლებით ყიდის მაშინ, როდესაც ნაკლები მომხმარებელი ჰყავს. იმ პერიოდში, როდესაც ნაკლები მომხმარებელი გვყავდა, ჩვენც გვქონდა შესაძლებლობა, ფასდაკლება გაგვეკეთებინა და გავაკეთეთ კიდეც. იმ პერიოდში, როდესაც 100% იყიდება კომპანიის პროდუქცია, ბუნებრივია, კომპანია ამ დროს ფასს არ შეამცირებს. ჩვენ არ გაგვიზრდია ფასები, პირიქით. 10 თვის განმავლობაში სარგებლობენ მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, ხოლო 2 თვე დავტოვეთ ძველი ფასი. თუ გავითვალისწინებთ ვალუტის კურსის ცვლილებას. ის საერთოდ არ შეხებია ბილეთის ფასს.

მას შემდეგ, რაც მსგავსი სტანდარტები შემოვიღეთ, წელიწადის სხვა სეზონზეც მნიშვნელოვნად გაიზარდა მგზავრთა რაოდენობა. მანამდე ვერ ახერხებდნენ მგზავრები მატარებლის ბილეთის შეძენას. ზოგადად, არსებობს კლიენტთა, მგზავრთა სხვადასხვა სეგმენტი, რომელიც დეკემბერში ან მარტში ყიდულობს ბილეთებს. ამ სეგმენტს ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ ცვლილებებმა გამოიწვია ის, რომ GOEuro-ს, საერთაშორისო ინტერნეტპორტალის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოს რკინიგზა , მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე იაფ რკინიგზებს შორის მეორე ადგილზე მოხვდა. ხოლო ევროპის მასშტაბით პირველ ადგილზე ვართ.

ცაგურია დიდხანს გვიხსნიდა, რომ თბილისი-ბათუმის მიმართულებით მოძრავი მატარებლების რაოდენობა კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. გაზრდას ეძახის აგვისტოში ღამის მატარებლის დღეგამოშვებით სიარულს, მაშინ, როცა მატარებელი ყოველდღე დადიოდა. ეს რატომ არ არის ცაგურიას ენაზე შემცირება, ჩვენთვის უცნობი დარჩა.

დაჩი ცაგურია, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:

– თქვენ იხსენებთ იმ პერიოდს, როდესაც მოძრაობდა მოძველებული, კუპირებული, ე.წ „საძილე“ ვაგონები, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩა საქართველოს რკინიგზაზე. ამ მატარებლებს ჰქონდა გარკვეული საექსპლუატაციო ვადა. როდესაც ეს ვადა ამოიწურა, ჩვენ ისინი ახლით ჩავანაცვლეთ. ეს ახალი მატარებლები არის გაცილებით კომფორტული, უკეთესი, უფრო სწრაფი, მოქნილი, მეტად დახვენილი და თანამედროვე. მსოფლიო პრაქტიკაში არ გვხვდება შემთხვევა, რომ 5-საათიან გზებზე ისეთი ტიპის მატარებლები მოძრაობდნენ, როგორიც ჩვენთან იყო. ახალ მატარებლებში სამგზავრო ადგილების რაოდენობა გაიზარდა და დაახლოებით 307-ია. წინა მატარებლების შემთხვევაში, გაცილებით ნაკლები იყო. საერთო ჯამში, ადგილების რაოდენობა დაახლოებით 40%-ით გავზარდეთ. აგრეთვე, გავზარდეთ სამატარებლო შემადგენლობის რაოდენობაც. ასე რომ, ჩვენ არაფერი შეგვიმცირებია, პირიქით. მინდა აღვნიშნო, რომ ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, არსებული მატარებლების რაოდენობას, ორმხრივი რეისი დავამატეთ, მატარებელი 854 და მატარებელი 0853, დაემატა ორი სრული მიმართულება. დამატებული მატარებელი გადის 10:25 წუთზე. ეს ყველაფერი დამოკიდებულია მოთხოვნაზე, მგზავრთა რაოდენობაზე. თუ მოთხოვნა გაიზრდება, ჩვენ მზად ვართ ყველა ამოცანის შესასრულებლად. ზოგადად, ვამატებთ ისეთ დროებს, რომლებზეც მოთხოვნა დიდია. ჩვენ ვანარმოებთ კამპანიებს, რომ მგზავრები მოვიზიდოთ და როგორ შეიძლება უარი ვუთხრათ მათ გადაყვანაზე. აგრეთვე, ვაკვირდებით მოვლენებს და შესაბამისად ვიქცევით. უკვე მოძრაობს ოთხი მატარებელი და თუ აუცილებელი იქნება, კიდევ დაემატება.

– რამ გამოიწვია ბათუმის მიმართულებით ღამის მატარებლის გასვლა ყოველ მეორე დღეს?

– გარკვეული ხარჯები აქვს ამ მოძრაობას. უნდა არსებობდეს მგზავრთა რაღაც რაოდენობა, რომ მატარებელი დაემატოს. როგორც კი ასეთი მოთხოვნა გაჩნდა, დავამატეთ მატარებელი, რომელიც იმ დროს გადის, რომლის მოთხოვნაც იყო. ღამის მატარებელზეც რომ იყოს უფრო მეტი მოთხოვნა, მაშინ იქაც დავამატებდით. როდესაც მოთხოვნაზე ვსაუბრობ, მოთხოვნაში მგზავრთა რაოდენობასაც ვგულისხმობ, ხუთი-ექვსი ადამიანისთვის ვერ გავუშვებთ მატარებელს, ამისთვის ლოგიკური ციფრი უნდა არსებობდეს. შეიძლება კარგი იყოს, რომ საათში ერთხელ გადიოდეს მატარებელი, მაგრამ ფიზიკურად არ არსებობს ამდენი მგზავრი. ის, რომ მატარებელი დღეგამოშვებით დადის, თავისთავად, მოთხოვნასთანაა დაკავშირებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

პირდაპირი დავალ

„მე, კახურად გავბრაზდი. თქვენი მეორე ტურისაც და ფინალისაც-მეთქი, ვუთხარი და არც მეორე ტურზე აღარ მივედი“

„ყველა იმ ქვეყანაში სადაც მიმღერია და გამიმარჯვია, მაფასებენ და ჩემს ქვეყანაში ვერ მცნობენ, არ მაღიარებენ. არ უხარიათ, შურთ, ცდილობენ არსად გამოგაჩინონ, დაგმარხონ, მიწა მოგაყარონ“

„იმიტომ რომ ბიძა არ მყავს ფულიანი, არც მამა მთავრობაში“

„ნაციონალების დროს ხდებოდა ჩემი დაბლოკვა, სწორედ მათი ცხრაწლიანი მმართველობის დროს. დასამალი არაფერი მაქვს, ყველაფერს დეტალურად მოვყვები“

my View

ნინო მჭედლიშვილი

ტატო გოდერძიშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ ოცამდე მუსიკალური ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია. საქართველოში შოუბიზნესის ვიწრო წრე იცნობს. პროფესიონალები ურჩევენ კლასიკური მუსიკისკენ აიღოს გეზი. აპირებს კიდეც, მაგრამ მანამდე საესტრადო სიმღერებს მღერის, აგრეთვე ფოლკლორული ანსამბლის „ხარების“ პროდიუსერი გახლავთ. ახლახან „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის“ გახსნაზე პაატა ბურჭულაძესთან ერთად საქართველოს ჰიმნი შეასრულა. ამბობს, რომ მას ეკუთვნის სიმღერა „ფსოუს წყალი“, რომელსაც ნინი ბადურაშვილი ასრულებს. ერთი სიტყვით, წინ საინტერესო ინტერვიუ გელოდებათ.

- ტატო, დიდი ხანია მღერი, არაერთი საერთაშორისო ფესტივალი გაქვს მოგებული, მაგრამ საქართველოში არ გიცნობენ. რა არის ამის მიზეზი?

- როგორ გითხრათ, საკუთარ თავს ამას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. სხვა ხელოვანებზე მეტს თუ არა, ნაკლებს ნამდვილად არ ვშრომობ. უბრალოდ მგონია, რომ საქართველოში ყოველთვის იყო კლანური ურთიერთობები, კლანური ხელოვნება. ბევრჯერ ვყოფილვარ ამა თუ იმ პროექტში ჩართული და მერე ვიღაცას ამოუღია ჩემი ნომერი პროექტიდან, მბლოკავდნენ.

- შენამდე ეს ინფორმაცია როგორ მოდიოდა?

- ჩვეულებრივად. რომ დაგირეკავს პროექტის პროდიუსერი და გეტყვის, რომ ხვალ ამა და ამ საათზე, ამა და ამ პროექტთან დაკავშირებით უნდა მოხვიდე, მეორე დღეს კვლავ გიკავშირდება და გეუბნება, ფორსმაჟორული სიტუაცია შეიქმნა და თქვენ მაგივრად კონცერტზე სხვა იმღერებსო, ამას დიდი მიხვედრა უნდა? თან მამშვიდებდნენ, შემდგომში დაგირეკავთო. დამალული არაფერია. ერთი კეთილშობილი ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე გუნდში, რომელსაც გამოაქვს ინფორმაცია. ძალიან მტკივა გული, 20 საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული ვარ. ყველა იმ ქვეყანაში სადაც მიმღერია

„არ მგონია მხოლოდ ნაცნობობის წყალობით მოვხვედრილიყავი პაატა ბურჭულაძის გვერდით სცენაზე“

და გამიმარჯვია, მაფასებენ და ჩემს ქვეყანაში ვერ მცნობენ, არ მაღიარებენ. არ უხარიათ, შურთ, ცდილობენ არსად გამოგაჩინონ, დაგმარხონ, მიწა მოგაყარონ. არ მიყვარს ხოლმე ასეთ თემებზე საუბარი, მაგრამ ძალიან ცუდია, როცა ნიჭიერება არ ფასდება ქვეყანაში. ცუდია, რომ ნიჭიერ ადამიანებს უნიჭოები ულობავენ გზას.

- ვის ჰქონდა ინტერესი შენი ჩაძირვის, დაბლოკვის?

- ნაციონალების დროს ხდებოდა ჩემი დაბლოკვა, სწორედ მათი ცხრაწლიანი მმართველობის დროს. დასამალი არაფერი მაქვს, ყველაფერს დეტალურად მოვყვები. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ქვეყნის მუსიკალური ფესტივალიდან გრან-პრით დავბრუნდი, ჩემი ხალხი, ჩემი ქართველი მსმენელი ვერ მცნობ-

„ნამდვილად არავინ მყავს არც ახალ მთავრობაში. უბრალოდ, ახლა მომღერლები აღარ იბლოკებიან, დღეს ნიჭიერებას აფასებენ“

ბდა. გადავწყვიტე მათთვისაც გამეცნო თავი და ქართულ მუსიკალურ კონკურსებშიც მიმეღო მონაწილეობა. პირველ „ჯეოსტარზე“ მივედი. რომ დამინახა ქალბატონმა მარინა ბერიძემ, მითხრა, აქ რა გინდა, ჩამოყალიბებული, შემდგარი მომღერალი ხარ, კონცერტებზე უნდა გახვიდეო. კარიერა მინდა გავიკეთო, ხალხმა მინდა გამიცნოს-მეთქი, ვუთხარი. შენ რომ პროექტში მიგიღოთ, აზრი დაეკარგება კონკურსსო, მითხრა. გამომისტუმრეს უარით. ჩემების დაჟინებული თხოვნით მივედი „ახალ ხმაშიც“. იმ პერიოდში მოსკოვში, უკრაინაში ვმოღვაწეობდი, მაგრამ გადავდე ყველაფერი და მივედი ქასტინგზე. გადავედი პირველ ტურზე, მეორე ტური უკვე „იმედის“ პავილიონში ჩატარდა. რუსიკო ბახტაძე, რუსა მორჩილაძე ესწრებოდნენ. ვიმღერე როიალთან, ორი სიმღერა შევასრულე. მითხრეს, რომ გადავედი შემდეგ ტურში და დამირეკავდნენ „ლაივშოუების“ დაწყებამდე. არ დაურეკავთ. თვითონ დავრეკე. პროექტის ჰოლანდიელმა პროდიუსერმა თქვენი ჩანაწერი ნახა, თქვა რომ ძლიერი, პროფესიონალი მუსიკოსია და ეს რომ ამ პროექტში მივიღოთ, აზრი დაეკარგება კონკურსსო, მიპასუხეს...

- შენ „იქს ფაქტორშიც“ მონაწილეობდი, პირველ შესარჩევ ტურზე გნახე...

- ჰო, არ დამანებეს ჩემებმა და ახლა „იქს ფაქტორში“ გამიშვეს. პირველი ტური იქაც წარმატებით გავიარე. „ო სოლე მიო“ ვიმღერე. ბოლოს მიკროფონი დავდე და ისე ვიმღერე. სტეფანე ხელებს მიქნევდა, რას აკეთებ, მიკროფონი პირთან მიიტანეო. თუ იქ იყავი, ნახავდი, როგორ ადგა დარბაზი ფეხზე და როგორი აპლოდისმენტები დავიმსახურე. ოთხივე ჟიურის ნევრი ფეხზე იდგა. მოხდა ისე, რომ ჩემი გამოსვლა არც აჩვენეს გადაცემაში. დამირეკეს პროექტიდან და ასეთი რამ მითხრეს. თქვენ მეორე ტურში გამოხვალთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მესამე ტურში აღარ იქნებითო. გავგიჟდი, თქვენ რა იცით, რას ვაკეთებ მეორე ტურში, იქნებ ისეთ სიმღერას ვმღერი, რომ გადავდივარ-მეთქი. „ნამიოკს“ უნდა მიხვდეთო, მითხრა, ეს ტური გაჩუქეს, საერთო აზრი კი ასეთია, თქვენ საკმაოდ ძლიერი მომღერალი ხართ და კონკურსზე რომ გამოხვიდეთ, პროექტს აზრი დაეკარგებაო.

- დეჟავუ მაქვს, თუ მართლა ერთსა და იმავეს იმეორებ?

- მეც მსგავსი რამ მჭირდა. დედას გეფიცები, სიტყვების წყობაც კი ერთნაირი იყო. ყველა ერთსა და იმავეს მიმეორებდა. ერთპიროვნული ლიდერი იქნები, დანარჩენები დაიჩაგრებიანო. მე კახურად გავბრაზდი. თქვენი მეორე ტურისაც და ფინალისაც-მეთქი, ვუთხარი და არც მეორე ტურზე აღარ მივედი.

- გამოდის, რომ პროფესიონალიზმის გამო გიწუნებდენ. თუ ასეა, რატომ არ იდექი დიდ სცენაზე?

- იმიტომ, რომ ბიძა არ მყავს ფულიანი, არც მამა მთავრობაში.

- ოლიმპიადის გახსნაზე პაატა ბურჭულაძესთან ერთად იმღერე საქართველოს ჰიმნი, გამოტყდი, ახალ მთავრობაში გყავს ნათესავები?

- (იცინის) ნამდვილად არავინ მყავს არც ახალ მთავრობაში. უბრალოდ, ახლა მომღერლები აღარ იბლოკებიან, ნიჭიერებას აფასებენ დღეს. მე რომ ოლიმპიადის გახსნაზე ვიმღერე, ესაა ჩემი სიტყვების დასტური.

- როგორ მოხვდი ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე, პირდაპირ გკითხავ, იყო, ეს ნაცნობობა-მეგობრობა?

- რეჟისორ გოჩა კაპანაძის იდეა იყო, მე ოლიმპიადის გახსნაზე მემღერა. გოჩა ჩემი ნაცნობია, მოსმენილი ვყავარ, იცის ჩემი შესაძლებლობები. არ მგონია, მხოლოდ ნაცნობობის წყალობით მოვხ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეჯით აიძულეს ავტორი სიმღერა დაეთმო

„კულტურის სამინისტროდან დამიკავშირდნენ და სიმღერის დათმობა მთხოვეს, პირდაპირი დავალებაა პრეზიდენტის, ნინი ბადურაშვილმა უნდა იმღეროსო“

ნინი ბადურაშვილი: „რატომ შემაწუხა ამ ბიჭმა? არ არის ეს მისი სიმღერა, ეს სიმღერა კომპოზიტორ, ნუგზარ თუშიშვილს ეკუთვნის, ტატო რა შუაშია“

„უთქვამთ, თუ სიმღერას არ დათმობთ, არ მოხდება კარგი ამბავიო. ბიძაჩემი იძულებული იყო მუქარის ქვეშ დაეთმო სიმღერა“

EXCLUSIVE

ვედრილიყავი პაატა ბურჭულაძის გვერდით სცენაზე.

- დიდი პასუხისმგებლობაა, როცა ამხელა სცენაზე, ამხელა აუდიტორიის წინ შენი ქვეყნის ჰიმნს მღერი...

- ნამდვილად. ახლგაზრდული ოლიმპიადის გახსნას მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს. რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა და ამავდროულად უდიდესი ბედნიერება იყო ჩემთვის. წინა დღეებში ვრეპეტიციობდი, ვნერვიულობდი. რამდენი ფესტივალიც არ უნდა მოიგო სხვა ქვეყანაში, შენი ხალხისთვის სიმღერა სულ სხვაა.

- ტატო, რამდენადაც მახსოვს, შენ გეკუთვნოდა სიმღერა „ფსოუს წყალი“, როგორ მოხდა, რომ ის ნინი ბადურაშვილმა იმღერა?

- 1997 წელს, ბატონმა, ნუგზარ თუშიშვილმა ეს სიმღერა მე დამიწერა. ბატონი ნუგზარი ბიძაჩემია, მისი გაზრდილი ვარ და 18-მდე მისი სიმღერა მაქვს რეპერტუარში. ამ სიმღერით სამი ფესტივალი მოვიგე. „ფსოუზე მონატრება“ ჰქვია ამ სიმღერას. ასე დაარქვა ავტორმა. სიმღერა ბატონ რობერტ ბარძიმაშვილთან მოხვდა, ჩემი ალბომი ჩავუწერე, მთხოვა. ბავშვობაში მასთან ვმღეროდი „ლახტში“. შემდეგ ბატონმა რობერტმა ეს სიმღერა თავის მოსწავლეს ამღერა, ისე, რომ ნებართვა არ უთხოვია. ამ სიმღერაზე კლიპიც გადაიღო ამ პატარა ბიჭმა და ტელევიზიაშიც ტრიალებდა. გამოვიდა, რომ ჩემი სიმღერა პირველად ამ სოხუმელმა ბიჭმა იმღერა. საქართველოში არ ვიყავი ეს ამბავი რომ გავიგე. მაშინ უკვე გარდაცვლილი იყო ბატონი რობერტი. გარდაცვლილს პასუხს როგორ მოვთხოვდი. დავუკავშირდი ბავშვის მშობლებს, ავუხსენი, რომ ეს სიმღერა მე მეკუთვნოდა და აღარ უნდა ემღერა მათ შვილს. ტელევიზიიდანაც მოვახსნევინე კლიპი. მაგრამ, როგორც ჩანს, სიმღერა მაინც მოისმინეს და მისი წართმევაც განიზრახეს. დავბრუნდი მოსკოვში. მალე ბიძაჩემმა დამირეკა და მითხრა, კულტურის სამინისტროდან დამიკავშირდნენ და სიმღერის დათმობა მთხოვეს, პირდაპირი დავალებაა პრეზიდენტის, ნინი ბადურაშვილმა უნდა იმღეროსო... ბატონმა ნუგზარმა აუხსნა, რომ სიმღერა მე მეკუთვნოდა, მაგრამ მათ მაინც თავისი გააგრძელეს, თქვენ ხართ კომპოზიტორი და თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილებაო. ერთი კვირის მერე კვლავ მისულან კომპოზიტორთან და უთქვამთ, თუ სიმღერას არ დათმობთ, არ მოხდება კარგი ამბავიო. ბიძაჩემი იძულებული იყო მუქარის ქვეშ დაეთმო სიმღერა... დიდ პატივს ვცემ ნინის, მის შემოქმედებას, მაგრამ ეს სიმღერა კაცმა უნდა იმღეროს, ქალს არ უხდება.

- ამის მერე ნინისთან ამ თემაზე გისაუბრია?

- არა. მაგრამ ვიცი, რომ სიმღერა ზურა მახნიაშვილთან ჩაიწერა. გამზადებული იყო, არანაირება, ფული გადახდილი და დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდნენ ნინის, რომ მისულიყო და სიმღერა ჩაეწერა.

- რატომ, ეუხერხულებოდა?

- არ ვიცი, ალბათ, თავს იკავებდა.

- ამის მერე შენ ასრულებ შენს სიმღერას?

- რა თქმა უნდა, სიმღერა ჩემია, ვის რა უფლება აქვს ამიკრძალოს. არაერთი მსმენელისა და მაყურებლის თვალზე გამომიწვევია ცრემლი ამ სიმღერით. ახლახან მე და დათო კენჭიაშვილი ვიყავით გასტროლით ისრაელში. სამი კონცერტი გვქონდა: ორი თელავივში და ერთი ამდოდში. ვერ წარმოიდგენთ რამხელა ემოციითა და სიყვარულით სავსე დავბრუნდი ამ გასტროლიდან.

- ტატო, ვიცი, რომ ბევრი პროფესიონალი კლასიკური მუსიკის ჟანრში მოღვაწეობას გირჩევს. შეცვლი რამეს ამ მხრივ?

- კი, კი, სექტემბერში ვაპირებ იტალიის რომელიმე კლასიკურ მუსიკალურ სასწავლებელში შევიტანო საბუთები. ამ ჟანრშიც უნდა მოვსინჯო ძალები. ყველა მეუბნება, რომ ეს ჩემი ჟანრია და ვცდი. საქართველოს უკვე პროფესიონალი კლასიკოსი დავუბრუნდები.

ჩვენ ნინი ბადურაშვილსაც დავუკავშირდით.

- ნინი, „პრაიმტაიმიდან“ გაწუხებთ, რამდენიმე კითხვა მაქვს.

- გისმენთ.

- თუ იცნობთ მომღერალ, ტატო გოდერძიშვილს.

- კი, ვიცნობ.

- ის ჩემთან ინტერვიუში ამბობს, რომ „ფსოუს წყალი“, რომელსაც თქვენ მღერით, მას ეკუთვნის...

- რატომ შემაწუხა ამ ბიჭმა (იცინის)? არ არის ეს მისი სიმღერა, ეს სიმღერა კომპოზიტორ ნუგზარ თუშიშვილს ეკუთვნის, ტატო რა შუაშია?

- როგორც ჩემი რესპონდენტი ამბობს, ბატონი ნუგზარი მისი ბიძაა და მან ტატოს დაუწერა ეს სიმღერა. შემდეგ კი კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, პრეზიდენტის უშუალო დავალებით, მოსთხოვეს სიმღერის დათმობა კომპოზიტორს. თქვენ რა ვერსია გაქვთ?

- არ ვიცი ვინ ვის რა მოსთხოვა. მე დამიბარეს კულტურის სამინისტროში და მითხრეს, რომ ეს სიმღერა უნდა მემღერა. სხვა ინფორმაცია არ მაქვს. ტატო გოდერძიშვილი უკვე შვიდი წელია ერთსა და იმავეს ლაპარაკობს და არ მობეზრდა?! მე შევხვდი ნუგზარ თუშიშვილს და არანაირი პრეტენზია არ ჰქონია. ჩემამდე ვიღაც პატარა ბიჭი მღეროდა ამ სიმღერას, ტატო გოდერძიშვილი საერთოდ მღეროდა თუ არა, არც ვიცი. მე ვთხოვ ამ ადამიანს იმღეროს ეს სიმღერა, იქნებ დამშვიდდეს.

„მე ვთხოვ ამ ადამიანს იმღეროს ეს სიმღერა, იქნებ დამშვიდდეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ დგას შუფუტინსკის კონცერტის უკან და რა კრი

my View
ნინო მჭედლიშვილი

16 აგვისტოს, ბათუმში, პროექტს „ჰიტ ბათუმის“ ფარგლებში რუსი მომღერალი, მიხეილ შუფუტინსკი კონცერტს გამართავს. ბილეთის ფასი 50-დან 130 ლარამდე მერყეობს. ამბობენ, რომ ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია და უნდა ვიჩქაროთ. სიჩქარის რა მოგახსენოთ, რადგან, ბოლო დროს, რუსი მომღერლების საქართველოში ჩამოყვანას ქართველი მსმენელის არც ისე კარგი რეაქცია ახლავს, განსაკუთრებით კი ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან. უმუშევრად დარჩენილ ქართველ (ნიჭიერ!) მომღერლებს ბუნებრივად უჩნდებათ კითხვა, რატომ შუფუტინსკი, რატომ ლეპსი?

ნინო დავითაია: „მაშინა ვრემენის“ სოლისტის, ანდრეი მაკარევიჩის ჩამოყვანა გვინდა, ასევე „კომედი ქლაბის“. როცა კომპანიის ბიუჯეტი გაიზრდება და შესაბამისი თანხებიც გვექნება, შევეცდებით ევროპისკენ და ამერიკისკენაც გავიხედოთ“

საზოგადოების ნაწილი აზრის გამოთქმას საჯაროდაც არ ერიდება, ზოგიერთის მოსაზრება რადიკალურიც კია.

„აბა, ცხელი შუფუწინსკი გადაიღე, ერო,

ამის ჩამოსაყვანი ფული რომ მქონოდა, ამას არასოდეს არ ჩამოვიყვანდი... სულ სხვა რამეს გავაკეთებდი. ესენი შეგნებულად ადებილებენ ხალხს. აგერ ნახეთ თუ



არ გადაიძეძგოს იქაურობა აღტაცებული ქართველი მსმენელით...

სუ სმოკინგებით, ბრილიანტებით და ბიგუძებით მივლენ... თქვენი გზააბნეული პერო მოვტ***“. - წერს სოციუალურ ქსელში მუსიკოსი მაია დარსმელიძე.

მაია კაჭკაჭიშვილი: „შუფუტინსკი ჩემთვის არის მდარეზე მდარე ხარისხის მომღერალი. რა უნდა მომისაჯონ, რომ მე შუფუტინსკის მოვუსმინო“

სტეფანე მღებრიშვილი:

- დემოკრატიულ ქვეყნებში ვერავის აუკრძალავ რომელიმე, შენთვის მიუღებელი მომღერლის მოსმენას. შეიძლება ბევრი ტრანსპარანტებითაც გამოვიდეს, რომ ეს მდაბიო კულტურაა და ამის მოსმენა არ შეიძლება, მაგრამ, მე, როგორც თავი-

სტეფანე მღებრიშვილი: „შუფუტინსკის სიმღერას მუსიკალური ღირებულება არ აქვს, ენერგეტიკა, ხასიათი ამ მომღერლისგან არის მოძველებიჭო, „ბლატნოი“, ქურდულ სამყაროსთან ასოცირებული. მე შემიძლია შვილს დავუშალო ცუდი მუსიკის მოსმენა, მაგრამ სხვასთან რა უფლება მაქვს“

სუფალი ადამიანი, პატივს ვცემ იმ ადამიანების გემოვნებას, რომლებსაც უნდათ მოისმინონ ეს მომღერალი. კი ბატონო, ვეთანხმები, რომ მდარე ხარისხის მუსიკაა, მაგრამ გემოვნებაზე ხომ არ დაობენ. შუფუტინსკის სიმღერას მუსიკალური ღირებულება არ აქვს, ენერგეტიკა, ხასიათი ამ მომღერლისგან არის მოძველებიჭო, „ბლატნოი“, ქურდულ სამყაროსთან ასოცირებული. მე შემიძლია შვილს დავუშალო ცუდი მუსიკის მოსმენა, მაგრამ სხვასთან რა უფლება მაქვს. სხვა საკითხია პოლიტიკა. როგორ მაწუხებს ოკუპირებული ტერიტორიები და აქედან გამომდინარე ის ადამიანები, ვინც იმ ქვეყნის მოქალაქეები, შემსრულებლები არიან, ამის მოყოლას დღეს არ დავიწყებ. უბრალოდ, ვერ დაიტევს თქვენი გაზეთი. თუ შუფუტინსკის კონცერტი ბევრი უჯდება ორგანიზატორს, შესაძლებელია, ბევრად უკეთესი შემსრულებლის ჩამოყვანა. ალბათ, ორგანიზატორებმა იციან, ქართველი მსმენელის მოთხოვნა და ამით ხელმძღვანელობენ. საინტერესოა რამდენი მაყურებელი მივა ამ კონცერტზე და რა ფასად გაიყიდება ბილეთები.

- ბილეთის ფასი 50-დან 130 ლარამდე მერყეობს.

- მართლა? უცნაურია.

- აქვე შეგახსენებ, რომ გრეგორი ლეპსის კონცერტმა სპორტის სასახლეში ანშლაგით ჩაიარა.

- ჩვენ ხომ მხოლოდ სადღეგრძელოებში ვიცით პატრიოტიზმი. ფაქტია, რომ თავზე გვახურავენ და მაინც ვაგრძელებთ ამის ატანას. ქართული საზოგადოება უნდა იყოს წინააღმდეგი ყოველგვარი ანტიქართულის. ერთი და ორი ადამიანი ამას ვერ მოაგვარებს.

- მაგრამ რადიკალიზმის მომხრე არ ხარ...

- პროტესტების მომხრე არ ვარ. მაგრამ მე მაქვს ჩემი პროტესტი იმ შემთხვევაში თუ ამას სახელმწიფო აფინანსებს. იმედი მაქვს ეს ასე არ არის, რომ ქართული სახელმწიფო არ სთავაზობს ქართველ მოსახლეობას გასართობად მიხეილ შუფუტინსკის...

როგორც გავარკვიეთ, მიხეილ შუფუტინსკის კონცერტი პროექტ „ჰიტ ბათუმის“ ფარგლებში ტარდება. იმის დასადგენად აფინანსებს თუ არა სახელმწიფო რუსი მომღერლის კონცერტს ბათუმში, პროექტის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ეკა ჯოჯუას დავუკავშირდით.

ეკა ჯოჯუა:

- კონცერტი „ჰიტ ბათუმის“ ფარგლებში ტარდება, თუმცა სახელმწიფოს ამ კონცერტში არც ერთი თეთრი არ გადაუხდია. ეს არის კომერციული პროექტი, ორგანიზატორია „მიუზიკ ფრომოუშენი“, შესაბამისად, მათ ჰკითხეთ დაფინანსებაზეც. ისინი მხოლოდ სარგებლობენ ჩვენი ინფრასტრუქტურით, თორემ სახელმწიფოს არც ერთი თეთრი მათ ფრომოუშენზე არ დაუხარჯავს.

ჩვენ „მიუზიკ ფრომოუშენის“ ხელმძღვანელს, ნინო დავითაიას ვეესაუბრეთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტერიუმეაბით არჩევენ საქართველოში მომღერლებს

ეკა ჯოჯუა:

„სახელმწიფოს შუფუტინსკის კონცერტში არც ერთი თეთრი არ გადაუხდია“

EXCLUSIVE

- ნინო, მაინტერესებს კრიტერიუმები, რომლითაც მიხეილ შუფუტინსკი ჩამოგყავთ საქართველოში...

- ჩვენ ჩავატარეთ სოციალური გამოკითხვა და უმრავლესობამ სწორედ ამ მომღერლის მოსმენის სურვილი გამოთქვა.

- როგორც ვიცი, თქვენ მიერ ორგანიზებული კონცერტი ტარდება „ფიტ ბათუმის“ ფარგლებში. კონცერტს სახელმწიფო აფინანსებს, თუ კერძო კომპანია?

- ეს „რუსთავი 2“-ის აგორებული ანტიპიარი იყო, რომ შუფუტინსკის კონცერტს ბათუმის მერია აფინანსებდა. სამჯერ გავუმეორეთ ჟურნალისტს, რომ ბათუმის მერია არ აფინანსებს ამ კონცერტს, რომ ეს არის კომერციული პროექტი და არსებობს ამის დოკუმენტაცია, ანგარიშები, რომ არანაირი თანხა ბათუმის მერიას ამ კონცერტში არ გადაუხდია. უბრალოდ, მათ ჰქონდათ თავისუფალი დღე, უნდოდათ ფესტივალი მაქსიმალურად დატვირთული ყოფილიყო და ამიტომ ჩაჯდა შუფუტინსკის კონცერტი პროექტის ფარგლებში.

- ნინო, დიდი ხანია არსებობს თქვენი კომპანია?

- რამდენიმე თვეა. ეს არის ჩვენი პირველი პროექტი.

- რა გეგმები გაქვთ, კიდევ რომელი მომღერლის ჩამოყვანას აპირებთ?

- „მაშინა ვრემენის“ სოლისტის, ანდრეი მაკარევიჩის ჩამოყვანა გვინდა, ასევე „კომედი ქლაბის“. როცა კომპანიის ბიუჯეტი გაიზრდება და შესაბამისი თანხებიც გვექნება, შევეცდებით ევროპისკენ და ამერიკისკენაც გავიხედოთ და იქაური შემსრულებლებიც მოვიწვიოთ საქართველოში.

მანამ სანამ კომპანია ევროპისკენ გაიხედავს, საქართველოში სულ უფრო მძაფრდება პროტესტი რუსული ესტრადის ვარსკვლავების მიმართ. ცოტა ხნის წინ, ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი სტუმრობდა. გადაჭედილ სპორტის სასახლეში მაყურებელი ცეკვით ჰყვებოდა გრეგორი ლეპსის სიმღერებს. ვიპ ადგილები ნინო ბურჯანაძის ოჯახსაც ჰქონდა დაკავებული. მე პირადად ფოიეში ვნახე ქალბატონი, რომელიც ბათუმიდან ჩამოვიდა საყვარელი მომღერლის მოსასმენად.

მაშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გრეგორი ლეპსის ჩამოყვანას ორგანიზებას გრიგოლ გუგეშაშვილი (დოდო გუგეშაშვილის შვილი) უწევდა. ამის გასარკვევად „კვირის პალიტრა“ თავად გრიგოლს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ მხოლოდ ორგანიზატორის დამხმარის როლს ასრულებდა და ჟურნალისტი ლელა მაშინ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში დავით ოქიტაშვილს პასუხობდა და გრეგორი ლეპსის დამცველად გამოდიოდა.

„ძალიან მაინტერესებს დავით ოქიტაშვილს რუსი მომღერლების მიმართ პროტესტი როდის შემდეგ გაუჩნდა? - როგორც ვიცი, ყოველთვის მას ჩამოჰყავდა რუსი ხელოვანები... საერთოდ, რუსული პრესა აბსოლუტურად სხვანაირად აშუქებს ყველაფერს და შეგიძლიათ იხილოთ. ქვეყნდება სტატიები, რომ გრიგორ ლეპსმა მხარი არ დაუჭირა პუტინს და არ ჩაშალა უკრაინის გასტროლები. გარდა ამისა, ლეპსი, მოგეხსენებათ, სოჭში გაიზარდა და ოლიმპიადაზე უკრაინის მოვლენების გამო არ იმღერა. ჩემთვის ყოვლად გაუგებარია, ქართული მედიასაშუალებების გარკვეული ნაწილი რომ ყველაფერს უკუღმა აშუქებს... პირიქით, გრიგორი ლეპსი ქართველია და ყველაზე განსაკუთრებულად ქართული კონცერტისთვის ემზადება. ჩამოდის თავის მეგობრებთან ერთად. ქართველი მსმენელს დიდი სიამოვნებით ელოდება. ყველაფერი დეზინფორმაციაა, ის პუტინის კარის მომღერალი არ არის. ჩვეულებრივი მომღერალია, რომელიც დგას სცენაზე, დარბაზში ვინ იქნება, პუტინი თუ სხვა ვინმე, ეს წინასწარ არავინ იცის...

გრიგორი ლეპსს ყირიმის ანექსიაზე ხელი არ მოუწერია, ამაზეც გამოქვეყნდა სტატიები. ანალოგიური გვარის ხელისმომწერი ნამდვილად იყო, მერე გაირკვა, რომ ეს ვიღაც სხვა იყო, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიიდან. ამას სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ“!

მოკლედ, მანამ სანამ საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით ვის ვუსმინოთ და ვის არა, რომელია მდარე ხარისხის მუსიკა და რომელი მაღალი ღირებულების, ბათუმი შუფუტინსკის მასპინძლობს. და როგორც მუსიკოსი მაია დარსმელიძე იტყოდა, ცხელი შუფუტინსკი გადაიღე ერო.

მაია დარსმელიძე: „აბა, ცხელი შუფუწინსკი გადაიღე, ერო... სუ სმოკინგებით, ბრილიანტებით და ბიგუძებით მივლენ... თქვენი გზააბნეული პერო მოვტ**“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N31 (332), ორშაბათი 10 აგვისტო 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

exclusive

მარიამ მათიაშვილი შეყვარებულია

ვინ დგას შუფუტინსკის კონცერტის უკან და რა კრიტერიუმებით არჩევენ საქართველოში exclusive მომღერლებს

exclusive

„ბარსელონასთვის“ „მესხის“ საფარს სალებავით შელებავენ

exclusive

„ბარსელონამ“ საქართველოში ჩამოსვლის თარიღი შეცვალა

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

პირდაპირი დავალებით აიძულეს ავტორი სიმღერა დაეთმო exclusive

„კულტურის სამინისტროდან დამიკავშირდნენ და სიმღერის დათმობა მთხოვეს, პირდაპირი დავალებაა პრეზიდენტის, ნინი ბადურაშვილმა უნდა იმღეროსო“

„გეი პარადი ჩემთვის კლოუნობაა“ - მსოფლიო ჩემპიონი საკუთარ სექსუალურ იდენტობაზე საჯაროდ ალაპარაკდა

exclusive

ნუგზარ პაიკიძე და ყინულის ჰოკეის ქართული მომავალი

„საქართველოს ნაკრების ისტორიაში, პირველად, ნაკრები მოხვდა ზამთრის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ეს იმის ხარჯზე გავაკეთეთ, რომ უმნიშვნელოვანესი ორი თამაში მოვიგეთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება